

# რიტენატუნა და ხეროვნება



N12

12/2007

1522


2007



რეზნობა სტუდიად სადანთურაღის  
კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და  
უწმინდესის ილია II-ის აღსაყდრების  
30-ე წლისთავს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის  
უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის დაწერილი სატეგი



თამარ მეფე

# ლიტერატურა და ხელოვნება

N12(24)

12/2007



ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:  
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

ISSN 1512-3189

ჟურნალი გავლენიანების  
სწრაფად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის,  
უნძიდების და უნეტარების,  
ილია II - ის ხატებისა და  
ფუნქციის ნიმუშებით

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი  
მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი  
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;  
(+995 32) 31 70 47;  
(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru

Web: www.litandart.com.ge



ჟურნალი გამოდის  
სულიერების, კულტურისა და  
მეცნიერების აღორძინებისა და  
განვითარების

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის  
საერთაშორისო საქველმოქმედო  
ფონდის მხარდაჭერით

ნომრის საონსორი

ელიტ ელექტრონიკსი  
ELIT ELECTRONICS

## ს ა რ ჩ ი ვ ი

### მილოცვა

ვაჟა ოთარაშვილი

- გვიხვავინ საქართველოს 5  
სულიერ მუშაოსა...

### ქრისტიანობა

სხილად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის,  
უნძიდებისა და უნეტარების,  
ილია II-ის

- სამობაო ეპისტოლე 6  
სააღდგომო ეპისტოლე 11  
სააღდგომო ეპისტოლე 18  
ქადაგება 18

### აღსაყდრების დღე

მიხომოლივი ანანია (ვაფაიძე) -

21

სეხო ვახოსანიძე

- მიხომოლივი ილიას

აღსაყდრება

23

### ნარკვევი

ხევაზ სიხაძე

- გიოხგი მეჩხერის

სახისმეცველება

31

### ქოქია

ქათველი ჰოეტები პატრიარქს -

37

### წერილი პატრიარქს

გუჩამ დონანაშვილი

- გადასახიჩნეთათვის,

გადამიჩენი

43

### მილოცვა

მანანა ანგილიძე  
ეკატერინე ონიანი  
მაგდა სუხიაშვილი

- საეკლესიო გაღმბა

47

### მხატვრობა

მაჩიამ დიდებუიძე

- პატრიარქი-საკმნეხი

56

ვეჩიკო ზამთარაძე

- ფეხებად აღდენილი

ლოცვა

59

### ქოქია

გუჩამ დონანაშვილი

- ჩაყ უფხი მახსოვს,

და მეტად მაგონდება

63

ვახუშტი კობეციშვილი

- ჩემი ნუთისოფელი

73

### მკვდარის მკვ

გომეხიძე ჩხეიძე

- შემინახე, დედაო მინავ! 81

საქონსუფროსეთი სწავლა:

ქაზის აძირეზი, ხახინა ზრევაძე, ნანი ზრევაძე,  
პრინცი ზრევაძე, მასკა ზრევაძე, მაყაღა ვინაშვილი,  
ნათელა ურუშაძე, ჯანსუღი ჩანკიაძე, თეიმურაზი ჩხეიძე,  
თამარ ჩხეიძე, ვივი წერეთელი.



უფროსი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ  
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ  
ქართული სულიერების, კულტურის, მწვერლობისა და  
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-მთავრისა, უწმიდესისა  
და უნეტარისა ილია II-ს ქრწნალოი „ლოცურაგურა და  
სულოაუნება“ უფლოცავს ადისაყდრების 30-ე წლისთავს, უსურვეს  
პრავდალქამიორ სიკოტცხდოეს და პაღდომანისლო პაღოქაწოტას  
ლოქოისმუთხდოის წინდსეკედრი იკრნიის სადიდოტხდოად

*ვერუჯიანი  
საქართველოს  
სუბტილური პიუჯისა...*

თქვენს უწმიდესობაჲ!

უცლის მაღლით, თქვენი სულისთვის  
სისპეტაკე უცრთ მაღალია. ვიდრე ვაფხა-  
სიანის მწვერვალში, რამელსაც თქვენი  
გაბრუნული თაყვისფერი სიდიადე ამწვე-  
რებს!

ქაში ღუვანდელი, იფრინისთვის უცრთ  
მძიმაჲ, ვიდრე არამთა მაცნაობის დრთს-  
უცრთ მსახვრალი, ვიდრე მინდულთა  
უბრთს შინისთვისას და უცრთ ფარისუფ-  
ლური, ვიდრე მელმეფიკუთს დრთმათა ფრ-  
თისას... რამეთუ ღუვანდელი ინდრთმა-  
თელი ცეცხლმეფიების საცან-ური სინიქა-  
რეში აფრთხიანებს დედამიწას, გლთმა-  
ლიწაცის ცალღეში უფრთა ნაპირებისკენ  
რეცავს კაცობრითმას.

რა გადართრენს სამყაროს? ისევ ისმის  
კითხვა: გზა უცლისაკენ თუ...

უწმიდესა და უნეტარესა, მამათ უბი-  
სა!

თქვენი მტკიცეცეცხლეშით, დადგენილთა  
ფრთხილული სელმეფების გაბრწყინებით  
მთელ მსოფლიოს დაანახეთ, რთმ ქარ-  
თელთათვის დემოკრატია და უბრუნული  
იდუმლთგია მართმადიდებლური, ქრისტი-  
ანული აზრთვანება. ეს თქვენ შესძელით  
უწმიდესა და უნეტარესა! თქვენ გაუნა-  
თეთ უფრთისმშობლის წილსეფრდრ ეფეყანას  
გზა ჩუქმარტყმისა!

თქვენ ასწავლეთ უბს მძიმი ქამს უბთი-  
ანი ლმცვა-ვიდრემა! მამა-პაპათა წიანს  
და წესს დაუბრუნეთ ქართულმთა, სინა-  
რული ცბრმლის სიცხთაფრთთ აუხილნიეთ  
თვალნი თქვენს სამწყსოს, თქვენ აღადგი-  
ნეთ და ააგეთ ეკლესია-მონასტრეში და  
შეპქმინით ქრისტეს მმდრვარ-მსედართა  
ლაშქარი, ლაშქარი სულისთვის თაფრა-  
დემულ მერ-მონაწმთა, ქართული უბს  
ლთთუბრ იდუმალუბრათა და უბრუნული სა-  
განბრთთა გადართრენად...

ქართული მწერლობა და მწერლები ვალ-

ში ვართ თქვენთან, ჩვენს დამცველს და  
დამლმცველს!

თქვენ, მართლული თანამდევნი სართ  
გრძელ საბრთლისა, დავით აღმაშენებ-  
ლისა, ილია ჩაფჩაფამისა, ქართული უბს  
ქართულიანი ისტორიისა, ასე მგმნია,  
ვასტანგ გობგასალს თქვენს უსმინით  
სიცეცხის წარმთქმისას კანის სანახებ-  
თან, ქართლის წარჩინებულთა წინამე-  
თითქმს ასლა, საცეცხისას თქვენი მარე-  
ეში იმეღრეზინე მელმარტი მუფის გრევი-  
ვად აღმთქმულს: „...და არა დავითმინთ  
კიესეფა თქმთა, არამედ სანახებითა და  
მინდმითა ლმრთისათა, სამცისა უბთარ-  
სებისა დაუბრუნებლათა, და წარბეღვანეში-  
თა უბრუნისა მის პაციმსანთა, რამელი  
მეცემულ არს წინამდებრთად და საქარ-  
ეულად გულითა მსახვრთა მისთა, და ვიბი-  
თთ შუბრ თქმთა ზედ. უკუთქმეა წარგე-  
ვიდრემა და ეს სპარსთა მუფთათგან. ანუ  
მერბრთა მუფისათგან, მთ-მცა-ვითმინეთ,  
არამედ რა მმეფრულ არს ჩუენ ზედ თ-  
სთა კიესთათგან, არა სამს დაბრუნისა: სი-  
კუდილი სუთმს თაფრთ ჩუენთათვის.“

სულთ თამარ მუფის საცეცხის ფრთთა  
სიმეღმანიში მაცხვარბის საფლავთან მი-  
ასლემული შთთა რუსთაფრის სულთან  
ურთიანმსსაც მარეყმის უბთმე, თქვენ  
ვიდრე უბთელ გაასსენეთ უბს მარტრ-  
ვანთა ლთთუბრ წარმმშთა და საქართე-  
ლში მმნარქმის აღდგენის აუცილებლ-  
მა!


კუბრთსეფულ არს სამეშითა დიდებული  
ურთ-ლთთაქმა, რმეღმაც გამმგარჩიით,  
დაგადგინათ მართლმადიდებლული ქეყენის  
საფრთარქმად და უბის მამად, დაგადგათ  
კვირგვინი საქართულს სულისთვის მი-  
უფრისა, ლთთუბრ მადლმმსილუბრა უბის  
წინამდებლისა!

საქართულთსთვის მსხუცებულა წმი-  
დალ გითრგიე!

ვიდრე უბთელ განმგმირე გველემამი  
იფრინის მმმავლის გადართრენად!

მელმმდრეკითა და მმწინებით  
თქვენი ცმდვლი მვილი  
ვაქა თბარამევილი

საქართველოს  
მეცნიერებათა  
აкадеმიის  
ბიბლიოთეკა



საშობაო

ქრისტოფო

უწილესი და უნახესის,  
სხილი სანახიველი  
ხათოლიქოს-ჰახიჩიქის,  
ილი II-ისა

„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი  
ყოვლითა გულთა შენითა და  
ყოვლითა სულითა შენითა და  
ყოვლითა გონებითა შენითა;  
შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თუნი“  
(მათე 22, 37, 39)

ქრისტესმიერ საყვარელნო მღვდელმთა-  
ვარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონო-  
ზონნო, პატივცემულნო ხელისუფალნო,  
მართლმორწმუნენო, მკვიდრნო საქართვე-  
ლოისა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ  
მცხოვრებნო თანამემამულენო, სიყვარუ-  
ლი და სიხარული განგმრავლებოდეთ, რამე-  
თუ ჩვენთან არს ღმერთი!

აღსრულდა ყოვლადწმიდა სამების საღვთო  
განგება, ახდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყ-  
ველება, — „ღმერთი გამოჩნდა ხორციტ“ (I  
ტიმ., 3, 16). მაცხოვარი მოვიდა ნუთისოფელ-  
ში, რომელიც ძალადობით, დაპირისპირებითა  
და ბოროტებით არის საესე. მოვიდა, რათა  
სრულიად გარდაექმნა იგი. თვინიერ ცოდვისა  
მიიღო ჩვენი დაცემული ბუნება, რომ საღვთო  
სიყვარულის ძალით მოეხდინა ჩვენი შინაგა-  
ნი ფერისცვალება, შეიმოსა ადამიანური სხე-  
ულით, რომ მარადიული ტანჯვისაგან ეხსნა  
კაცთა მოდგმა.

ბეთლემში შობილი ყრმისაკენ მიმავალი  
გზა ხსნილია ყველასათვის. ერთნი ცოდვისა  
და ინტელექტის ანუ მოგვთა გზით მიდიან;  
სხვანი განსაცდელისა და მწუხარების ბილიკს  
მიუყვებიან, მესამენი, მწყემსთა მსგავსად,  
თავმდაბლობითა და ღოცვით მიემართებიან.  
რა თქმა უნდა, არსებობს სხვა გზებიც.

საზოგადოების ნაწილი კი საპირისპირო  
მიმართულებით მიდის და ბნელეთისაკენ მი-  
ექანება, თუმცა ამას თავიდან თითქმის არა-  
ვინ აცნობიერებს, რადგან ეშმაკი ათასგვარი  
საცდურით ამბრუებს ადამიანებს და ცოდვის  
ჭაობში ღრმად ითრევს.

ჩვენს დროში მისი ქმედება უფრო დახვე-  
ნილი გახდა და სიყვითისა და ბოროტების  
გარჩევა კიდევ უფრო გაჭირდა. ამიტომაც  
აუცილებელია, კარგად გავაცნობიეროთ, რა  
გარემოში ვცხოვრობთ, რომელი ტენდენციე-  
ბია მნიშვნელოვანი; რა არის მისაღები და რა  
უარსაყოფი; ქვეყნისთვისაც და ჩვენთვისაც  
რა არის პირველი რიგის ამოცანა, რაა შემდეგ  
გასაკეთებელი საქმე?

ტელევიზიის, მობილური კავშირგაბმულო-  
ბის, კომპიუტერისა და ინტერნეტის განვი-  
თარებამ მანძილი და დრო მკვეთრად შეამცირ-  
რა. ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ  
ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას  
და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები,  
რომელთაც, ძირითადად, საკუთარი მიზნები  
ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესე-  
ბი. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის  
პროცესიც. ეს ყველაფერი მრავალსახოვანი  
გლობალიზაციის გამოვლინებაა.

ასეთ ვითარებაში ჩვენი ხალხი ახალი პრობ-  
ლემების წინაშე დადგა. ეს არის დროის გამოწ-  
ვევა. კონკრეტული ძალა არ ჩანს, მაგრამ ცრუ  
თავისუფლებაზე დაყრდნობით, მასმედიის  
საშუალებებით (სერიალებით, მდარე ტელე-  
პროდუქციით) ხდება შემოქმედება ჩვენი სა-  
ზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი  
თაობის, ცნობიერებაზე, რათა მათში დაინერ-  
გოს არაეროვნული, არაქრისტიანული მსოფ-  
ლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვე-

ნი ეთნოფსიქიკის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის დაშლასა და გადაგვარებას.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტყევა ხორციელდება თითოეული ადამიანის აზროვნებაზე, ამიტომაცაა ყოველი ჩვენთაგანის გული და გონება ამ ბრძოლის ასპარეზზე. ესა თუ ის პიროვნება ან რჩება ქართველად, ან თავისი შინაგანი სისულტისა და მიმბძველობის გამო, იცვლის ღირებულებათა სისტემას.

ეს ისეთივე მნიშვნელობის ომია, როგორც ჩვენს მამა-პაპათ გამოუვლიათ.

მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტთან მოგებულია. უფალი ბრძანებს: „ნუ გემიწინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (ინ. 16, 33). მაშ, იბრძოლეთ, ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგური, თქვენი ბასიანი.

უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სფეროს ეყრდნობა. ესაა სულიერი ღირებულებები (რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

ქართულმა იდეამ რომ ზორცი შეისხას და განვითარდეს, საჭიროა გაერთიანდეს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ეკლესიის ძალისხმევა.

ახლა კი შეეჩერდეთ იმ მიმართულებებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს:

ტერიტორიული მთლიანობა მუდამ იყო ქვეყნის პრიორიტეტი. იგი დღესაც ჩვენი ხელისუფლებისა და ყოველი ჩვენგანის მთავარი საზრუნავია. თანამედროვე ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობები და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსული ადგილის დამკვიდრება. თუმცაღა, უპირველესი ამოცანად, მაინც საქართველოს ერთიანობისათვის ზრუნვა რჩება და არ არსებობს მისი სანაცვლო სხვა ღირებულება.

ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობას ეკონომიკური სიძლიერე წარმოადგენს. ეს ის მთავარი საკითხია, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ დროულად უნდა გადაჭაროს. ამასთან, ჩვენ უნდა მოვქმედოთ ჩვენი ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს გააჩნია მეტად ძვირფასი ბუნებრივი რესურსი მტკნარი წყლის სახით, რომლის მნიშვნელობაც და ღირებულებაც ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ, ვფიქრობთ,

საყოველთაო პრივატიზაციის პროცესში, ეს ბუნებრივი რესურსი და მისი ექსპლოატაცია სახელმწიფო სექტორში აუცილებლად უნდა დარჩეს და გამოყენებულ იქნას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მკვეთრად გაიზარდა და დიდი მოგების მიღების მიზნით მრეწველობის განვითარებული და გენერალ ინჟინერიით მიღებული პროდუქტების წარმოებაზე ორიენტირებული ქვეყნების მსოფლიო მეთურნობა მალალ სტანდარტებს ვეღარ აკმაყოფილებს. ჩვენ საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს სოფელს.

ზოგიერთმა პატარა სახელმწიფომ თავი დაიპყვიდრა მოწინავე ტექნოლოგიების ათვისებით. მაგ. სამხრეთ კორეამ, ისრაელმა, ფინეთმა... ეკონომიკის ამ დარგში სერიოზული განაცხადისათვის ჩვენს ქვეყანასაც გააჩნია ინტელექტუალური რესურსი. ქართული ფუნდამენტური მეცნიერული სკოლები აღიარებული იყო როგორც ყოველ საბჭოთა ქვეყანაში, ისე მათ ფარგლებს გარეთ. ასე რომ, ჩვენი მეცნიერული პოტენციალი შეიძლება პრაქტიკულად იქნას გამოყენებული, თუკი მას სათანადო პირობები შეექმნება.

საერთოდ, მეცნიერებასთან ერთად განათლებას ქვეყნის განვითარებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობა აქვს, რადგან სწავლის პროცესში ხდება მომავალი თაობის ფორმირება პიროვნებად. ამიტომაც სკოლა და, ზოგადად, სასწავლებელი მარტო ცოდნას უარ უნდა აძლევდეს მოზარდს, არამედ მან უნდა აღზარდოს იგი და ჩამოაყალიბოს თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ. ამ საქმეში მეტად დიდია ოჯახისა და ეკლესიის როლი. სასწავლებელი, როგორც ხალხის მიერ დაქირავებული დადესტრუქტორი, ვალდებულია თავისი საქმიანობა წარმართოს საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და რადგანაც საზოგადოება ფაქტობრივად არის ოჯახთა ერთობლიობა და ეკლესია (რომლის წევრია ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა), განათლების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ეკლესიისა და ოჯახის ტრადიციულ ღირებულებებს (ვისაც სურვილი აქვს განსხვავებულ გარემოში აღზარდოს შვილები, შეუძლია ეს კერძო სასწავლებელში განახორციელოს). ეს არის სწორედ იმის გარანტი, რომ მომავალი თაობა ავაცილოთ თუნდაც ისეთ საშინელ სენს, როგორიც არის ნარკომანია და სხვა მანიკიერი გამოვლინებები.

ნარკომანია ჩვენი დიდი ტკივილია, რომელიც ერის სულიერ და დემოგრაფიულ გენცილს იწვევს. ჩვენ არავითარ შემთხვევაში

ამ თემას და ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ამ მიმართულებით პირველი რიგის ამოცანა პრევენციული ნაბიჯების გადადგმა. ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევექმნათ ნარკოტიკის მიმართ უარყოფითი განწყობა. უნდა დავანგრეთ ცრუ სტერეოტიპი იმის შესახებ, თითქოს ნარკომანობა პრესტიჟულია. ნარკომანია სირცხვილია!

ნარკომანი არის ავადმყოფი, საცოდავი, ლაჩარი, სუსტი ადამიანი, რომელიც ეშმაკის ბადეშია მოხვედრილი და, ნამალზე მიჯაჭვულობის გამო, ხშირად ბოროტმოქმედებასაც სჩადის; შემდეგ კი ციხეში ხვდება და კიდევ უფრო იმძიმებს თავის მდგომარეობას.

მინდა ციხეში არსებულ მდგომარეობასაც ნაწილობრივ შევეხო.

დღეს იქ მძიმე პირობებია. ცივილიზებულ ქვეყნებში ციხე გამოსწორების ადგილს წარმოადგენს. იმედია, ჩვენი პენიტენციალური სისტემაც მალე ამ სტანდარტებს დაუახლოვდება. ამისთვის კი, პირველ რიგში, უნდა გაიმთავროს სამიზნე ბოროტმოქმედები ეკონომიკური და სხვა შედარებით მსუბუქი სახის დანაშაულის ჩამდენთაგან. კარგი იქნება, თუ ასეთი პატიმრებისათვის აღდგება სასჯელის მოხდა მიმდგრების ადგილებში და ამისთვის საქართველოს მაღალმოთიანი დაუსახლებელი რეგიონები გამოიყენება. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პატიმართაგამოსწორებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას და მეორე მხრივ, ამ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ ათვისებასა და განვითარებას.

რაც შეეხება მძიმე დანაშაულისათვის ნაწამართლევთ, ციხეში მათთვისაც უნდა არსებობდეს ისეთი გარემო, რომ გაუჩნდეთ განწყობა ცხოვრების წესის შეცვლისა.

ვფიქრობ, პენიტენციალური სისტემაში შრომის დანერგვა და სასულიერო პირების უფრო აქტიურად ჩართვა დიდ შედეგს მოიტანს, რისი გამოცდილებაც უცხოეთის ქვეყნებში კარგა ხანია აქვთ.

ცნობილია, რომ ციხის გავლენა მის გარეთაც ვრცელდება. ზოგიერთისთვის კრიმინალური მსოფლმხედველობა ერთგვარ დადებით მოვლენასაც კი წარმოადგენს, რაც შეცდომაა. ეს არის ღვთის მცნების უარყოფელი დიდი ცოდვა. ეს არის დანაშაული მოყვასის წინაშე. წმიდა პავლე მოციქული გვასწავლის: „ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაინკვირდებიან ღვთის სასულიერო... ვერც მპარავნი, ვერც მტაცებელნი...“ (1 კორ. 6, 9, 10).

სამწუხაროდ ქუჩა, უბანი, გარემო, ზოგჯერ, მავნე ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს, რაც მათში ცრუ ღირებულებების დამკვიდრებით არის გამომწვეული. ახალგაზრდების ნაწილი მიმბაძველობით ან თავისი წრის ზემოქმედებით საკუთარი ნების საწინააღ-

მდეგოდ იქცევა. თუმცა ბევრი მათგანი ეკლესიაში დადის (ხოლო ვინც არ დადის, რწმენის მიმართ პატივისცემა მაინც აქვს), მაგრამ ეს სათანადოდ ვერ აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. სამეგობროებში არსებულ ასეთ მდგომარეობაზე მისი თითოეული წევრი არის პასუხისმგებელი, განსაკუთრებით კი ისინი, რომელნიც ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობენ. ისინი კარგად უნდა დაუფიქრდნენ საკუთარ ცხოვრებას, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, ეშმაკის მსახურნი არ გახდნენ.

საზოგადოება ისეთია, როგორი ავტორიტეტებიც ჰყავს მას.

ფაქტია, რომ ღირსეული პიროვნებები ჩვენთან სათანადოდ არ არიან დაფასებულნი. მათ ნაცვლად წინ წამოწეული არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ გაკეთებული (ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის), ან ისინი, რომელნიც უგულვებელყოფენ სულიერ ღირებულებებს. ახალგაზრდები უფრო იცნობენ ტელე-მოუების გმირებს, ვიდრე თავისივე თაობის ნიჭიერ პოეტებს, მსახვრებს, კულტურის მოღვაწეთ, მეცნიერებს და, ზოგადად, ღირსეულ ადამიანებს. ეს ძირითადად მასშედისიანგან მომდინარე ნაკლია და იგი უნდა გამოსწორდეს.

მიუხედავად ასეთი პრობლემებისა, ბიროვნებასა და საზოგადოებას მაინც ბევრი რამის შეცვლა შეუძლია.

XX საუკუნის დასაწყისში, გასაბჭოების პერიოდში, როცა აქტიურად შეუტიეს ტრადიციულ ღირებულებებს, ახალგაზრდა მამულიცოლებმა, რომლებიც შემდეგ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი გახდნენ (პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალექსანდრე აბაშელი), ჩამოაყალიბეს „ჩოხოსანთა“ საზოგადოება. ეროვნული სამოსის ტარება იყო ერთგვარი პროტესტის ფორმაც და მათი მსოფლმხედველობის დემონსტრირების საშუალებაც. შემდგომ პერიოდში ამ მავალითს, მართალია ერთეულებმა, მაგრამ მაინც სხვებმაც მიბაძეს. დღეს ეს მოძრაობა ახალ ეტაპზე გადავიდა და საზოგადოების ფართო ფენა მოიცავს. მისასაღმებელია, როდესაც ცნობილი ადამიანები საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე ეროვნულ ტანსაცმელს იცვამენ (ეს კარგი ტრადიციაა ევროპის ბევრ ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს), სულ უფრო იზრდება ახალგაზრდების რიცხვი, რომელნიც ჩოხით იმოსებიან და ჯვრისწინისასაც ამ სამოსს იცვამენ. დღეს ჩოხოსანთა საზოგადოებას გაცილებით მეტის გავრცელება ძალუძს, ვიდრე მათ წინამორბედთ.

რა თქმა უნდა, ჩვენ მარტო ეროვნული სამოსის ტარებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელია ავადობდინოთ ქართველი კაცის ჩვეული ცხოვრების

ნესი. საჭიროა, თუნდაც წვენი ყოფისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის პირვანდელი სახით აღდგენა, როგორცაა ქართული სუფრა. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ იგი ისევე, როგორც სხვა ტრადიციები, გარკვეულწილად, შეიღალა; სინამდვილეში კი მისი არსი მთლიანად ქრისტიანულია და გამოირჩება როგორც თრობას, ისე დღეს არსებულ სხვა მანკიერ გამოვლინებებს. კარგად აღზრდილი ადამიანი არ დათვრება და თავს არ დაიმცირებს.

ეკლესიური ცნობიერებიდან გამომდინარე, სუფრაზე თანდათან მკვიდრდება სადღევრძელოთა შინაარსი და ტრადიციული თანმიმდევრობა, რაც იწყება უფლის სადიდებლით და მთავრდება ყოვლადამოდა ღვთისმშობლის ხსენებით. ამასთან ყოველი სადღევრძელო დალოცვაა, ლოცვის ერთგვარი სახეა. ქართული სუფრის ღრმა სულიერ ხასიათზე მიუთითებს ისიც, რომ ყოველთვის ხდება გარდაცვლილთა მოხსენიება.

ქრისტიანული სუფრა არის ქრისტიანული სიყვარულისა და თანადგომის, ჭირისა და ლხინის გაზიარების ადგილი, სადაც უფალი მყოფობს. ამიტომაც პურობა იწყება და მთავრდება ლოცვით.

ქართული სუფრა არის ქრისტიანული სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის უნიკალური ინსტიტუტი.

ყოველ ერს, ისევე როგორც ცალკეულ პიროვნებას, ღვთისაგან სხვადასხვა მადლი და ნიჭი აქვს ბოძებული და მასზეა დამოკიდებული თუ როგორ გამოიყენებს მათ.

ქართველმა კაცმა სიყვარულის ნიჭი განაზიარა.

ახალ აღთქმაში ღმერთის ყველაზე მთავარ თვისებად სწორედ სიყვარულია დასახელებული. „ღმერთი სიყვარული არს“ (1 იოანე. 4, 8).

აქვე ვითხოვლობთ: სიყვარული ყოვლისმომცველია, არ ამპარტავნობს, არ ზევაობს, სულგრძელია და ტკბილი, არ მრისხანებს, ყოველივეს ითმენს, არაგისი შურს, ჭეშმარიტებით ხარობს. იგი ადამიანის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც უკვდავებასთან არის ნიღნაყარი. იმედი და რწმენა სიკვდილის შემდეგ განქარდება, ხოლო სიყვარული მარადიულად ჰგვიცხ.

პავლე მოციქული იმასაც ბრძანებს, რომ, თუ სიყვარული არა გვაქვს, ფუჭია ქველმოქმედებაც, სასაულმოქმედების უნარიც, მოსაგრეობაც, თვით მონამობრივი აღსასრულიც კი, რადგან უსიყვარულოდ ყველა სიკეთე უქმიქნდება.

გავიხსენოთ სახარება: იუდამ გასცა მაცხოვარი, პეტრემაც სამჯერ უარყო იგი. შემდეგ ერთმაც შეინანა და მეორემაც, მაგრამ იუდა წარწყმდა იმიტომ, რომ უსიყვარულო იყო ქრისტესთან გატარებული მისი ცხოვრება და

აქედან გამომდინარე, უმეფო მისი სინანული; პეტრეს სინანული კი სწორედ მისი მზურვალე სიყვარულის გამო იქნა შეწყნარებული.

მიუხედავად სხვა და სხვა სირთულისა და განსაზღვრისა, სიყვარული ნეტარებასთან და სიხარულთან არის დაკავშირებული; და რაც უფრო დიდია სიყვარული, მით მეტია ნეტარებაც და სიხარულიც.

ყველაზე აღმატებულია ღმერთის სიყვარული.

ამ სიყვარულის დამტყველნი არიან დიდი სულიერი მოღვაწენი, რომლებიც მძიმე მოსაგრეობის პარალელურად, ღვთაებრივ ნათელთან ლოცვითი თანაზიარებით ამ ქვეყნადვე აღწევენ უსაზღვრო ნეტარებას.

სამშობლოსა და ერის ჭეშმარიტად მოყვარული ადამიანებიც დიდ სიხარულს გრძნობენ, როდესაც თავის მიზანს, თუნდაც სიცოცხლის ფასად, ერთგულად ემსახურებიან.

შეიძლება ითქვას, რომ მოყვასის სიყვარული ერთგვარი პირველი საფეხურია. იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: „ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს?“ (1 იოანე. 4, 20).

ღმერთი, სამშობლო, მოყვასი — ეს არის ერთმანეთისაგან გამომდინარე იერარქია და უწყვეტი ჯაჭვი; თუ ღმერთის ადგილი სხვა რამემ, თუნდაც სამშობლომ, დაიკავა, ზემოთ აღნიშნული თანამიმდევრობა ირღვევა და პატრიოტიზმი უკვე ხელოვნურად გამოგონილ ღირებულებებს ეფუძნება, რომელთაც შეიძლება კარგი სახეობა ერქვას, მაგრამ შედეგად ვიღვებთ ისეთ მანკიერ გამოვლინებებს, როგორცაა ფაშიზმი, რასიზმი და შოკინიზმი, ანდა ტრადიციული ფასეულობების სრულ უარყოფას, — კოსმოპოლიტიზმს. ამ ორ უკიდურესობას გამოირჩება ღვთის რწმენა, რომელიც ჭეშმარიტ პატრიოტიზმს განაპირობებს.

მოციქული გვასწავლის: „ვინც ამბობს, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ცრუობს“ (1 იოანე. 4, 20). ამდენად მხოლოდ ღმერთის სიყვარული ხიბლია და თავს იტყუებს, ვისაც ეს ასე ჰგონია. ოდენ მოყვასის სიყვარული კერპთაყვანისმცემლობაში გადადის; საკუთარი თავისადმი სიყვარული კი — ეგოიზმსა და ნარციზიზმს შობს.

ადამიანი სიყვარულიდ ვითაებრივ ნიჭს მაშინ ეზიარება, როცა ამ გრძნობას თავისი „მე“-დან მოყვასისაკენ მიმართავს. გაცილებით დიდ სიმაღლეზე კი მაშინ ადის, როდესაც მოყვასს შეიყვარებს, როგორც საკუთარ თავს: „არავის აქვს იმაზე მეტი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მეგობრისთვის“ (იოანე. 15, 13), — ბრძანებს უფალი.

მოყვასისათვის სიყვარული და თავდადება ქართველი კაცის ცხოვრების წესად იქცა

და ბუნებრივია, მისი საახლობლო წრე მეტად ფართოა. იგი მოიცავს სისხლისმიერ და ნათელმორონით ნათესაობას, მეფეგარეობას, მოგვარეობას, მეზობლობას, მეგობრობას და სხვა. ასეთი ურთიერთობა უნიკალურია, როგორც ქრისტიანულ სამყაროში, ისე მთელ მსოფლიოში. ფაქტია, რომ ქართველ კაცს არა აქვს მონინააღმდეგის სიძულვილი, რაც ბოლო პერიოდის მოვლენებმაც დაადასტურა. მაგალითად, ძმთამკვლელი ომი აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში ჩვესს ხალხში დაბირისპირებული მხარის მიმართ გაბოროტებად არ გადაზრდილა და იგი დღესაც მზად არის კეთილმეზობლური ურთიერთობებისათვის. ეს იმიტომ, რომ შენდობისა და პატივის, საკუთარი მცდრობის აღიარებისა და სხვისი მწუხარების თანაზიარობის დიდი უნარი გვაქვს. ეს კარგად ჩანს „ვეფხისტა და მოყმის“ ბალადაშიც.

ტოლერანტობა ჩვენი ბუნებიდან მომდინარეობს და მისი სწავლა არასოდეს დაგვჭირვებია.

დაიწყო ახალი, 2007 წელი, რასაც ოფიციალური სახელმწიფო კალენდრით თითქმის მთელი მსოფლიო აღნიშნავს. თუმცა შეიძლება ბევრი ვერც აცნობიერებს, რომ ეს წელთაღრიცხვა მაცხოვრის დაბადებას უკავშირდება.

დიახ, 2007 წლის წინ აღსრულდა ქრისტეშობის საიდუმლო, — „ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა ძე თვისი მხოლოდშობილი“ (ინ. 3, 16). დაუსაბამო იგი, დროში იშვა. ყოვლისმპყრობელმა და ყოვლისმემოქმედმა მოხის სახე მიიღო, რათა მისი სიყვარულით აღესილნინ და ამადლებულნი საღვთო ნიაღვრებზე ეზარებოდით.

საერთოდ, ღვთის ყველა ქმედებას მხოლოდ სიყვარული განაპირობებს.

ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევების მიზეზიც სიყვარულიდან მომდინარეობს. მათ ღმერთის ყოვლისმომცველ სიყვარულში შეეპარათ ეჭვი და რადგან შემოქმედის მცნება დაივიწყეს და ეშმაკს დაუჯერეს, თვითონვე მოაკლდნენ საღვთო სიყვარულს, რაც უფალთან მათ ერთობას განაპირობებდა. დაცემულ მღვთმარებაში მყოფნი კი უკვდავების ხის ნაყოფის შეჭმით მარადიულად რომ არ წარწყმედილიყვნენ, უფალმა განიარაღა თავის სამყოფელს.

მაცხოვარმა განაკაცებით დედამიწაზე ის სიყვარული მოიტანა, რომლის მსგავსიც მანამდე არ იცოდა კაცობრიობამ და რომელთანაც თანაზიარებით მოგვცა სამოთხეში დაბრუნების შესაძლებლობა. „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (ინ. 13-34) — ოღონდ აუცილებელია, მოვიპოვოთ სინიდე და შევიმოსოთ ჭეშმარიტი სიყვარულით, რადგან ამ თვისებების გარეშე ღმერთს ვერ მივიგ-

სგავსებით და ჩვენივე ნებით საკუთარ თავს განვაშორებთ მის მაცხოვრებელ მადლს.

საუკუნეთა მანძილზე საქართველო გადაარჩინა მოყვასის, ღვთისა და მამულისადმი თავდადებულმა ქრისტიანულმა სიყვარულმა, რისი მაგალითიც აუარსებელია ჩვესს ისტორიაში. როგორი იქნება ჩვენი ზვალინდელი დღე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არჩევანს გავაკეთებთ, მივიღებთ ბოროტის მიერ შემოთავაზებულ მოჩვენებით სიყვარულსა და ცრულ ღირებულებებს, თუ ცოდვასა და სიკვდილზე გამარჯვებული ღმერთის მხარეზე დავდგებით. ჩვენი ადგილი რომ კარგად გავაცნობიეროთ, უნდა გავარჩიოთ ჩვენი მისწრაფებანი და ქმედებანი შესაბამისობაშია თუ არა უფლის სწავლებასთან.

ღმერთო ძლიერო, სიტყვაო, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მამისაგან მობილო და ქალწულისაგან მარიამისა ხორცმცხმულო, მოიხილე მადლით ერსა ზედა ნილხედრსა დედისა შენისასა და ისმინე მუხლომდრეკითი თხოვნა ესე: გვიხსენ ცოდვათაგან და ბოროტთა განზრახვათა ჩვენთაგან, გული განგვისპეტაკე, გონება განგვიწათლე, სული განგვიწმიდე, შეცდომილნი მოგვაქციენ, სულიერნი და ხორციელნი სნეულებანი ჩუენნი განკურნენ და შეგვზღუდენ საღმრთოთა სჯულითა შენითა; მოიხილე ჩვენზედა, სახიერო, და სიყვარულითა შენითა უოხჭნოთა დაცემულნი კვალად აღგვადგინენ და ტაძრად სულისა წმინდისა გამოგუაჩინენ, რათა ვიყოთ ჭეშმარიტი მსახურნი მოყვასისა, მამულისა და ღვთისა.

სახელისა შენისათვის, აღდეგ, უფალო, შენეგნად ჩუენად და დააყენე კურთხი უმჯულოთა; გარეწარაქციე ყოველნი მტერნი და მატორვებელნი ჩუენნი, რომელთა განიგდეს წილი სამკვიდრებელსა შენსა ზედა. მოიხსენე ვედრება დედისა შენისა და ყოველთა წინაპართა ჩუენთა, რომელთა იღუანეს სახელისა შენისათვის და დასთხიეს სისხლი თვისი; მათი ლოცვით აღადგინე მამული ჩუენი — საქართველო — პირველსავე დიდებასა და დაიცვე საზღუარნი მისნი უცხო თესლთა ზედა მოსვლისაგან.

ჰე, უფალო, იხილე და მოხედე ვენასსა ამას და განამტკიცე ესე, რომელი დაასხა მარჯუენემან მთემან, რათა ჩუენცა ყოველნი, მკვიდრნი მანვეკურთხული იგერისა და მის ფარგლებს გარე მცხოვრებნი ქართველნი, შენს ზეციურ ნათელს და საღვთო სიყვარულს ზიარებულნი, ვგალობდეთ:

„დიდება მალაღა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

თქვენთვის მლოცველი

ილია II სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი  
2007 წელი



საღვთო  
ქრისტიანული

საქართველოს ეკლესიის  
ლვთიკახეთისა და შვიდობის

„შენიანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს  
სასუფიველი ცათაი“ (მათე 4,17).

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარ-  
ნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონ-  
თა დასნო, ძენო და ასულნო ღმრთისანო,  
მკვიდრნო საქართველოსა და უცხოეთში  
მცხოვრებნო თანამემამულენო, ლოცვითა  
და შუამდგომლობითა უფლისა ჩვენისა იესო  
ქრისტესითა, მამა ზეციერმან მოვანიჭოთ  
მაღლი სულია წმიდისა, რათა სუფივედეს  
თქვენს შორის ქვეყნარსა მართლმადიდებ-  
ელი სარწმუნოება, სიყვარული, სასოება,  
სიხარული, მშვიდობა, კეთილ საქმეთა შინა  
წარმატება, ხოლო ბოროტისაგან განრიდებ-  
ა და განთავისუფლება.

ქრისტესმიერი სიყვარულით ყველას გი-  
ლოცავთ პასექის ბრწყინვალე დღესასწა-  
ულს:

ქ რ ის ტ ე ა ღ დ გ ა !

მაშ, შევიმოსოთ სიყვარულით და ვადიდებ-  
დეთ მას, ჩვენთვის ჯგერცმულს და მკვდრე-  
თით აღმდგარს, ჩვენს სასოებას და ნუგეშს —  
ქრისტეს; სიყვარულს განუზომელს, სიბრძნეს  
მიუნდომელს, მშვიდობას უფლისმიერს.

სიკვდილის დამთრგუნველი მაცხოვრის  
წყალობა და მაღლი ეფინება ყველას, მაგრამ  
ბევრს არ ძალუძს მისი შეგრძნება, რადგან  
ცოდვებით დამძიმებული სული ვერ იღებს ნა-  
თელს; და განა ჩვენს შორის ცოტა არის ასე-  
თი?!

ამიტომაც გვიჭირს დღეს ცხოვრება. ქარ-  
თველი ხალხი ცდილობს მდგომარეობის გა-  
მოსწორებას, მაგრამ ხშირად ვერ აგნებს ნამ-  
დელი მიზეზს ჩვენი ყოფისა...

რატომ არის ამდენი მკვლელობა, მტრობა,  
ქურდობა; საქმისადმი ზერელე დამოკიდებუ-  
ლება, ხოლო შრომამი — უბარაქობა;

რატომ არის ამდენი ცილისწამება, გაუტან-  
ლობა, სიძულვილი, შფოთი, ღალატი; ასეთი  
შური, მრისხანება, ღვაძლი, სიცრუე;

რატომ ირღვევა ოჯახები, დაიკარვა სიყვარ-  
ული, თაობათა შორის — პატივისცემა;

რატომ არის ამდენი ლოთი, ნარკომანი, მე-  
ძაგი, მრუში;

რატომ კლავენ დედები შვილებს?!

იმიტომ, რომ მოიშალა საფუძველი ჩვენი  
ზნეობისა, დაიკარვა შიში უფლისა, განცდა  
ცოდვისა.

თავის დროზე რწმენა ჩაუკლეს ხალხს და  
მის ნაცვლად დანერგეს შიში ძალაუფლებისა  
და კანონის მიმართ. სასჯელის რიდით საზო-  
გადოება ასე თუ ისე, თავს იკავებდა მდბაღ-  
ვნებათა გამოვლენისაგან, მაგრამ დღეს, რო-  
დესაც სხვა და სხვა გარემოებათა გამო კანონი  
ნაკლებად კანონობს, ერთმანამ იფეთქა  
ღვთისმადლმოკლებულ საზოგადოებაში და-  
ბუდებულმა ბოროტებამ.

თუ გვასურს სწორ გზაზე დადგომა, წარსუ-  
ლის გათვალისწინებით უნდა შევხედოთ ჩვენს  
ანმყოფსა და მომავალს.

ყველა ერის წარსულში ჩანს ხალხის ნიჭი,  
ხასიათი, შესაძლებლობა, იკვეთება მისი ად-  
გილი ამ ქვეყანაზე, საცნაური ხდება მასში ჩა-  
დებული ღვთის განკებულება.

ამიტომაც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ,  
ისტორიულად რა გვახასიათებდა დადებითი  
და რა უარყოფითი, რომ კეთილი გზა კვლავაც  
გავაგრძელოთ, უკეთური კი შეძლებისდაგვარად  
მოვიკვეთოთ.

ამ ეპისტოლეში შევეცდებით, მოკლედ გან-  
ვიხილოთ ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი მხარე  
და გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება მის-  
დამი.

სამწუხაროდ, დღეს ქრისტიანები მხოლოდ სახელითა ვართ, სინამდვილეში კი ურწმუნოთა ცხოვრებით ვცხოვრობთ.

განა ამაზე არ მეტყველებს ის დაპირისპირება, რასაც ამჟამად ქართველთა შორის აქვს ადგილი? განხეთქილების მიზეზად შეიძლება ესა თუ ის პიროვნება დავასახელოთ, მაგრამ პიროვნებას რომ დასაყრდენი არ შევინდეს ხალხის ფართო მასებში, ეს არ მოხდება. საყრდენი კი წინააღმდეგობის, დაპირისპირების სულით დაღდასპული ჩვენი შინაგანი სამყაროა. დაპირისპირების ცოდვა ამპარტავნებიდან მოდის, რაც ოდითგან მოგვაგვამს, ოღონდ დღეს იგი განსაკუთრებულად მკვეთრი ფორმებით ვლინდება. ამის მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ მეტად დაბალია ჩვენი ინტელექტუალური დონე. წლების მანძილზე განათლებულობით ვამაყობდით, არადა გვაქვს მხოლოდ ზერელე ცოდნა და აქედან გამომდინარე ზერელე აღქმა საგნებისა და გარემო სამყაროსა.

ამასთან, ვერ ვხედავთ ზღვარს ცოდნასა და განათლებას შორის. ვერ ვგრძნობთ, რომ განათლება უფრო მეტის მომცველია, ვიდრე ცოდნა. ამიტომაც, ყველა მცოდნე ადამიანი განათლებულად ვერ ჩაითვლება. განათლება, ინტელექტი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მაღალ ზნეობას, რწმენას, სიყვარულს, სულიერობას.

სენი, რომელიც თანამედროვე საზოგადოების თითქმის ყველა ფენას ახასიათებს, არის დაბალი სულიერობა. ეს ითქმის ჩვენს ინტელიგენციაზე. ხშირად პრესით თუ ტელევიზიით გამოდის ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის ხელდაკავი, მეცნიერი, მწერალი ან ცნობილი პედაგოგი, რომელიც ერთი შეხედვით არ უარყოფს ღმერთს, მაგრამ რელიგიურად ისე მცდარადაზროვნებს, რომ ერთ მნიშვნელობას ანიჭებს იესო ქრისტეს, მუჰამედს, ბუდას...

როგორ შეიძლება ქრისტიანობის, მუსულმანობის, ბუდიზმის გათანაბრება? ეს ხომ ამ რელიგიების უცოდინარობის მარცხებულია და ნიშნავს იმას, რომ გაცნობიერებული არ გვაქვს ცხოვრების უმთავრესი მიზანი, არ ვზრუნავთ ჩვენს უკვდავ სულზე და არ გვანუხებს, რომ არასწორი პოზიციის გამო იგი შეიძლება სამუდამოდ წარვიწყიდით.

ინტელიგენციის და საეროდ გაველენიან პიროვნებათა ბედნიერებაც და უბედურებაც იმაშია, რომ მათ თავიანთი მრწამსით, თავიანთი ცხოვრებით სულიერად შეიძლება გადაარჩინონ ან დააღუპონ არა მარტო თავიანთი თავი, არამედ გარშემო მყოფნი და სხვა მიზნები.

დღეს ჩვენს ინტელიგენციას იმაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე თვითონ გრძნობს. ის როლი, რასაც თავის დროზე ასრულებდა სამეფო დინასტია, თავადაზნაურო-

ბა, ეკლესიასთან ერთად უნდა იტვირთოს ინტელიგენციამ. იგი უნდა იქცეს ერისთვის ჭეშმარიტი გზის გამკვლევად, ეროვნული მრწამსის, კულტურისა და ხელოვნების დამცველად და შემქმნელად. ამიტომაც ხელი უნდა შევუწყნოთ მისი დიდი ნიჭისა და მაღალი თვისებების მაქსიმალურ გამოვლინებას ერისა და ღვთის სამსახურად.

თუ წინამაღური საზოგადოების შექმნა გვსურს, ჩვენმა ინტელიგენციამ, ერისმთავრებმა უპირველესად უნდა იზრუნონ მოზარდი თაობის სწორ აღზრდაზე. ადამიანის ბუნება დაცემულია და ჩვენი ცოდვისმიერი თვისებანი ასაკისდავსიხვეთი გამოვლინდებიან; ამიტომაც ბავშვებმა თავიდანვე უნდა იხსნაღონ ავის და პირვის გარჩევა, ბრძოლა ბოროტებასთან და უფლის შეწევნით დაძლიონ მანკიერი მიდრეკილებანი. ამ რთულ საქმეს მასწავლებლები სიფრთხილით უნდა მოეკიდონ. კარგი იქნება, თუ ისინი უზნაძის განწყობის თეორიით ინელმძღვანელებენ და პიროვნულ თვისებათა გათვალისწინებით მიუდგებიან თითოეულ აღსაზრდელს. ბავშვებს თავიდანვე უნდა გაეუღვიძოთ გრძნობა ადამიანის ღირსების დანახვისა და დავაებისა, განვამტკიცოთ რწმენა იმისა, რომ ყოველი ჩვეთავანი ღვთისაგან განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული, ოღონდ აუცილებელია ამ მადლის გამოვლენა.

მოზარდი თაობა უნდა დაეუახლოვოთ შრომას. შევაცვართო მინა, ყვაფილები, ცხოველები, ბუნება; ვასწავლოთ მასთან კავშირი, რათა მან შემდეგ ადვილად დაამყაროს ჰარმონიული ურთიერთობა გარემოსთან.

სამწუხაროა, რომ ყოველივე ამის განსახორციელებლად ცოტა გვაყავს სათანადოდ მომზადებული პედაგოგი; არა გვაქვს კარგად შედგენილი პროგრამები.

სკოლის ცხოვრებაში სიახლის შეტანა რომ აუცილებელია, ყველა გრძნობს, მაგრამ ზოგჯერ არასწორ ნაბიჯებს დგამენ. მაგალითად, აპირებენ ინტელისური სკოლების გახსნას, სადაც პირველივე კლასიდანვე ყველა საგანს ბავშვებს უცხოებელი შეასწავლიან და ეს მიზნით ფრიად სასარგებლოდ; სინამდვილეში კი იგი დიდი შეცდომაა და ნიშნავს ჩვენს წარსულს მონყვეტილი თაობის აღზრდას. ანდა, ფიქრობენ რელიგიური სკოლების დაარსებას, სადაც საღვთისმეტყველო გაკვეთილებს პასტორები ჩაატარებენ. განა შეიძლება ასე ხელეცვით ჩვენი მეობა?

მართლმადიდებელი სარწმუნოება ხერხემალია ჩვენი ეროვნული სხეულისა. მისი შეცვლით ან დაკარგვით ჩვენ ვკარგავთ ქართულ სულს. ამის მაგალითი ბევრი გვაქვს; მხოლოდ ორს დავასახელებთ: წინა საუკუნეებში, კაჭირების გამო ზოგიერთმა ქართველმა კათოლიკობა მიიღო, რადგან თურქნი კათოლი-

ეკებს რომის სიძლიერის გამო არ ეხებოდნენ. დღესაც მათი შთაბოძავალი, საქართველოში მცხოვრებნი, თავიანთ თავს ფრანგებს უწოდებენ.

ცარიზმის გამთიშველი პოლიტიკის წყალობით სომხები XIX ს-ში გათავისუფლებულნი იყვნენ გადასახადისაგან. ბევრმა ქართველმა ცთუნებას ვერ გაუძლო და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიიღო გრიგორიანული სარწმუნოება. დღეს ეს ხალხი ფაქტიურად დაკარგულია საქართველოსთვის. ეს ერთი მხარეა საკითხისა.

მაგრამ უმთავრესი მეორეა. ანუ შეგნება იმისა, რომ თითოეული ჩვენთაგანის მრწამსი, აღმსარებლობა, ღვთის ქმშნარტ გზას უნდა დაეფუძნოს. მართმადიდებლობა არის ის სარწმუნოება, რომელმაც შეურყვნელად დაიცვა იესო ქრისტეს და მის მოციქულთა სწავლება. მართლმადიდებლობამ დაიცვა ერთიანი განუყოფელი ეკლესიის ტრადიცია. მართლმადიდებლობის გარეშე არ არსებობს ხსნა, რადგან ქრისტეა თავი ეკლესიისა და ეკლესიაა მისტიური სხეული მისი და თუ არ ვიქნებით წევრი მისი ეკლესიისა — ნაწილი მისი სხეულისა, ნიღარა გვაქვს მაცხოვრებელს. "ეკლესიის გარეშე ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს სულიერდევს: პქონდეს რწმენა მამის, ძისა და სულიწმინდისა, ქადაგებდეს, საიდუმლოებსაც აღასრულებდეს, იყოს დაფასებული, მაგრამ სულის ხსნას ვერ შეძლებს — ვერ მოიპოვებს მარადიულ ცხოვრებას" (ნეტარი ავგუსტინე).

უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია მუდამ წმინდაა. ცალკეულ სასულიერო პირთა თუ მორწმუნეთა უღირსი საქციელი ვერ დაჩრდილავს მის სიღაღეს. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ეკლესია მებრძოლია, რამეთუ გამუდმებულ დაპირისპირებაშია ბოროტებასთან. უკეთურობამ მას შეიძლება დაღი დაასვას, მაგრამ გამარჯვებული მაინც ყოველთვის იქნება ეკლესია, რადგან იგი თვით უფლის მიერ კლდესა ზედა არის დაფუძნებული და "ბქენი ჯოჯოხეთისა ვერ მოერყენას მას".

70-წლიანმა მძიმე ცხოვრებამ საქართველოს ეკლესიაზეც იქონია გავლენა, დღეს ჩვენს მოძღვართა შორის ბევრნი არიან თავდადებულნი, მაგრამ სუსტნიც არიან. მე იმედო მაქვს, ღვთის შეწევნით, მომავალში კიდევ უფრო განმრავლდებიან კეთილნამდვირი მოღვაწენი, ბერ-მონაზონნი, რომელნიც ვითარცა მანათობელნი ლამპარნი, ხალხს უჩვენებენ უფლისაკენ საკალ სწორ გზას და მსხვერპშენირული სიყვარულის მაღლით მიეხმარებიან მათ ჯვარის მტკიერთველობაში.

თანამედროვე ეტაპზე მტკაფ აუცილებელია სხვა სახელმწიფოთა მიმართ სწორი დამოკიდებულების გამომუშავება. დღეს მსოფლიო ჩაბმულია ერთობლივ პროცესებში. ეკონომიკურად, პოლიტიკურად თუ ინტელექტუალურად წაყვანი ძლიერი ქვეყნები ნებით თუ უნებურად ერევიან სხვა ერების ცხოვრებაში და არ აძლევენ მათ საერთო ჯაჭვიდან ამოვარდნის საშუალებას; ეს კი დიდ საფრთხეს უქმნის მცირერიცხოვანი ხალხების სულიერ და კულტურულ თვითმყოფადობას. იმავე პრობლემების ნინაშე ვდგავართ ჩვენც. დასავლეთის ქვეყნებისაგან საქართველოს პოლიტიკურად ისეთი დიდი საშიშროება არ ემუქრება, რამდენადაც მორალური და ზნეობრივი. ჩვენთვის ასევე დამატრეკლებელია მათი ინდიფერენტულობა ეროვნული და სარწმუნოებრივი საკითხებისადმი.

ქართველ ხალხს მიმბაძელებობისაკენ ღტოლვა ახასიათებს. ეს კარგია, თუ სასარგებლოს სწავლობ ანუ ვაქვს ნიჭი თვითრის და შავის გარჩევისა, მაგრამ საშიშროება სწორედ იმაშია, რომ ხშირად განსჯის უნარი ვეკარგება და ცალმხრივად ბრმად ვიღვბთ სხვისი ცხოვრებისა თუ აზროვნების წესს.

ჩვენ აუცილებლად უნდა შევითვისოთ სხვათა გამოცდილება და მიღწევები, ოღონდ საკუთარ საფუძვლებზე დაყრდნობით. მხოლოდ მაშინ იქნება იგი ღირსეული ჩვენი ხალხისთვის და ანგარიშგასაწევი და დასაფასებელი სხვა ქვეყნებისთვისაც. ასე შეიქმნა მსოფლიოში ცნობილი ქართული კულტურა და დღესაც ეს გზა უნდა გავაგრძელოთ.

ამ საქმეში მტკაფ დიდი როლი უნდა დაეკისროს ეროვნულ მოძრაობას.

ზოგიერთის ფიქრით, ეროვნული მოძრაობა დროებითი მოვლენაა, რომლის მიზანი ერის გათავისუფლებისათვის ბრძოლაა. ასეთი შეხედულება მცდარია. ვიდრე ვარსებობთ როგორც ერი, უნდა იყოს ეროვნული მოძრაობაც, რომელმაც უნდა მოიცვას ჩვენი ცხოვრების ნებისმიერი სფერო და ყველაფერი უნდა გააკეთოს ხალხში ზნეობის ამაღლებისათვის, ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცებისათვის, ქართული ხასიათის გათვალისწინებით ჩვენი შინაგანი დაღებოთი ძალევის გაღვიძებისა და ახალი იდეების განხორციელებისათვის, პიროვნების ტლანტის მაქსიმალური გამოვლენისათვის.

ფიქრობ, ხელისუფლების, ეკლესიის, ინტელიგენციის, ახალგაზრდობისა და საერთოდ ერის საუკეთესო ნაწილის წარმომადგენლებმა უნდა შეიმუშაონ და ჩამოაყალიბონ ეროვნული მოძრაობის პროგრამა; უნდა განისაზღვროს, რას უნდა მოიცავდეს იგი და სად როგორ განხორციელდეს. ამავე დროს უნდა განისაზღვროს სავარაუდო უარყოფითი შედეგებიც.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა არცერთ სახელმწიფოსთან, და განსაკუთრებით მეზობელ ერებთან, არ გქონდეს მტრული დამოკიდებულება.

ამიტომაც საჭიროა მაღალი ინტელექტის მქონე დიპლომატების აღზრდა; საჭიროა დიპლომატიური სკოლების დაარსება, სადაც ახალგაზრდები შეითვისებენ ჩვენი ხალხის და მსოფლიო ქვეყნების დიპლომატიურ გამოცდილებას და შეძლებისდაგვარად გააკეთებენ ყველაფერს, რათა საქართველომ თავისი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ერთა შორის.

ჩვენს წინაშე ასევე დგას პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი.

წმინდა წერილიდან ვიცით, რომ ადამიანი არის ღვთის ხატი და მსგავსი განსაკუთრებული ქმნილება. იგია ქვეყანასა და ზეცას, მიწიერ და სულიერ სამყაროს შორის დამაკავშირებელი ძალა.

ადამიანი დადგენილია სამოთხეში მოქმედებისათვის, მისი დაცვისათვის, რაც ბოროტებისაგან საკუთარი სულის დაცვას ნიშნავს და გულისხმობს ღვთის სიყვარულს, შრომის სურვილს, შემეცნების უნარს და, რა თქმა უნდა, ზნეობრივ ცხოვრებას.

ადამიანთა ერთობა ქმნის ოჯახს, გვარს, ერს, სახელმწიფოს. სულიერად განწმენილ პიროვნებათა კავშირი — ასეთივე სახელმწიფოს, ხოლო ცოდვისაგან დათრგუნულთა ერთობა — შესაბამის ოჯახსა და საზოგადოებას. ამიტომაც, ვინც ფიქრობს ერის მომავალზე, უპირველესად უნდა იფიქროს თავის სულიერ ამაღლებაზე და დაიწყოს ერის გამოსწორება თავისი თავის განწმენდით — საკუთარი ჯვრის მტვირთველობით, ღვთის ჭეშმარიტ გზაზე დადგომით. მხოლოდ ამის შემდეგ დაინახავს ადამიანი სინამდვილეში სხვას რა უჭირს და იმასაც მიხვდება, როგორ უშველოს მას.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქვეყნის განმგებელთა — როგორც საერთო, ისე სასულიერო პირთ. ხშირია შემთხვევა, როცა თანამდებობის მქონე თავისი არასწორი საქციელის გამო იქცევა კერპად. წმინდა მამები გვარიებენ, რომ ხალხზე მოქმედება და მისი მოქცევა უნდა მოხდეს ისე, რომ ჩვენ ჩრდილში დავრჩეთ, ხოლო ერმა უპირველესად ადიდოს ღმერთი და არა კაცია.

ნებისმიერი ხალხის ისტორიაში დაუფინყარია მათი სახელები, რომელნიც თავისათი სძწმინდელი ამგვარად ემსახურნენ ერს. ასეთი იყო მაგალითად წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი.

„გალობანი სინანულისანი“ არის პიროვნული და ერის ცოდვების მტვირთველი ქვეყნის განმგებლის აღსარება. დღევანდელი ადამიანი იმდენად დატყვევლია, რომ აღარ ესმის, რატომ გამოთქვამს ასეთ სინანულს მეფე წმინდანი. ხალხს აღარა აქვს ხმამაღლა გაცხადებული აღსარების სიდიადის შეგრძნება;

„გალობანი სინანულისანი“ საკუთარი თავის გაკერპების წინააღმდეგ ბრძოლის დას-

ტურიცაა, ისევე როგორც დავითის სურვილი, დაკრძალულიყო გელათის ტაძრის ქიშკარში, რათა კაცთა და პირუტყვთ მის საფლავზე დაედგათ ფეხი.

ამგვარი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი დავით აღმაშენებლის ზნეობის, მისი სულიერი სინამდის მაჩვენებელია; ამის სანაზადმდეყო მაგალითია, ვთქვათ, ნაბუქოდანოსოსორი, რომელმაც თავისი კერპი აღმართა და უნდოდა ყველას თავყანი ეცა მისთვის იმიტომ, რომ მისი მიზანი იყო ამქვეყნიური, მიწიერი დიდებულება და ნეტარების მოპოვება, თავისი „მეს“ დამკვიდრება.

ასე რომ, პიროვნების როლი და შესაძლებლობა კაცობრიობის ცხოვრებაში განუზომელია. მას შესწევს ძალა, ღმერთამდე ამაღლდეს სათნოებით და ქვესკნელამდე დამდაბლდეს უკეთუფრებით, ამპარტაყნებით. ყველაფერი ჩვენს თავისუფალ ნებაზე დამოკიდებულია.

„იყვინთ უკუე მობაძავე ღმრთისა, ვითარცა შვილნი საყუარელნი და ვიდოდეთ სიყუარულით, ვითარცა იგი ქრისტემან შემიყუარნა ჩუენ და მისცა თავი თჳსი ჩუენთვის შესწირაჲვად“ (ფეხსელთა 5, 1-2) — გვარიგებს მოციქულნი.

უფლის მცნებებით ცხოვრება, მართალია, ჭირს ჩვენს აპოკალიფსურ დროში, მაგრამ ღმერთი არ დაგვტოვებს და შეენევა ჩვენს უძლურებას.

„სასოებლით მაცხოვარს, რამეთუ იცის უფალმან ღმრთის მსახურთა მათ განსაცდელთაგან ხსნა“ (2 პეტრე 2, 9)

მაცხოვრის აღდგომის დღესასწაული არის საფუძველი ჩვენი სარწმუნოებისა, იმედი ჩვენი მომავლისა, ჩვენი ერის გადარჩენისა.

საადგომო ეპისტოლე წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებით მიხნდა დავამთავრო:

მოდით ყველანი, განიცადეთ სიხარული უფლისმიერი; მდიდარნი და გლახანნი, ზიკი მყავთ ერთად; ჭირთა დამთმენნი და სულმოკლენი, თავყანი ეცით დღესა ამას. სარწმუნოების ტრაპეზი იხმიეთ ყოველთა და მიიღეთ სიმდიდრე მადლისა... ამიერიდან ნუ შეაძრწუნებს სიკვდილის შიში თქვენს გულებს, რადგან მაცხოვრის მადლით განთავისუფლდით. დათრგუნა სიკვდილი სიკვდილით მოსულმა, წარტყვენს ჯოჯოხეთი, ქვესკნელში ჩასულმა... სადა არს, სიკუდილი, საწერტული შენი, სადა არს, ჯოჯოხეთი, ძლევაა შენი? (1 კორინთ. 15, 55).

აღდგა ქრისტე, დამხვენენ დემონნი, აღდგა ქრისტე და განიხაროს ანგელოზთა, აღდგა ქრისტე და აღდგა სიციცხლე საუკუნო. დიდება მას უკუნისამდე.

აღდგომა ქრისტესი  
თბილისი  
1992 წელი



რწყინდა მზე სიმართლისა და გამოჩნდა გზა მარადიული ნეტარებისა; მდიდართ და გლახაკთ, ბრძენთ და უსწავლელთ, ხანდაზმულთა და ყრმათ, — ყველას უხმობს უფალი სიხარულის ტრაპეზზე, რათა მიაგოს თითოეულს ღირსებისაებრ მათისა. „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნენ უსჯულოებანი და რომელთა დაეფარნენ ცოდვანი“ (რომ. 4, 7).

ვინ არის ღირსი ამ მადლისა, ასეთი მოწყალებისა? — ის, ვისაც ესმის ამქვეყნიური ცხოვრების არსი, ვინც სიტყვით და საქმით შეძლებისამებრ ადიდებს ჭეშმარიტ ღმერთს და აცნობიერებს თავის მისიას ამ ნუთისოფელში.

ყოველ ადამიანს საკუთარი იდეა, საკუთარი მისწრაფება აქვს, რომლის განხორციელებისთვისაც იგი იღვწის, მაგრამ არსებობს ყველასთვის საერთო იდეაც — ეს არის სწრაფვა ამაღლებისკენ, ღვთის მსგავსებისაკენ.

რა საქმიანობასაც არ უნდა ენეოდეს კაცი, უმთავრესი მისთვის შემოქმედთან მიხაზლოების სურვილი უნდა იყოს. ბიბლიაში გვიტყულობთ, ყოველდღივად სამუშაო ადამიანის შექმნა რომ გადაწყვიტა, ბრძანა: „ვექმნეთ კაცი ხატისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ“ (დაბადება 1, 26). ნაშასადამე, რადგანაც ადამიანი ღვთის ხატად შეიქმნა, სწრაფვა სრულყოფისაკენ, პირველსახის ანუ ღვთისკენ იმთავითვე მის თანდაყოლილ ბუნებრივ თვისებად იქცა. ამიტომაც სურვილი განვითარებისა და წინსვლისა თითოეულ ჩვენთაგანში არსებობს, ოღონდ უნდა ვიცოდეთ, რას გულისხმობს ჭეშმარიტი ამაღლება და ჩვენი ყოველი მოქმედებაც აქედან გამომდინარე უნდა შეფასდეს.

იდეა უნდა ჰქონდეს ერსაც; მას ცხადად და გარკვეულად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული საუკუნეთა მანძილზე უპირველესად რას ემსახურა. ჩვენი ხალხის ისტორია გვაფიქრებინებს, რომ ღვთისკენ სწრაფვის ძირითად იდეას, უპირველეს ყოვლისა, მოყვასის სიყვარულით ვაზორციელებდით და მიუხედავად ყველადრისა, ადვსაც ვაზროციელებთ. ეს სიყვარული ადუღაბებს და ამთლიანებს სრულიად საქართველოს.

აღბათ, ესაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ წარსულშიც და ახლაც შინაური თუ გარეშე მტერი არ მოგვეკლებია — ბოროტი ძალა ებრძვის სიყვარულის მტარებელ ერს, რათა ეს ნიჭი დაკარგვის, რადგან იცის, მიზნის მიღწევის შემთხვევაში, უფალს განგვაშორებს; ამიტომაც ამ მადლს განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ და ღმერთთან და ერთმანეთთან სიყვარულის წყალობით გავერთიანდეთ.

საღვთისმშობლის  
წმინდა

ლვთისმშობლის წიხვჯიხი  
იჯიხიხი  
ლვთიჯჯიხთჯჯიხი მვიხიხი:

„ან განთავისუფლებულ ხართ ცოდვისაგან,  
და დამონებულ ხართ სიმართლესა“  
რომ. 6, 18

ყოველადუსამღვდელოესნო მწყემსმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერმონოზონნო, ძენო და ასულნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ივერიის წმიდა მინის მკვიდრნო და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, გიხაროდეთ,

ქ რ ი ს ტ ე ა ლ დ გ ა !

აღდგა დაკარგული ერთობა ღმერთთან,  
აღდგა სასოება და იმედი კაცთა, აღმობ-

უფალი ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლებას აძლევს: პიროვნება თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რას ემსახურება: ცოდვას თუ სიკეთეს, ბოროტებას თუ სიყვარულს. სასუფეველი ღვთისა იძულებით მოიპოვება, რადგან ცოდვასთან ბრძოლით და მასზე გამარჯვებით ხდება ადამიანისა და ღვთის ნების შეერთება — სინერგია, რაც არის საფუძველი პიროვნების გადარჩენისა.

გზის არჩევნისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გულს, რადგან აქ იბადება როგორც ბოროტი, ისე კეთილი ზრახვანი. თუ გული სუფთაა და საესეა რწმენით, სასოებითა და სიყვარულით, თუ იქ ადვილი არა აქვს შურსა და მტრობას, თუ მას შეუძლია სხვისი სიხარულისა და ტკივილის გაზიარება, იქ მაღლი განმრავლებდა და იგი უღლიწმიდის საგანედ იქცევა; ასეთი გული ადვილად სძლევს მინიერ საცდურს, რომელიც ყოველდღიურად ცდილობს ბინიერების ქაობში ჩვენს დანთქმას.

მაგრამ როგორ განვიმნიშნოდით გული ცოდვათაგან?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვისწავლოთ სამართლიანი განსჯა საკუთარი თავისა. ჩვენს სულში ორი „მე“ უნდა განვასხვავოთ და ყოველ ჩვენს საქციელსა და გულისმიერ ზრახვას სხვისი თვალთაც შევხედოთ.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: „ჩვენში ორი გონია. ერთი კეთილია და შედეგია ყოველივე მშვენიერისა, მეორე კი — დაცემული და მდაბალ ვენებათა მსახური. ერთი გონება ნათლისსაკენ ისწრაფვის და სურს თაყვანი სცეს ქრისტეს, ხოლო მეორე, ხორცის და სისხლის გონება, ჰქრის ბნელსა შინა და მზად არის ტყვე იქნას ბელიარისა“.

ხოლო წმ. ისააკ ასურის ბრძანებს: „ნეტარ არს კაცი, რომელი შეიცნობს თავის უძლურებას, რამეთუ ამის ცოდნა ხდება საწინდარი კეთილწამებებისა“.

ასეთი ადამიანი განკითხვის ცოდვისაგან თავისუფლდება, თავმდაბლობით იმოსება და ღვთისა და მოყვასის სიყვარულით იესება. ხოლო **„სიყვარულმან მოყვასსა თვსა ბოროტი არა უყვის“** (რომ. 13, 10).

მაგრამ არიან პიროვნებანი, რომელნიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ და თავის მდაბალ „მეს“ ეგოისტურ მოთხოვნილებებს ემორჩებიან. მათთვის გაუგებარია შეგონება: „იციხოვრე სხვისთვის, თუ გსურს ემსახურო შენს თავს“.

არიან ასევე პიროვნებანი, ბოროტის ქმნის სურვილით შეპყრობილნი, ღვარძლით აღვისილნი, რომელნიც ირგვლივ სიძულვილს თესენ, და სხვაშიც მხოლოდ ბოროტებას ხედავენ. გავისხენოთ ერთ დროს კეთილი მეფე

საული, შურის და ეჭვის ნიადაგზე ისე დაეცა, წმ. დავით წინასწარმეტყველის მოკვლა სურდა, თუმც მხოლოდ მისი ფსალმუნები კურნავდა მის სულს.

ასეთი ადამიანები სიყვარულის ნაკულე-ვანების გამო იტანჯებიან. მათ, მართალია, ხშირად მწუხარება მოაქვთ მოყვასისათვის, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც საკუთარ თავს მტრობენ, რადგან სულიერი სიხარულისთვის სიცოცხლეშივე მკვდარნი არიან, იმქვეყნად კი უცილობელ სატანჯველს იმზადებენ.

ბოროტთა სიბოროტე უნდა ვაჭყულებდეს, მაგრამ ქმნილება ღვთისა უნდა გვიყვარდეს და გვებრალეოდეს. უცოდველი არავინ არის, დაცემის გარეშე ცხოვრება არ არსებობს, მაგრამ აუცილებელია, სურვილი გვექონდეს გამოწონებისა, ღვთის გზით სვლისა.

ჩვენს სხეულს სიცოცხლეს სული ანიჭებს, სულს — ღმერთი. და როგორც სულს გაყრილი სხეული კვდება, კვდება სულიც ღვთის გარეგანი. ამიტომაც ქვეშაარტებასთან ნილნაყარ კაცზე დიადი არაფერია და არც უფალი მონყვეტილ ადამიანზე მდაბალი და საცოდისა.

ბოლო დროს მრავალი უარყოფითი თვისებისა და ემოციის გამოვლენის მოწმენი გავხდით. ეკონომიკურმა ვაჭირებამ ცხოვრება კიდევ უფრო დაამძიმა და ზოგერთში მომავლის სერიოზული შიში დაბადა. ხშირად გვესმის სიტყვები: „კატასტროფული მდგომარეობა“, „რა გვეშველება?“ არადა ეუნყით, **„რამეთუ ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინება — გამოცდილებასა, ხოლო გამოცდილება — სასოებასა“** (რომ. 5, 3-4).

ამასთან სიტუაციას სწორად ვერ ვაფასებთ. გვეგონა იმპერიიდან გამოსვლისას ხალიჩებს დაგვიფენდნენ. მოსალოდნელი კი, ახლანდელთან შედარებით, უფრო უარესი მდგომარეობა იყო.

„რა გვეშველება?“ — ურწმუნოთა კითხვაა. არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ მომავლის იმედი ადამიანის იდეის ნაწილია და ქრისტიანულ სათნოებათაგან ერთ-ერთი პირველთაგანია.

პიროვნება თუ ერი თვითონ ქმნის თავის ხვედრს. თუ ჩვენ ღვთის მცნებათა დაცვით ვიცხოვრებთ და ღვთის შიში და სიყვარული იქნება ჩვენი თანამდევნი, ვერავითარი ძალა ვერ მოგვერევა.

ვინ გადაარჩენს მას, ვის წინააღმდეგაც ღმერთია აღმდგარი? ვინ სძლევს მას, ვისი შემწეუ უფალია?

ერის უნებობრივ სახეს ყოველთვის რჩეულინი წარმოაჩენდნენ, მადლობა ღმერთს,

ასეთი შვილები ჰყავს ჩვენს სამშობლოს. ჩვენ ამასთან მონმენი ვართ იმისა, თუ რამდენი ახალგაზრდა უანგაროდ ეწირება საქართველოს მიწა-წყლის დაცვას აფხაზეთში, რაც ერის სულიერი პოტენციალის გამოვლინებაა.

ორასი წელია საქართველოსთვის არ გვიბრძოლია. ამ ომმა გავგვხსენა, რომ სამშობლო მხოლოდ კი არ გვაძლევს, მსხვერპლსაც ითხოვს ჩვენგან. დღეს მრავალი ჭაბუკი რწმენითა და მამულის წინაშე ზნეობრივი ვალის კანონით იბრძვის. მართალია, დღეა ქვეყნის მთლიანობისათვის თავდადებულთა რიცხვი, მაგრამ გვეჯერა, დღეთსა და ერის წინაშე დამსახურებისთვის ისინი სასუფევლის ღირსნი გახდებიან და ქართველთა ზეციურ მხედრობის შეუერთდებიან.

ჩვენ პატივს მივაცემთ იმ აფხაზ ახალგაზრდებს, რომელნიც თითქოს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის რწმენით დაეცნენ, სინამდვილეში კი გარეშე ძალების ბოროტი ზრახვების მსხვერპლნი გახდნენ.

დრო კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს მტყუნასა და მართალს. ისტორია, კაცობრიობის გამოცდილება ადამიანებს ბევრს ასწავლის, მხოლოდ უგუნურნი ქმნიან ანმცოს წარსულის გაუთვალისწინებლად. რა სამწუხაროა, რომ ზოგჯერ ასეთი პიროვნებები თავისი მიზიერი ვერაგი მიზნების განხორციელებისათვის ასეულობით ადამიანის დაღუპვას ახერხებენ.

ჩვენ საქართველოს ხვალისდღე დღეზე უნდა ვიფიქროთ. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა კავშირი გვექნება მეზობელ ქვეყნებთან, საერთოდ გარე სამყაროსთან. ურთიერთობები, ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე უნდა იყოს აგებული, რაც მაღალ დიპლომატიასა და სულიერობას მოითხოვს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხშირად ვინც კამათში იმარჯვებს, მეგობრებს კარგავს. ამიტომ სხვა ქვეყნებთან შეხებისას წონანორობის დაცვა გვმარტებს.

რაც შეეხება ჩვენი ცხოვრების წესს, ფიქრობთ, ვიდრე ადამიანები არ მოიპოვებენ შინაგან თავისუფლებას ანუ არ განმორდებიან ცოდვას, დემოკრატიის ცხოვრებაში განხორციელება არ მოხერხდება და იგი მხოლოდ ლოზუნგად დარჩება.

ერის სულიერი ამაღლების საქმეში დიდი როლი ეკისრება ინტელიგენციას. ჩვენ ამ მხრივ ნამდვილად გვყავს ისეთი ძალა, რომელიც შეძლებს ხალხს გაუძღვეს, ოღონდ აუცილებელია ეკლესიასთან მისი დაკავშირება, რათა ამპარტავნებამ და თვითდაჯერებამ არ იძლეავეროს მასში.

დღეს გვიკვირს მათი, ვინც ადრე კერპებს სცემდა თავყვანს; და განა უფრო მეტად საწყალობელი არ არის ის „ბრძენი“, რომელიც თავის შემოსაზღვრულ გონებას კერპად აქცევს და მხოლოდ მისგან ისმენს „ჭეშმარიტებას“. გონიერება რწმენის გარეშე სუსტი ხელჯონია, რომელიც აუცილებლად გადატყვდება.

ინტელიგენციამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენს ხელოვნებას, პრესას, ლიტერატურას, განსაკუთრებით კი რადიოსა და ტელევიზიას.

უნდა აიკრძალოს ამორალური და ე. წ. ძალადობის ფილმების ჩვენება. საზოგადოებაში ისედაც დიდი უარყოფითი მუხტია დაგროვილი, ეს კი უფრო აძლიერებს ამგვარ ემოციებს და ადამიანურ ურთიერთობებს ძაბავს.

ჩვენი გული და აზროვნება სიკეთისაკენ უნდა მივმართოთ, რათა დავიბრუნოთ ნამდვილი სარწმუნოება, და ამპარტავნებისაგან განსავსისუფლებლებმა ავადორძინოთ ჭეშმარიტი სიყვარული.

სათნოებათა შორის ყველაზე ადვილად განსახორციელებელი მოწყალების გაცემაა. დღეს, როდესაც ძალიან ბევრს უჭირს, მრავალი შესაძლებლობაა სიკეთის ქმნისა. მწყურვალისათვის ერთი ჭიქა წყლის მიწოდებაც უფლის წინაშე დიდად შერაცხილია.

შენივ გაჭირვებულს, თუ გასურს, ღმერთი შენც შეგეწიოს, მიაწიჭე მოყვას დროებითი სიხარული, თუ გასურს მარადიული ნეტარების ღირსი გახდე, გაუნანილე ქვეყნიური სიკეთე სხვებს, თუ გინდა რომ ზეციურ მადლს ეხიარო.

შვესთხოვე ღმერთს, ღვთაებრივი უშრეტო წყაროდან გარდამოიღვაროს ჩვენს გაციებულ გულებში რწმენა, სასოება, მშვიდობა და სიყვარული, რათა შერუცხვენლად შეხვდეთ დღეს მსოფლიო სიხარულის დღესასწაულს სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისა.

„სადა არს ძლევაი შენი, სიკვდილო, სადა არს სანერტელი შენი, ჯოჯოხეთო“ (ოსია 13, 14)?!

სიკვდილი დაემხო, ჯოჯოხეთი შეიმუსრა.

### ქ რ ი ს ტ ე ა ღ ღ გ ა ! გიხაროდეთ.

აღდგომა ქრისტესი,  
თბილისი.  
1993 წელი

საქართველოს  
პარლამენტის  
ქრონიკული  
ბიბლიოთეკა



სხელინე სანჯითველს  
ხათოლიხოვ-ჰასხიხიჟი  
ილია II  
სინის წილჲ მთაზუ  
ქ ა დ ა ბ ე ბ ა

არსებობს ისეთი ადგილები, სადაც განსაკუთრებით მოქმედებს ღვთის ძალი, და ამ ადგილების საშუალებით ადამიანსაც განსაკუთრებით ევლინება ღვთაებრივი მადლი. ასეთია იერუსალიმი, სადაც ყოველი ტაძარი აშენებულია ღვთის სახელზე. ასეთია სინის მთა, სადაც მოსე წინასწარმეტყველს გამოეცხადა უფალი და გადასცა ათი მცნება. ეს არის ის წმიდა ადგილი, სადაც უფალი ესაუბრა მოსე წინასწარმეტყველს, სადაც უფალი, ასევე, გამოეცხადა ილია წინასწარმეტყველს.

მისი უნეტარესობის, ალექსანდრიის პაპისა და პატრიარქის, ნიკოლოზ VI-ის მოწვევით, ჩვენ გახლდით ალექსანდრიაში, ეგვიპტეში.

დიდი ლოცვითა და სიყვარულით დადგა თქვენ იმ წმიდა ადგილზე, სადაც მოღვაწეობდნენ ათანასე და კირილე ალექსანდრიელები, ეგვიპტის ღირსი მამები: ანტონი, თეოდოსი, მაკარი, ონიფრე, პავლე თიბათიელი და მრავალი სხვა.

კაიროში ჩავედით თვითმფრინავით. ჩვენს შესახვედრად ალექსანდრიიდან კაიროში ჩა-

მობრძანდა მისი უნეტარესობა ნიკოლოზ VI თავისი მღვდელმთავრებით. იგი სიყვარულით აღსავსე შეგვხვდა. 2000 წლის მანძილზე ეს იყო პირველი ისტორიული ვიზიტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა ალექსანდრიაში. ამიტომ საეკლესიო პირებმა, პრესამ დიდი ყურადღება მიაქციეს ჩვენს სტუმრობას და გაზეთებში ყოველდღე იბეჭდებოდა ცნობა იმის შესახებ, თუ სად ვმოგზაურობდით ჩვენ.

კაიროში ჩავედით 5 (18) მაისს, ღამით. დილა მდე დავისვენეთ და შემდეგ უკვე მანქანებით გავემგზავრეთ ალექსანდრიაში.

ალექსანდრია ბრწყინვალე ქალაქია. იგი მდებარეობს ზღვის სანაპიროზე. დაარსებულია ალექსანდრე მაკედონელის მიერ. ამჟამად ეძებენ ალექსანდრე მაკედონელის საფლავს, მაგრამ ვერ პოულობენ. ალექსანდრიაში 3 მილიონამდე მოსახლეობაა. ქალაქი საკმაოდ დიდია, აქვს უზარმაზარი პორტი; იქ არის მთავარი რეზიდენცია მისი უნეტარესობის, ნიკოლოზ VI-ის. დავათვალიერეთ ტაძრები, მონასტრები; კვირა დღეს შევასრულეთ ერთობლივი წირვა საპატრიარქო ტაძარში. ეს იყო ბრწყინვალე წირვა. შევედრეთ უფალს ჩვენი ღვთივკურთხეული ერი, სრულიად საქართველო. ვხაზეთ ის ადგილი, სადაც აწამეს მოციქული მარკოზი. მოციქული მარკოზი ალექსანდრიის ეკლესიის დამაარსებელია. იგი არის მქადაგებელი აფრიკისა, მოციქული აფრიკისა. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ მისმა უნეტარესობამ საჩუქრად ვადმოცა XIV საუკუნის ხატი — წმ. მარკოზისა, რომელიც ჩამოვიტანეთ და გვექნება აქ, ტაძარში.

დავთვალიერეთ ის ადგილი, სადაც აწამეს წმ. დიდი მონაზე ეკატერინე. დღესაც არსებობს ის ქვა, რომელზედაც თავი მოჰკვეთეს წმ. ეკატერინეს. იქ არის ბერძნების სათვისტომო, რომელთაც დიდი წვეულება გაავლინათეს. ჩვენ, აგრეთვე, ვენვიეთ ალექსანდრიის გუბერნატორს. იგი მუსულმანია; დიდი სიყვარულით შეგვხვდა და თქვა: ორი პატრიარქის მობრძანებაში მე ვხედავ ღვთის დიდ ლოცვა-კურთხევას, რომელიც ჩემზე გადმოვიდა.

ყველაზე საოცარი, რისთვისაც არ შეიძლება არ მიმეცქია ყურადღება — იყო ხალხის რწმენა. დღემდე წაჯერ მათ აქეთ ლოცვა. როდესაც მოიღის ლოცვის დრო, მუსულმანი ჩერდება წებისმიერ ადგილზე, იჩოქებს და ასრულებს, ასე ალბათ, ათწლეულის ლოცვას. საღამოს პირზე, საათის ხუთზე, არის საყოველთაო ლოცვა, ამ დროს მთელი მოძრაობა ჩერდება. დიდი, პატარა, მოხუცი, ახალგაზრდა — ყველა ლოცულობს; ხალხი ქუჩებშია დაჩოქილი. განსაკუთრებით ყურადღება მივაქციე ახალგაზრდობას; როგორი რწმენით, როგორი სიყვარულით ლოცულობენ ისინი, სამხედროები, მთელი ხალხი... ქუჩაშივე ფეხზე იხდიან და ლოცულობენ ფეხშიშვლით.

სამ-ოთხ დღეს დავყავით ალექსანდრიაში

და შემდეგ ნაშოვედით ისევ კაიროში. კაიროში მის უნეტარესობას ნიკოლოზ VI-ეს ასევე აქვს საპატრიარქო ტახარი და რეზიდენცია. ორი რეზიდენცია აქვს — ერთი კაიროში, ერთი ალექსანდრიაში.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე წმ. გიორგის მონასტერმა. ეს ის ადგილია, სადაც აწამეს წმ. გიორგი. წინათ ამ ადგილზე ყოფილა ციხე-სიმაგრე. იქ ყოფილა ჯარი. წმ. გიორგი, როგორც თქვენი იცით მისი ცხოვრებიდან, გახლდათ მხედართმთავარი სწორედ იმ ჯარისა, რომელიც იქ იყო. როდესაც დიოკლიტიანემ გაიგო, რომ წმ. გიორგი იყო ქრისტიანი, გასცა ბრძანება, ეწამებინათ. მონასტერში შენახულია საშინელი იარაღი. ესაა ურმის თვლის მსგავსი ბორბალი, რომელზედაც ვარშემო მტკავლის ოდენა დანები; თვითონ ბორბალი რკინისაა. მასზე იყო გაკრული წმ. გიორგი. ამ ბორბალს ატრიალებდნენ და დანებით სჭრიდნენ წმიდანის ხეხულს. იქვე არის შენახული ჯაჭვი, ბორკი-ლები, რითაც დააბეს იგი. ასევე, იქ არის რკინის ფეხსაცმელები, რომელსაც შიგ აქვს 6-7 სმ-ის ტოლი რკინის ლურსმნები; თითო ფეხსაცმელში იქნება 30-მდე ლურსმანი. ეს ფეხსაცმელები ჩააცვეს წმ. გიორგის. დიდი სიფაქიზით ინახავს ალექსანდრიის ეკლესია ამ სინძიდეს. ჩვენ მოკრძალებით ვემთხვიეთ წმ. გიორგის ხატსა და იარაღს, რომლითაც იგი აწამეს. წამოვიღეთ პატარა ხატი, თქვენი შესაძლებლობა გექნებთ, ემთხვიეთ მას.

კაიროში დიდი შეხვედრა გაგვიმართა, აგრეთვე, ბერძნების სათვისტომოში; ყველა საუბრობდა იმ ისტორიულ წარსულზე, იმ ტრადიციებზე, რომელიც არსებობდა საქართველოსა და ეგვიპტეს შორის, საქართველოსა და ბერძნებს შორის. ყველა გამოთქვამდა იმედს, რომ ეს ურთიერთობა დღესაც აღსდგება და განმტკიცდება.

შემდეგ ჩვენ მიზნოვლით ვიყავით სინის მთაზე. სინის მთა კაიროდან მოშორებულია 450 კილომეტრით. გავემგზავრეთ მანქანებით. გზა სინის მთამდე მთლიანად უდაბნოა. იშვიათად შეხვდება ადამიანი პატარა ეკლებს. არავითარი სიცოცხლე იქ არ იგრძნობა. არსად არ არის წყალი. უდაბნოს შუაში გადის სურცის არხი, მაგრამ მისი შედეგი თითქმის არ ჩანს. იგი უსიცოცხლოა. სურცის არხს იქით იწყება სინის უდაბნო. ეს ის ადგილებია, სადაც იყო ებრაელთა ერი, როდესაც ეგვიპტეში გამოვიდა და როდესაც მიემართებოდა პალესტინისაკენ. სოფელი ფარანი პატარა ოაზისია. აქ პატარა წყაროცაა. უკვე იგრძნობა სიცოცხლე. არის პალმები, სიმწვანე. სოფელ ფარანში ბერძნებს აუშენებიათ დედათა მონასტერი, სადაც 10—12-მდე მონაზონი ცხოვრობს. დიდი ზეიმით შეგვხვდნენ ეს დედები. მათთან ერთად ჩვენ შეგვხვდა მისი მალაყოვლადუსამღვდელოესობა სინის მთავარეპისკოპოსი დამიანე. აქ ჩვენ შეეჩერდით, ვისადილეთ. მთავარეპისკოპოსი დამიანე წავი-

და სინის მონასტერში, რათა ჩვენთვის მოეწყო რეგიონალური შეხვედრა. საოცარი ის არის, რომ პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI ერთი ნაბიჯითაც არ მოგვეშორებია; ეს უდაბნო, ამდენი წვალბა, საშინელი — 45—50 გრადუსი სიცხე მანაც ჩვენთან ერთად გადაიტანა.

მიუვახლოვდით თუ არა სინის მონასტერს, ბერები მთავარეპისკოპოსის მეთაურობით გავმოგვებნენ. აღვასრულეთ მცირე პარაკლისი. ეს ის წმიდა ადგილია, სადაც მოსე წინასწარმეტყველმა ნახა მუხრეველი მაცყალი, მაცყლის ბუჩქი. ბიბლიაში წერია: მოსე წინასწარმეტყველმა ნახა მაცყლის ბუჩქი, რომელსაც ცეცხლი ეკიდა და არ იწვოდა. ეს იყო უდიდესი სასწაული. და მოსეს მოესმა ხმა: გაიხადე ფეხზე, რადგან ადგილი, რომელზედაც დგახარ, წმიდააო. ჩვენ თავყვანი ვეცით იმ წმიდა ადგილს, სადაც დგას ეს ბუჩქი. მონასტრის მამებმა გვიამბეს, რომ სინის ნახევარკუნძულზე მარტო იმ ადგილას არის მაცყლის ბუჩქი, სხვაგან არასდ არ ხარობსო. საოცარია. ესაა 10 მ. სიმაღლის ბუჩქი, რომელიც შემორკალულია ქვის ღობით. იქ მიდის უამრავი მნახელი, უამრავი თავყვანისმცემელი და ემონიათ, არ დაზიანონ. ყველას უნდა თითო ფოთოლი მაინც წაიღოს, მაგრამ ეს შეუძლებელია. იქვე დგას ღვთისმშობლის სახელობის პატარა ეკლესია, რომელიც IV საუკუნეში ააშენა დედოფალმა ელენემ, კონსტანტინე დიდის დედამ. თანახმად დებულებისა, ამ ეკლესიაში ყველა ფეხშიშველი უნდა შევიდეს. ჩვენც, ასევე, ფეხშიშველები დავესწართ სწორვას.

სინათ ამ მონასტერს ერქვა სინის მონასტერი, ჯვაროსნობის დროიდან კი მას უკვე ეკატერინეს სახელი ჰქვია. მონასტერში ინახება წმ. ეკატერინეს ნეშტი, მისი ხელი, მისი თავის ქალა და ითვლება ერთ-ერთ დიდ სინძიდედ. წმ. ეკატერინე აწამეს ალექსანდრიაში. მისი სხეული კი გადაიტანეს სინის მთაზე. ეს არის ის წმიდა ადგილი, სადაც მრავალი ქართველი ბერი მოღვაწეობდა. როდესაც პალესტინის მონასტრებს შეესაოდა მტერი, ქართველი ბერები მიდიოდნენ სინის მონასტერში და იქ ცხოვრობდნენ. თანახმად კატალოგისა და ხელნაწერთა აღწერილობისა, რომელიც ამ მონასტერში არსებობს, 97 ხელნაწერი ქართულია, ასომთავრული და ნუსხახუცური. ჩვენ ეს ვნახეთ. 1971 წელს აქ გაჩნდა ხანძარი; დაიწვა გალავნის ერთ-ერთი ხანძარი. მონასტერი შემოღობილია მაღალი გალავნით და ამ გალავნის გარშემო არის ოთახები (სენაკები). სწორედ მის ერთ-ერთ მხარეს გაჩნდა ეკრატა-აღდგენა. და სწორედ ამ დროს იქ აღმოჩნდა მრავალი ხელნაწერი, ათასამდე... ის რომ იქ რაღაც ხელნაწერები აღმოჩნდა, ჩვენ ადრეც ვიცოდით, მაგრამ არ ვიცოდით, იყო თუ არა მათში ქართული. გვაჩვენეს ბერძნული ხელნაწერები, ჩვენ ვკითხეთ, ქართული თუ არის-თქვა. ბიბლიოთეკის უფროსმა მოძღვარმა გვითხრა: ქართული, სამწუხაროდ არ არის, მაგრამ არის

სომხური. ძალიან დამწყდა გული. კიდევ რა არის-მეთქი. კიდევ არის კომპიური, ეთიოპური დასხვა. მაჩვენეთ, სომხური მაინც ცნახოთ-მეთქი. რვა ყუთი იყო ეს „სომხური“ ხელნაწერები. გამოიღეს, ვნახეთ და, თურმე, ქართულია. შეცდომით მიუკუთვნებიათ სომხურისათვის. ტყავზე შესრულებულია ასომთავრული და ნუსხახეცური ხელნაწერები... ვკითხე: ვინ მუშაობდა და ვინ მიაკუთვნა ეს ხელნაწერები სომხურს, ვინ ვითხარაო, რომ ეს ხელნაწერები სომხურია. მიპასუხეს: აქ მეცნიერები იყვნენ, მაგრამ ჩვენ იმათ გვარებს არ ვაბობთო. შემდეგ ველაპარაკე სინის მთის მთავარეპისკოპოსს, განუცხაადე, რომ არ შეიძლება ასე მოეყრონ ხელნაწერებს, რომ ამას აუცილებლად ჭირდება სპეციალისტი, მეცნიერი, რომელიც წააკითხავს მათ და შეადგენს კატალოგს. ისიც დამეთანხმა. თუ მეცნიერს გამოგ ზავნით, შევეცდებით დაგვხმაროთო. მიკროფირების გადაღების უფლება კი ჯერ-ჯერობით არ მოგცეს, გამოუქვეყნებელი მასალა და არ შეიძლებაო.

და მაინც, იქ ყოფნის დროს, ყველაზე სულიერი ძალა მე მივიღე იმით, რომ ავედიტო ქორების მთაზე. ეს ის მთაა, რომელზედაც უფალმა მოსე წინასწარმეტყველა გადასცა ათი მცენება. ეს სალი კლდეები იმდენად მაღალი და იმდენად რთული ასახველელია, რომ ბერები გვიამბობდნენ, ყოველ კვირას, ასვლის დროს 2—3—5 ადა-მაინი კედებით. ვერ ადიან, გული ვერ უძლებთ, სიცხეც ძალიან მოქმედებსო. რომც მოგკვდებ, მე მაინც ავაღ-მეთქი, ვუთხარი, და აი, დღის 5 საათზე წავედი. გამომყენენ ჩვენი დღეგაციის წვერები და კიდევ ორი ბერი მონასტრიდან. ჯერ მიდის გზა, შემდეგ — კლდეში გამოკვეთილი კიბე, ნახევარი მეტრი სიმაღლის საფეხურები; 44000-მდე საფეხურია. სულ წვერზე დგას წმ. სამების სახელობს ტაძარი. ავედიტო, ღვთის შეწვევით. მიეუახლოვდით თუ არა იმ წმიდა ადგილს, ყველაზე ფეხზე გაიხადა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მთელი საქართველო ავიდა ამ წმ. მთაზე ჩვენიან ერთად. მაღლობა შევნიერე უფალს ჩვენი ერის სახელით ყველაფრისათვის. იმისათვის, რომ მოგვცა ჩვენი ენა, ჩვენი რწმენა, რომ ჩვენ დღესაც ვარსებობთ; შევაფრთხილე ჩვენი ეკლესია, მთელი ქართველი ერი. განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, ჩვენი ბავშვები, მშობიარე დედები, ყველანი. ისეთი მაღლი და ძალა, რომელიც იქ ეივრძენი, არ განმიცდია არ-სად, ჩემს ცხოვრებაში. ერთ საათს დაუყავით მაღლა. ამავე კლდეებში, ცოტა დაბლა, არის ადგილი, სადაც მოღვაწეობდა ილია წინასწარმეტყველი; იქ აშენებულია ტაძარი. როგორც ისტორიაში წერია, ეს ტაძარი ქართველების მიერაა აშენებული. შევედიტო მასში. თაყვანი ვეცით, ავანთეთ საწითლები და შემდეგ ისევ მონასტერში დავბრუნდით. 7 საათი დასჭირდა ასვლას და ჩამოსვლას.

პირველ კვირას წირვა შევასრულეთ ალექსანდრიაში, მეორე კვირას ვწირეთ სინის მთა-

ზე. ჩემთან ერთად თანამწირველობდნენ სინის მთავარეპისკოპოსი დამიანე, ჩვენი მიტროპოლიტი კონსტანტინე, ალექსანდრიის ეპისკოპოსი ტიტე და სამღვდელთა. აქაც შევთხოვეთ უფალს, მოსცეს ჩვენს ერს ის ძალა, ის მაღლი, რომელიც მოსცა მოსე წინასწარმეტყველს, ძალა, რომელიც გადაგვარჩენს, მიგვიყვანს ღმერთთან.

მეორე დღეს დავბრუნდით კაიროში. დავათვალიერეთ პირამიდები, ვნახეთ ცნობილი სფინქსი, რომელსაც სხეული ცხოველისა აქვს და სახე კი ადამიანისა. დავათვალიერეთ კაიროს უმდიდრესი მუზეუმი.

თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, ვიყავით თუ არა იმ ადგილას, სადაც ადამიანებს გამოეცხადა ღმერთს მსოფლი. ვიყავით. თაყვანი ვეცით იმ წმ. ტაძარს. ესაა კომპიური ეკლესია ზეითუნში, კაიროს გარეუბანში. კომპიები სკამოად ძლიერი იმ არიან ეგვიპტეში და მათ დიდი პოლიტიკური ძალა აქვთ. კომპიებს და არაბებს შორის უთანხმოებაა. კომპიების პაპი და პატრიარქი შენუდა ჩაკეტილია უდაბნოს ერთ-ერთ მონასტერში. მას არა აქვს უფლება გამოვიდეს ამ უდაბნოდან. იგი ფაქტურად იზოლირებულია. ეკლესიას მართავს ეპისკოპოსი. პატრიარქმა ნიკოლოზ VI-ემ ჩემს ჩასვლასთან დაკავშირებით, სთხოვა პრეზიდენტს, რომ ჩვენ, მე და ნიკოლოზ VI, მივსულიყავით კომპიების პატრიარქთან (იგი ფაქტურად ციხეშია), მაგრამ არ მოგვცეს ამის უფლება. იმ ციხის გარშემო დგას ჯარი. საერთოდ, კომპიები მორწმუნე ხალხია, ქრისტიანებია და მიეკუთვნებიან მონოფიზიტებს.

ასე დამთავრდა ლოცვითა და სიყვარულით აღსავსე ჩვენი ვიზიტი ეგვიპტეში. მისმა უნეტარესობამ ნიკოლოზ VI-ემ გამოგვაცლია აეროპორტამდე. მას ძალიან უყვარს საქართველო. ბერძნები მეუბნებოდნენ: ჯერ თქვენ ჩამოსულიყავით არც კი იყავით, რომ ჩვენ უკვე გვიყვარდა თქვენი ქვეყანა და მისი პატრიარქი, იმდენი გველაპარაკა თქვენზე მისი უნეტარესობაო. გამომგზავრებისას ნიკოლოზ VI-მ მითხრა: გადაეცით ქართველ ერს, რომ მე თქვენთვის რაც შემიძლო, ყველაფერი გაგავცეთო.

არ მოქმედებოდაც საქართველოს, ჩვენს უძველეს ეკლესიას სინის წმიდა მთის ძალა და მაღლი. როგორც ლოცვა-კურთხევა მამაზეციურისა, მე წამოვიღე იქიდან პატარა ქვა. მასზე არის გამოხატული გაქვავებული მცენარეები. ჯვარზე მოხვევის დროს თქვენ ემთხვევით ამ ქვასაც. ეს იმ წმიდა ადგილიდანაა, სადაც მოსე წინასწარმეტყველმა ღვთისაგან მიიღო ათი მცენება.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და თქვენთან ერთად დალოცოს მთელი საქართველო. ამის.

სინის კათედრალური ტაძარი  
1984 წელი



**მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა,  
სახმოთქმელი 2007 წლის  
14 ოქტომბერს სპატიოსნოვოლის  
ღვანესანაჯე, სპატიოვოლის  
ხათოლიხოვ-პატრიარქ ილია II-ის  
ინსტროქციასთან 30-ე წლისთავზე  
მსოფლიო პატრიარქის  
სტუმრობისას**

თქვენო ყოვლადუნმიდესობავ,  
თქვენო უნმიდესობავ და უნეტარესობავ,  
თქვენო უნეტარესობავ,  
მაღალყოვლადსამღვდელო მეუფენო,  
მამანო, ძმანო,  
ქრისტეს მიერ საყვარელო შვილებო,

მრავალი ჩვენგანი მოწმეა იმისა, რომ მის-  
მა უნმიდესობამ ამ 30 წლის წინ, ჩაიბარა  
უცხო ქვეყნის მპყრობელობის შედეგად დამ-  
ცრობილი ეკლესია, მატერიალურად უნიჭ-  
ითო, ნაკლოვანი და ქანცმილეული, ათეისტ  
მმართველთა მძლავრობით დაშინებული  
სულ რამდენიმე ათეული სამღვდელო პირით  
და აი, გავიდა 30 წელი და ჩვენ ვხედავთ თუ  
რა წარმატებებით შეგება ჩვენი ეკლესია  
ახალ ათასწლეულს, როგორც ფსალმუნშია

ნაბრძანები — „ვითარცა ორბისა განახლდა  
სიტაბუკე მისი“, ის ფრთებს ისწორებს, რათა  
ბუდიდან აფრინდეს და მიწიდან ზეცამდე სუ-  
ლიერად აღამაღლოს ქართველი ერი.

ერთ ძველ, საუკუნეთა წინანდელ ზელნა-  
წერში, ჩვენი ეკლესიის დამაარსებელი შედა-  
რებულის არწივს და დღეს ჩვენ შეგვიძლია  
ვთქვათ, თქვენ, თქვენო უწმიდესობავ გავიშ-  
ლიათ არწივის ფრთები და თქვენს ფრთეთა  
ქვეშ იკრებთ სრულიად საქართველოს ერს,  
ყველა მართლმადიდებელს განურჩევლად  
მისი ეთნიკური წარმოშავლობისა, ყველა მო-  
ქალაქეს, დიდსა თუ მცირეს, ქვეყნის მმარ-  
თველებს, პიროფლიან სოფლის მუშაკებს,  
რომელთა ლოცვა ახლოს არის უფრო უფალ-  
თან; თქვენ იკრებთ უცხოეთში მცხოვრებ  
ქართველებს, სამშობლოს მცველ ჯარისკა-  
ცებს, ახალ თაობას, ერის იმედსა და მომა-  
ვალს.

თქვენ ჭეშმარიტად ბრძანდებით მამა სამ-  
შობლოისა.

დღევანდელ დღეს, შეუძლებელია არ გა-  
ვიხსნოთ წარსული, როგორც ფსალმუნშია  
ნაბრძანები — „ვიგონებდი ადრინდელ დღე-  
ებს, გარდასულ წლებს“ (ფსალ. 76(77)), ანდა  
„ჩავუყვირდები ყველა შენს ნამოქმედარს და  
შენს საქმეებზე ვისაუბრებ“ (იქვე).

თქვენი ყოველდღიური საქმით და სიტყ-  
ვით იყავით და ხართ ჭეშმარიტი მოძღვარი  
და მასწავლებელი, წმიდა ეტალონი, არა  
მხოლოდ სულიერ-ეკლესიისა, არამედ  
ყოფითისა, ეთიკისა თუ ესთეთიკისა. ყველა  
ჩვენგანმა მცირედან დიდამდე ყველაფერი  
თქვენგან შეისწავლა, უფრო სწორად თქვენ  
ვიტყვი, უნდა შეისწავლოს, რადგან თქვენ  
უკვდავი საღმრთო მაგალითი ბრძანდებით —  
წყალობისა და ქველის საქმისა, ლოცვისა და  
მარხვისა. როგორც იტყვიან, ვინ აღრიცხავს  
თქვენს სახიერებას ზეცათა მამის გარდა?

რამდენი ახალი ეკლესია, მონასტერი და  
საეპისკოპოსო შემატეთ უფლის სამწყსოს,  
რამდენი წინაპართა მიერ წამოწყებული,  
მაგრამ ამჟამად დაფინყებული საქმე განაახ-  
ლეთ, რამდენი სიკეთის მიზეზად იქცა თქვე-  
ნი სიტყვა და ზრახვა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ  
იერიას ანუ სრულიად საქართველოს მრავა-  
ლი დიდი წინაპარი ჰყავდა. როცა ვათვალიე-  
რებთ მათ მატრიანებს და ვადარებთ თქვენს  
მაგალითს, ჩვენს თვალწინ ამომწურვება  
წმიდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშე-  
ნებლის ცხოვრება. მე ვფიქრობ, სწორედ ესაა  
თქვენი სულიერი წინაპარი, მასზე ბრძანებს  
მემბატინა — „დიდნი საქმენი, ღმრთისაგან  
ოდენ შესაძლებელი, ადვილად წარმართა“,  
ჩვენი ერი ელის, რომ ნალვანის გარდა თქვენ  
კიდევ მრავალს შეძლებთ, მაგრამ მართლაც  
უდიდესი საქმეები, რომელნიც თქვენ ალას-

რულეთ, ერთი შეხედვით ადგილი ჩანს, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რაოდენი დიდი ძალისხმევა დასჭირდა მათ წარმართვას, ჭეშმარიტად ღვთის გარეშე შეუძლებელი.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მსგავსად თქვენ გაქვთ მტკიცე ხელი, რომლის მორიდებით 30 წლის წინანდელი ქოტურის სასულიერო დასში დაინერგა წესიერება და კანონი, თქვენი მორიდებით და კრძალვით გერავინ იკადრებს უნესო სვლას. პატიოსნება და ღირსება თავის ადგილს იმკვიდრებს. მონასტრები, საეპისკოპოსოები და ეკლესიები წესითა და რიგით აღასრულებენ საღმრთო მსახურებას.

საქართველოს ეკლესიის მეთაურთაგან ერთ-ერთი რჩეულის, კირიონ I-ის კათალიკოსობის დროს, 1400 წლის წინ, აშენდა ჯვრის წმიდა მონასტერი VII ს. დასაწყისში, ჩვენი ქვეყნის სპარსთა მფლობელობისას. იმ ეპოქაში მონოფიზიტებმა ისიც კი შეძლეს, რომ ჩვენს ზოგ ეკლესიაში ღვთისმსახურება დამპყრობელთა მხარდაჭერით სომხურ ენაზე დაწერეს. ქართული ენის დასაცავად ხმა აიმაღლა კირიონ I-მა. მართალია, პირადად ეს ძვირად დაუჯდა, მაგრამ მან შეძლო და აღუდგინა ქართველ ერს ქვემო ქართლში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. კირიონის მსგავსად დღესდღეობით ქართული ერის დაცვა, თქვენო უწმიდესობა, თქვენი ზრუნვის საგანია. მისი უფლებები მსგავსადვე შეიბღალა XIX-XX სს-ში რუსული იმპერიის წიაღში, თქვენ კვლავ უზრუნველ ქართულ ენას თავის ნამდვილ სამეცნიერო სახელს, ადგილსა და ღირსებას. თქვენი დიდი წინაპრის მსგავსად იცავთ ენას, რომელსაც თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მფარველობდა წმიდა ილარიონ ქართველისა და წმიდა ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრების მიხედვით. ჩვენ ეს ასევე ვიცით ასურელ მამათა ცხოვრებიდან, როცა მათ, მოციქულთა მსგავსად სულიწმიდის მიერ, ერთ ნაშში „ნამისყოფით ზეციდან შეისწავლეს“ ქართული ენა. კირიონის ჟამის მსგავსად დღესაც ესაჭიროება ქართულ ენას დაცვა და მფარველობა.

საქართველოს ეკლესიის მეთაურთაგან ერთ-ერთი რჩეულის, კათალიკოს კირიონის მიერ აგებული ჯვრის მონასტრის 1400 წლისთავზე, რომლის მშენებლობა IV ს-ში რვე მეფის დროს დაიწყო, VII ს. დასაწყისში დამთავრდა, ჩვენ საიამაყო ვისცნებთ კირიონის სიტყვებს „რჯული იერუსალიმიდან გვაქვს“ — გამოთქმულს მონოფიზიტებთან კამათისას, კათალიკოსი ამით ბრძანებდა, რომ მართლმადიდებლობა თვით მოციქულთაგან გვაქვს მიღებული. იერუსალიმი იმუამად ქართველთა რელიგიური კერა იყო, რადგანაც იერუსალიმში არსებული ათეულობით

ქართული ეკლესიიდან და მონასტრიდან იღებდა საქართველო სულიერ ძალას. სამწუხაროდ, იერუსალიმის სინმიდებები ბოლო საუკუნეებში დაკარგა ქართულმა ეკლესიამ, მაგრამ კირიონის მსგავსად, ჩვენმა უწმიდესმა პატრიარქმა აქაც გადადგა პირველი ნაბიჯები და ჩასახა იქელი, რომ არა მხოლოდ იერუსალიმსა და ათონის წმიდა მთაზე, არამედ სინას მთაზეც ქართული ეკლესია აღიდგენს წარსულის დიდებას და ღოცვით მომავალს.

მართლაც, თქვენი პატრიარქობის პირველ წლებში, სინას მთაზე თქვენი ღოცვა წინ უძღოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ეს უდიდესი მადლი — ეროვნული, დამოუკიდებელი სახელმწიფო — სწორედ თქვენი პატრიარქობის ჟამს მიმადლა უფალმა ქართველ ერს. ასევე თქვენი ღოცვით და შრომით დაგვირგვინდა თითქმის თანაფარდი — ავტოკეფალური მოძრაობა.

თქვენი ბუნებითი საქმე სიყრმიდანვე იყო ღოცვა და თქვენ ქართველ მორწმუნე ერს აჩუქეთ შვიდგზის ღოცვის ჩვევა, რომ დღეში შვიდჯერ ადიდონ უფალი. ამ საყოველთაო ღოცვამ ააღორძინა სარწმუნოება, ხელახლა მოაქცია აჭარა და სრულიად საქართველო.

ჩვენ ამჟამად ვდგავართ ადგილზე, სადაც მეფე მირიანის ბალი იყო გაშლილი, აქ წმიდა ნინომ იხილა ბაბილონ-მადლიერი ვენახი, რომლის ნაყოფი იყო ფრიადი, ფურცელი მშვენიერი, მისი ტოტები ქვეყნის კიდემდე იყო გადაშლილი, ხოლო რტოებში ივანებდნენ ქვეყნიერების სხვადასხვა მხრიდან მოფრენილი ცის ფრინველები, ასევე დღევანდელ დღეს თქვენს გარშემო შემოკრებილია ქვენიური ანგელოზები — მსოფლიო პატრიარქი და მართლმადიდებელი მღვდელმთავრები, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, პატიოსანი მამები, ერი და ბერი.

თქვენი ღონიერი წინამძღოლობით მჯერა, თქვენ აფხაზეთშიც — ივერიის პატრიარქების უძველეს ბიჭვინთის კათედრაზე დადგებით და ილოცვით ერთობლივ საქართველოსათვის, ბიჭვინთიდან, სადაც უფალ ღმერთს 1000 წლის მანძილზე ქართული ენით უფალს ადიდებდნენ მწირველი მამები.

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი შესთხოვს უფალ ღმერთს თქვენს ხანგრძლივ მრავალჟამიერ სიცოცხლეს, მადლიერი სამწყსო, სამწყსო იმ ეკლესიისა, რომელიც 30 წლის წინ ჰპოვეთ სიმდაბლედ შთასული და თქვენი მძლავრი მარჯვენით კი აღამაღლეთ უფლის შეწვევით,

ღმერთმა ინებოს თქვენი მრავალჟამიერი სიცოცხლე,

ამინ.



**საქართველოს მართლმადიდებელი  
სამოციქულო ეკლესიის  
მე-12 საეკლესიო კრება,  
მიტროპოლიტი ილიას  
სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქად  
არჩევა-აღსაყდრება**

1977 წლის 9 ნოემბერს დილის 9 საათზე გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი დავით V (დევიდარიანი). საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის ტრადიციის თანახმად, რომელიც ასახული იყო 1945 წელს დამტკიცებულ მართვა-გამგეობის დებულებაში, კათოლიკოს-პატრიარქის მძიმე ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში წმიდა სინოდის ყველა წევრი იკრიბება საპატრიარქო რეზიდენციაში და კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის თანდასწრებით ხსნის განსაკუთრებულ სეიფს, სადაც სავარაუდოდ ინახება კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი განკარგულება კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის შესახებ. 9 ნოემბერს 10 საათიდან 19 საათამდე წმიდა სინოდის წევრები: მიტროპოლიტი ილია, მიტროპოლიტი ზინობი, მიტროპოლიტი გაიონა, ეპისკოპოსები:

გრიგოლი, გიორგი, ილარიონი ელოდებიან ბათუმ-შემოქმედელ და ჭყონდიდელ მიტროპოლიტ რომანოზს, მაგრამ იგი არ ჩანდა. სინოდის წევრთა უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება წმიდა სინოდის სხდომის მუშაობის დაწყების შესახებ. როგორც გაირკვა, მოსაყდრის დანიშვნის შესახებ არ არსებობდა განსვენებული კათოლიკოს-პატრიარქის, დავით V-ის წერილობითი განკარგულება. საეკლესიო დებულების თანახმად, მოსაყდრედ ქიროტონით უზუცესი მღვდელმთავარი ცხადდებოდა, რომელსაც დამტკიცებდა წმიდა სინოდი. სინოდის სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, მდევნად ბობდელი ეპისკოპოსი ილარიონი. განისაზღვრა დღის წესრიგი: 1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის არჩევა; 2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესის დავით V-ის დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხები. წმიდა სინოდის სხდომაზე თეორიულად მიტროპოლიტმა ზინობამ, მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ, ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა მხარი დაუჭირეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ არჩევას. მიტროპოლიტმა გაიონამ არ დაუჭირა მხარი ნამოყენებულ კანდიდატურას და მოსაყდრედ ასარჩევად დაასახელა ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი. ხმათა უმრავლესობით ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ. სინოდის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება: 1. განსვენებული კათოლიკოს-პატრიარქის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, მიტროპოლიტი ილია; 2. უწმიდესი და უნეტარესი დავით V დაკრძალოს 15 ნოემბერს; 3. სინოდის სხდომის გადაწყვეტილება ოფიციალურად ეცნობოს მსოფლიოს მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს, საერო ხელისუფლებას. წმიდა სინოდის ეს გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა ზოგიერთი სასულიერო პირისა და მალდიერარქისათვის. შექმნილი ვითარების სრული სურათი კარგადაა ასახული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 1977 წლის 12 ნოემბრის საჯანგებო სხდომის განცხადებაში. „როგორც ცნობილია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თავის მართვა-გამგეობაში ხელმძღვანელობს დებულებით,

რომელიც იყო მიღებული 1945 წლის 28 მაისს და რომლის შეცვლა შედის მხოლოდ საეკლესიო კრების კომპეტენციაში. 1977 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V. გარდაცვალების წინ იგი მიიმედა ავადმყოფობდა რამდენიმე დღის განმავლობაში. ამ დროს თბილისში იმყოფებოდნენ ყველა მღვდელმთავრები გარდა ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტ რომანოზისა და ალავერდელი ეპისკოპოს გრიგოლისა. 8 ნოემბერს, დღის 15 საათზე კათოლიკოს-პატრიარქის მდიანმა გრიგოლ მშვიდობაძემ მათ დაუტოვა დეპუტეტი, რითაც ატყუებინებდა პატრიარქის ავადმყოფობას, და სთხოვდა სასწრაფოდ ჩამოსულიყვნენ თბილისში. 9 ნოემბერს, დღის 9 საათზე გარდაიცვალა კათოლიკოს-პატრიარქი. 10 საათზე ჩამობრძანდა ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი. როგორც მითითებულია საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულების 21-ე პარაგრაფის მე-2 შენიშვნაში, კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების, ან მიიმე ავადმყოფობის შემთხვევაში საეკლესიო მართვა-გამგეობისათვის მის ადგილს იჭერს ის მღვდელმთავარი, რომლის შესაბამისაც კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეთა ინახება მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის წერილობითი განკარგულება, მაგრამ ასეთი განკარგულება არ აღმოჩნდა და საჭირო შეიქნა, სასწრაფოდ მიწვეულიყო წმიდა სინოდის სხდომა. 9 ნოემბერს მთელი დღის განმავლობაში სინოდი ელოდებოდა მიტროპოლიტი რომანოზის ჩამობრძანებას, მაგრამ რადგან იგი არ ჩამობრძანებულა და არც რაიმე ცნობა მოსულა მისგან, საღამოს 19 საათზე სინოდის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შედგა სინოდის ოფიციალური სხდომა, რომელსაც უნდა აერჩია კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე და გადაწყვიტა კათოლიკოს-პატრიარქად დავით V-ის დაქრძალვასთან დაკავშირებული საკითხები.

სინოდის სხდომაზე ერთხმად იყვნენ არჩეული სხდომის თავმჯდომარედ მიტროპოლიტი ილია, მდივნად ეპისკოპოსი ილარიონი. როდესაც დაისვა მოსაყდრის არჩევის საკითხი და კანდიდატად დასახელებული იყო მიტროპოლიტი ილია, მხოლოდ მიტროპოლიტმა გაიოზმა არ დაუჭირა მხარი და ნამოაყენა მიტროპოლიტი რომანოზის კანდიდატურა, რაც შეეხება დანარჩენ მღვდელმთავრებს, მათ ერთხმად მხარი დაუჭირეს მიტროპოლიტ ილიას. ეპისკოპოს ილარიონს სურდა თავი შეეკავებინა ხმის მიცემისაგან, მაგრამ რადგან ამის უფლება არა ჰქონდა საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულების მე-

-16 მუხლის თანახმად, ამიტომ ხმა მისცა მიტროპოლიტ ილიას.

9 ნოემბერს სინოდის სხდომა ჩატარებული იყო კანონის ფარგლებში, დებულების მე-15 მუხლის დაცვით, სადაც ნათქვამია: "სინოდის სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრება თავმჯდომარე და მონვეულ წევრთა ნახევარი", ხოლო სხდომას ესწრებოდა არა თუ ნახევარი, არამედ ყველა წევრი, გარდა ერთისა. ამიტომ მიტროპოლიტ რომანოზის, მიტროპოლიტ გაიოზისა და ეპისკოპოს ილარიონის განცხადება, სადაც ისინი ამტკიცებენ, თითქოსდა თვითნებურად იყო მონვეული სინოდის სხდომა და მიტროპოლიტმა ილიამ თავი გამოაცხადა მოსაყდრედ, უსაფუძვლოა. სხდომა კანონიერ საფუძველზე ჩატარდა და მიტროპოლიტ ილიას თავი კი არ გამოუცხადებია მოსაყდრედ, არამედ ასეთი იყო სინოდის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილება. 10 ნოემბერს თბილისში ჩამოსული მიტროპოლიტი რომანოზი საპატრიარქოში გამოცხადდა მოგვიანებით და განაცხადა, რომ იგი იერარქიული პატივით დგას ყველა მღვდელმთავარზე მაღლა, როგორც უზუცესი მღვდელმთავარი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი და ამის საფუძველზე მოითხოვა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის თანამდებობა. როგორც მართვა-გამგეობის დებულების 23-ე მუხლის მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, „მწყემსმთავარი პატივდებულ იქნებოდა ქირიტონის უზუცესობის მიხედვით“. ეს იმას ნიშნავს, რომ სასულიერო სინოდი, რომელიც უფრო ადრე იყო ნაკურთხი ეპისკოპოსის ხარისხში, ის იფუძვლება უზუცეს მღვდელმთავარად. მიტროპოლიტი ილია ეპისკოპოსად ნაკურთხი იყო 1963 წლის 25 აგვისტოს, ხოლო მიტროპოლიტი რომანოზი 1965 წლის 21 თებერვალს, მიტროპოლიტის ხარისხი ილიას მიენიჭა 1967 წელს, რომანოზს 1972 წელს, რაც შეეხება ეპარქიას, ან ასაკის (რომანოზი ამ დროს იყო 90 წლის) მიხედვით უზუცესობას, ეს არაა გათვალისწინებული დებულებაში.

წმიდა სინოდი სინანულით აღნიშნავს ხსენებულ მღვდელმთავართა განცხადებების უსაფუძვლობას. 1. თითქოს მიტროპოლიტი ილიას მოსაყდრეობა დაუშვებელია იმიტომ, რომ იგი დაბადებულია საქართველოს საზღვრების იქით, ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. ორჯონიკიძეში. ჯერ ერთი, საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით ამ ფაქტს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა და მეორეც, მიტროპოლიტი ილია და მისი მშობლები საქართველოს ეკლესიის წევრები იყვნენ მუდამ, რადგან ორჯონიკიძეში არსებ-

ბობაძე ქართული ეკლესია, რომელიც ექვემდებარებოდა საქართველოს საპატრიარქოს და მიტროპოლიტი ილია მონათლულია ამ ეკლესიაში არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკის მიერ, რომელიც შემდეგში გახდა ნილკნელი ეპისკოპოსი და დაკრძალულია სვეტიცხოვლის გალავანში. 2. მათ განაცხადეს, რომ მიტროპოლიტ რომანოზს, მიტროპოლიტ გაიონოზს, ეპისკოპოს ილარიონს შეუძლიათ აკურთხონ ახალი ეპისკოპოსები, დაუგზავნონ დეპუტები მსოფლიო საეკლესიო ცენტრებს, იმის შესახებ, რომ თითქოს ჩატარებული სინოდის სხდომა იყო არაკანონიერი, და მოსაყდრეც იყო არჩეული უკანონოდ. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი თვლის, მათი ასეთი ანტიეკლესიური და კანონთა საწინააღმდეგო მოქმედება დიდ ზიანს აყენებს საეკლესიო ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას. საქართველოს საპატრიარქო არქივი დაცული დოკუმენტები (იხ. საქალაქე № 141, დოკ. 2644) — დანერგვებით მოგვითხრობენ მიტროპოლიტ ილიას მოსაყდრედ გამოცხადების მოწინააღმდეგე სამი მღვდელმთავრის შემდგომი ნაბიჯების შესახებ. მათ საპროტესტო წერილები გაუგზავნეს საქართველოს კეცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. შევარდაძეს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს პ. კვიციანიძეს, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ლ. ბრეჯუნევს, საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს, კუდრინს, საქართველოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულს თ. ონოფრიშვილს, ისინი მოითხოვდნენ ხელისუფლების ჩარევას ეკლესიის შიდა საქმეებში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის 1977 წლის 9 ნოემბრის წმიდა სინოდის დადგენილების გაუქმებას, ვინაიდან მათი აზრით დარღვეული იყო ქრისტიანული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ძირითადი სამართლებრივი ნორმები.

15 ნოემბერს სიონის საპატრიარქოს ტაძარში გაიმართა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ს დაკრძალვის წინ წირვა. წირავდა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია, თანამწირველნი იყვნენ ტალინისა და ესტონეთის მიტროპოლიტი ალექსი (რედვიერი), ქსანტის მიტროპოლიტი ანტონიოსი, თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი, ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი, ზარაის ეპისკოპოსი იოსი. წირვას ეხმარებოდა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I. განსვენებულ პატრიარქს სიტყვით მიმარ-

თა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა ილიამ. „დღეს ჩვენ ლოცვითა და ცრემლით ვაცილებთ ჩვენს მამამთავარს, რომლის უკვდავი სული მოველინა იმ ნიაღს, სადაც განიცხვენებენ ჩვენი დიდნი კათოლიკოს-პატრიარქნი: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, კალისტრატე, მელქისედეკი და ფერემი... მიმდინარე წელიწადში დავისთვის იყო საიუბილეო წელი — მას შეუსრულდა სამღვდელი ზარისში აყვანიდან 50 წელი. ამ წნის განმავლობაში მას განუცდია არაერთი სასიხარულო დღე ღვთისმამე მონიჭებული, მაგრამ მასთან ერთად მას მრავალჯერ შეუსვამს სიმწრასა და მწუხარების ფილა. ამ დიდ ადამიანს დღეს ემშვიდობება ქართველი ერი, ჩვენი დაობლებული ეკლესია“. უწმიდესი და უნეტარესი დავით V დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში...

1977 წლის 16 ნოემბერს დღის 12 საათზე დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია (მოლაშვილი), თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა), ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზ (პეტრიაშვილი), ნილკნელი მიტროპოლიტი გაიონი (კერატიშვილი), მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი (ღალაშიძე), ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლ (ცერცვაძე), ზოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი (სამხარაძე), სხდომას სინოდის წევრთა თანხმობით ოქმის შესაბამისად ესწრებოდა კათოლიკოს-პატრიარქის მდივანე გრიგოლ მშვიდმობაძე. აღის ნესრიგა: 1. მოსაყდრე მიტროპოლიტ ილიას მოსკოვში გამგზავრების მიზეზი და იქაური თათბირის შინაარსის მოხსენება. 2. ნილკნელი მიტროპოლიტის მთავრობის სახელზე გადაზავნილი ტექსტი, 3. საეკლესიო კრებისა და კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაციის (აღსაყდრების) თარიღის დადგენა. 4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ასარჩევი კანდიდატის დასახელება.

პირველ საკითხზე კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტმა ილიამ სინოდს მოახსენა ზაგორსკი რელიგიის მოღვაწეთა თათბირის შესახებ, სადაც დავითილ იქნა ნეიტრონული ბომბის მომზადებისა და გავრცელების განზრახვა.

მეორე საკითხზე ნილკნელმა მიტროპოლიტმა გაიონმა წაიკითხა მთავრობის სახელზე გადაზავნილი სრული ტექსტი, გადაწყდა XII საეკლესიო კრება გაიმართოს 1977 წლის 22 დეკემბერს. ახალი კათოლიკოს-პატრიარქის

ინტრონიზაცია (აღსაყდრება) შესრულდეს 25 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ასარჩევ კანდიდატად მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ დაასახელა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, მას მხარი დაუჭირეს ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა, თეთრინყაროელმა მიტროპოლიტმა ზინობმა, მიტროპოლიტმა რომანოზმა არ დასახელა კანდიდატი და მოითხოვა აირჩიოს ახალი მოსაყდრე, მიტროპოლიტი გაიოზი არ სცნობს სინოდის სხდომას კანონიერად. ეპისკოპოსი ილარიონი არ ასახელებს პატრიარქობის კანდიდატს.

მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია თანხმობას აცხადებს მის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქობის კანდიდატად დასახელებაზე.

მოვლენების უფრო გამძაფრებას გვამცნობს ალავერდელი ეპისკოპოსის გრიგოლ ცერცვაძის ჩანაწერები: „1977 წლის 17 ნოემბერს ჩემთან ეკლესიაში მოვიდა უცნობი, ახოვანი, ახალგაზრდა, გამომიძახა, თქვენთან ცალკე საუბარი მსურს... ნამოიწყო საუბარი: სინოდი, რომელიც ვუშინ შედგა მთავრობის მიერ გაუქმებულიაო, მთავრობას არ სურს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა... მას სურდა ჩემი დაყოლიება, უარი მეთქვა სინოდის სხდომაზე ჩემს მიერ ნამოყენებულ კანდიდატზე. მე ვუპასუხე, რაც სინოდზე გადაწყდა, იმას ხაზი არ გადაესმევა-მეთქი... ბოლოს საუბარი იმით დაამთავრა, მოკლე ხანში მოგვივინა დეკემბა იმისთვის, რომ სინოდის ხელახალი სხდომა შედგესო. მე ვუპასუხე, რაც ვთქვი, იმასვე ვიტყვი-თქო. მაინცდამაინც ნასიამოვნები არ წასულა.

საზოგადოებადამახულიადევენებათვალყურს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში შექმნილ რთულ ვითარებას და ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილიას. საზოგადოების აქტიურობამ აიძულა ოფიციალური ხელისუფლება უკან დაეხია. ყოველი ახალი დღე ახალი ჭორების, მითქმა-მოთქმის გამძაფრებით იწყებოდა. ამ უსიამოვნებათა კულმინაცია იყო 1977 წლის 18 დეკემბერი: როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის გრიგოლ მშვიდობაძის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტი ილიასადმი გაგზავნილი შეტყობინებიდან ირკვევა „18 დეკემბერს 19 საათზე საქართველოს საპატრიარქოს შენობაში ძალით შეჭრილმა სინოდის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო განსხვავებული პოზიციის სამი მღვდელმათ-

ვარი, მათ გაუტყვიანთ პატრიარქის კაბინეტის კარები, კანცელარიის ოთახში გაუღლიათ მდივნის საწერი მაგიდა და სთავი პატრიარქის კაბინეტში, დაუხვევიანთ საქმიანი ქაღალდები, გამოუყენებიათ კათოლიკოს-პატრიარქის ბეჭედი. უსარგებლიათ ქართული და რუსული საბეჭდო მანქანით. როგორც დარწმუნოლი შავი ნანერებიდან ჩანს, მათ დაუგზავნიან პროვოკაციული დეკემბეტი რუსეთში, სომხეთში, მთავრობის წარმომადგენლებთან. დაუმტკრევიანთ პატრიარქის კაბინეტის კლიტე და ჩაუსვამთ ახალი“. (საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქალაქდ 298. დოკ. 2449). დეკემბის შინაარსი ისეთი იყო, თითქოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის თანამდებობიდან გადაყენებული იყო მიტროპოლიტი ილია, რომ მე-12 საეკლესიო კრების ჩატარების თარიღი გადატანილია. საზოგადოების აქტიური ჩარევის შემდეგ ისინი იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. ყველა ღელავდა, იმსმვიდეს ინარჩუნება მიტროპოლიტი ილია, რომელმაც ხელმოკრედ დაგზავნა შეტყობინებები მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან იმის შესახებ, რომ მე-12 საეკლესიო კრება, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები და აღსაყდრება ნამდვილად გაიმართებოდა 1977 წლის 23-25 დეკემბერს. დაძახული, უძილო ღამეების შემდეგ როგორც იქნა, გაათენდა 23 დეკემბერი.

23 დეკემბერს სიონში საეკლესიო კრების გახსნამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ე. შევარდნაძესთან ასეთი შინაარსის დეკემბა გაიგზავნა: „29 ნოემბერს ხელისუფლების წარმომადგენელმა თ. ონოფრიშვილმა ოფიციალურად გამოგვიცხადა საპატრიარქო ტახტზე მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილის კანდიდატურა. ოფიციალურად დამტკიცებულა და თუ ეკლესიაში სამსახური გვინდა, შევწყვიტოთ მასზე საჩივრების წერა, სინოდმა მას უნდა დაუჭიროთ მხარი, სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, თქვენგან არავითარ ამგვარ გადაწყვეტილებას ადგილი არ ჰქონია... საკითხი სერიოზულია, ვთხოვთ სასწრაფოდ მიგვიღოთ სინოდის განსხვავებულად მოაზროვნე წევრები, რათა პირადად მოგახსენოთ საქმის რესულტი ვითარება“ (საქართველოს საპატრიარქოს არქივი დოკ. 295), ბოლო იმავე დღის 15 საათზე მოსკოვში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის სახელზე ასეთი შინაარსის დეკემბა გაიგზავნა: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის ვარდაცვალების შემდეგ საქართველოს კათოლი-



სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. 1975.

კოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადდა მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი. იგი ჯერ კიდევ 1972 წლიდან ქართველი დისიდენტების წამქეზებელი და მხარდაჭერია. მოვითხოვ მოიხსნას მისი კანდიდატურა" მიტროპოლიტი რომანოზი (საპატრიარქოს არქივი. დოკ. 295). გასაოცარ ულოგიკობას ეყრდნობოდა მიტროპოლიტ რომანოზის მსჯელობა. თუ 1977 წლის 16 ნოემბერს წმიდა სინოდის სხდომაზე იგი აცხადებდა მიტროპოლიტი ილიას პატრიარქობის შემთხვევაში იყო იმის საშიშროება, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდებოდა და რუსეთს დაექვემდებარებოდა, ამიტომაც 90 წლის ასაკში მზად იყო ეტვირთა საქართველოს ეკლესიის საქეთმყრობელობა. ხოლო 23 დეკემბერს ლ. ბრეჟნევისადმი გაგზავნილ დეპეშაში იგივე პიროვნება ქართველი დისიდენტების წამქეზებლად გამოაცხადა.

11 საათზე გაიხსნა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა 45 დელეგატი. კრება გახსნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა ილიამ, რომელმაც აღნიშნა, „დღეს ამ უძველეს საპატრიარქო ტაძარში შეიკრიბა მე-12 საეკლესიო კრება. განვლო 45 დღემ, რაც ღვთივ განისვენა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დავით

V-ემ, რომელიც წინ უძღოდა ჩვენს ეკლესიას 5 წლის განმავლობაში. დადო დიდი შრომა და ღვაწლი, რათა სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო ჩვენი ეკლესია. 40 დღე იგლოვა ჩვენმა ერმა. დღეს მე-12 საეკლესიო კრებამ უნდა აირჩიოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის წინამძღვარი. ჩვენ კრებას პატივი დასდო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა პიმენმა, როგორც მოძმე ეკლესიის მამამთავარმა, მონაწილეობა მიიღოს ჩვენს ზეიმში. დღეს ჩვენ ვდგავართ იმ უძველეს ეკლესიაში, სადაც იდგნენ და მამადმთავრობდნენ დიდნი კათოლიკოს-პატრიარქნი, უწმიდესი და უნეტარესი: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, მელქისედეკი, დავითი, ჩვენი მღვდელმთავრები, სამღვდელოება, მორწმუნე ერი მუდამ იქნება ერთად, რომ გადაწყვიტოს ის დიდი საკითხები, რომლებიც ჩვენი ეკლესიის წინაშე დგას. ქრისტეს მიერ სიყვარულით მოგესალმებით და მე-12 საეკლესიო კრებას გახსნილად ვაცხადებ“. საეკლესიო კრებას მიესალმა და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა პიმენმა. კრებამ დაამტკიცა 4 კომისიის შემადგენლობა. ალექსანდრე ეპისკოპოსმა გრიგოლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა წმიდა სინოდის გადაწყვეტილება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ასარჩევ კანდიდატად ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას დასახულების შესახებ. კრების თავმჯდომარემ, მიტროპოლიტმა ილიამ კრების მონაწილეებს მიმართა, რომ სხვა კანდიდატის შემთხვევაში მათ თავისუფლად შეეძლოთ ჩაენერათ მისი სახელი დარიგებულ ბიულეტენზე. გაიმართა ფარული კენჭისყრა. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ, არქიმანდრიტმა იოანე ანანაშვილმა გამოაცხადა, რომ კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია ერთხმადაა არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. კრებაზე შედგენილ იქნა საგანგებო სიგელი, რომელსაც ხელს აწერდნენ კრების მონაწილენი.

„მის მალაყოვლადუსამღვდელოესობას, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას.

წყალობითა ღმრთისათა და მადლითა და განგებითა სულისა წმიდისათა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღნიშვნიდან მე-12 ადგილობრივმა კრებამ, რომელიც შედგა 1977 წლის 23 დეკემბერს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში, შემადგენლობითა საქართველოს ეკლესიის ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავართა, სამღვდელოთა, სამონაზვნო წესთა

და ერისკაცთა, მოძმე მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენელთა, მღვდელმთავართა, სამღვდელთა დასთა თანდასწრებით აირჩია თქვენი სისწიდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად; მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსად" საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურს ეწოდა ილია II.

მე-12 საეკლესიო კრების გადაწყვეტილება იმავე დღეს ცნობილი გახდა სრულიად საქართველოსათვის.

ყველას სურდა ეხილა ახალგაზრდა, განათლებული და გამორჩეული მწყემსმთავარი, რომელიც მოახერხებდა დაეძლია არსებული წინააღმდეგობანი და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის დაებრუნებინა ისტორიული მისია.

XX საუკუნის 70-იანი წლები საბჭოთა კავშირის „უბრაობის ხანად“ არის ცნობილი. ქვეყანაში გაბატონებული იყო კომუნისტური იდეოლოგია. რელიგია, სარწმუნოება „წარსულის მავნე გადმონაშთად“ იყო მონათლული. ოფიციალური საინფორმაციო საშუალებები, პრესა, ტელევიზია ანტირელიგიური შინაარსის წერილებისა და გადაცემების განხილვას ახდენდა. საქართველოში გამოავალი ოფიციალური გაზეთები: „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“ მოკლე ინფორმაციით გამოეხმაურა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას. სრულიად საქართველოს ახლადარჩეულ კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II შედარებით ვრცელი მასალა მიუძღვნა უცხოელ თანამემამულეთათვის განკუთვნილმა გაზეთმა „სამსობლომ“. მიუხედავად ამისა, 5 დეკემბერს დიდი და პატარა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრისკენ დაიძრა. 1917 წლის 12 (25) მარტის შემდეგ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ასეთი ხალხმრავლობა არ ყოფილა. ოფიციალური ხელისუფლება ვითომც წესრიგის დაცვის საბაზით შეეცადა მხოლოდ საგანგებო საშუალებით დაეშვა ხალხი, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, ხალხის ტალღამ გარღვია „წესრიგის დამცველთა“ კორდონი და სვეტიცხოველში შევიდა. დეკემბრის სუსხიანი, მზიანი დღე იყო. დილის 9 საათზე სვეტიცხოვლის ტაძარში მობრძანდნენ: უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, თეთრინყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, ნილკნელი მიტროპოლიტი გაიორგი, მანგლელი ეპისკოპოსი გრიგოლი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურნი, სტუმრები; მოსკოვისა

და სრულიად რუსეთის პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი პიმენი, ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქი, კათოლიკოსი ვაზგენ I. ქართული ინტელიგენციის — მეცნიერების, კულტურის თვალსაზრისწირი წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საზეიმოდ შესრულდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის 141-ე მეთაურის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II აღსაყდრება.

პატრიარქმა ამ სიტყვებით მიმართა მორწმუნე მრევლს, სრულიად საქართველოს:

„მე შეგვებული მაქვს ის უმძიმესი და ამავე დროს საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს, ღვთის ამ წმიდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა, მუხლს ვიხრი ამ პატივისათვის მისი ძლიერების წინაშე, და თავყვანს ცეკმ მარადიული ნათლიი მოსილ ხსენებას მისას. მე თავს ვიხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის, ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და გონება, იმ სარწმუნოებით, რომელი სარწმუნოების დაცვისა და შენარჩუნებისათვის ზღვა სისხლი გვიილო რიცხვით მცირე ჩვენმა ხალხმა... ჩვენი ეკლესიის მომავალი საქმიანობის მთავარი საკითხი უნდა იყოს ქართველ ხალხში სასოებისა და უტეხი ნების განმტკიცება, ჩვენ ხალხს მუდამ მოეპოვებოდა ენერგია სასოებისა და წინსვლისათვის და ეს ენერგია ახლაც ჭარბად აქვს მას, გამოვლენდეს და სიკეთეს მოხმარდეს ეს ენერგია, აი ჩვენი მიზანი... იმისთვის, რომ ღვთიური გზით წარემართოთ ჩვენი მომავალი საქმიანობა, გვჭირდება შინაგანი მთლიანობა“.

ამ სიტყვებით დაამთავრა მისმა უწმიდესობამ და ჯვარი გარდასახა სვეტიცხოველში შეკრებილ ათასობით დამაიმანს. პატრიარქი, მისი თანმზღები პირნი, ჩამოსული სტუმრები ეკლესიიდან გავიდნენ, მაგრამ ხალხი არ იშლებოდა, ყველამ იგრძნო, რომ ისტორიული მოვლენის მონაწილე გახდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია XX საუკუნის 20-70-იან წლებში ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან დევნილი, შევიწროვებული და თავის თავში ჩაკეტილი, ახალი ისტორიული გამოწვევებისათვის ემზადებოდა. ეს მომავალში, მაგრამ იმხანად არსებულ უშემძეს ვითარებას ყველა აცნობიერებდა, როგორც მასპინძლები, ასევე სტუმრები. ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა ვაზგენ I ასეთი სიტყვებით მიმართა უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს.

„თქვენ რომ გიყურებთ მახსენდება ჩემი პატრიარქობის პირველი წლები... ჩაიარა საზეიმო დღეებმა და მკაცრი რეალობა მძიმე აღმოჩნდა. თვის ბოლოს იმის სახსარიც კი არ გვკონდა, რომ მგალობლებისათვის მცირე ხელფასი მიგვეცა, მაგრამ ღვთის შეწევნით გადავლახეთ ყველა პრობლემა და დღეს სომხეთის ეკლესია ერთ-ერთი უძლიერესია. ეს ამბავი შემთხვევით არ გამიხსენდება — დარწმუნებული ვართ, ახალგაზრდა პატრიარქი ილია ყველა პრობლემის თავს გაართმევს და საქართველოს ეკლესიის საქმიანობას მეტ სითამამეს შესძენს“ — ასე დაასრულა თავისი გამოსვლა კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა.

25 დეკემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II გამართა საზეიმო მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრები, სამღვდლოება, მონაწილე სტუმრები. ქართული ინტელიგენციის სახელით უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს სიტყვებით მიმართეს პროფესორმა ალექსანდრე ალექსიძემ, გაიოზ იმედაშვილმა, პოეტმა იოსებ ნონეშვილმა. „თქვენ თქვენი მორწმუნებრივი სინმიდით, — აღნიშნა პროფ. გაიოზ იმედაშვილმა, სათნო ცხოვრებით, ცოდნითა და ეკლესიისადმი უანგარო, თავდადებული მოღვაწეობით დიდი ხნის წინათვე გქონდათ მოპოვებული ხალხის სიყვარული და პატივისცემა. ამიტომ იყო, რომ წილად გხვდათ ეკლესიისა და ხალხის სიყვარული და პატივისცემა... ეკლესიისა და ხალხის ნება-სურვილის სრულ თანხმობაში ერთსულოვნად ავირჩიეს დაობლებული ქართული ეკლესიის მამამთავრად... დღეს ყოველი ენის, განათლების, პროფესიის ქართველი თქვენი უწმიდესობის და უნეტარესობისადმი ნუგეშით მიწოდობილი სასოებს, რომ ოდესმე დიდებული ეკლესია კვლავ ჩადგეს ერის სამსახურში“. ყველა გამომსვლელის ნატურა იყო კვლავ ეხილად ძლიერი საქართველოს სამოციქულო ეკლესია.

უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საზეიმო მიღებაზე მისულ საზოგადოებას მიმართა მოკლე საბოროტო სიტყვით, რომელშიც ჩამოაყალიბა ის ამოცანები, რომელიც უნდა გადაეწყვიტა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას.

„ჩვენ ყველა ასეთ საქმეში ღვთის ნებას ვხედავთ — აღნიშნა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. მის მოწყალებას, მისი მარჯვენის ძლიერებას, სამართლის მისავე მისი ნათლით მოხილ სიყვარულს იმათ მიმართ, ვინაც ჩაჰპერა, მან სიცოცხლე თავის წმიდა სულის მიცემით, ღვთაების ამ წარმოუდგენ-



ლად მრავალმხრივმა დიდმა სიკეთემ მისგან ბოძებული ძლიერების კვერთხით დამაყენა ჩემი საყვარელი ქართველი ხალხის წინაშე, როგორც მსახური ამ ხალხისა და აღმსარებლებელი ყოვლად მაღალი ნებისა, ხალხის სულიერი ცხოვრების ამაღლებასში. მე ტვირთის ზიდვა დამაკისრა მისმა გასაოცარმა მოწყალებამ, მოკვდავი გონებისათვის წარმოუდგენელმა ძლიერებამ მომცა ძალა და სასოება, რომ ზემით ვზიოდ ეს ტვირთი როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ის... ჩვენი ეკლესიის საქმიანობა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც რაკეტ მხოლოდ მორწმუნე ხალხთან კარნაკტილობა, ჩვენ ყველაფერი უნდა გვენამდეს, პროგრესული საწყისებით, ამისათვის ჩვენი ეკლესიაც უნდა იდგეს მთელ ხალხთან ერთად, რომელი ხალხიც სიკეთესა და აღვლობას ემსახურება... უნდა გვენასოვდეს, რომ ჩვენ იმ ქვეყნის შვილები ვართ, სადაც დაფლულია უფლის ვეართი, იმ ქვეყანაში დაბადებული და აღზრდილი, რომელი ქვეყანაც წილად ხვდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, იმ წინაპართა შთამომავალი ვართ, რომელთაც ქრისტიანობა უქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა... ასეთი წარსული გვავალებს, რომ მუდამ ვიზრუნოთ ჩვენი ეკლესიის სინმიდის ამაღლებიანათვის. რა თქმა უნდა, იოლი როდია ღვთისა და ერის წინაშე ვალის მოხდა, მაგრამ განა შეიძლება რაიმე ტვირთის სიმძიმეზე ფიქრი მაშინ, როდესაც ვიცით ეს ტვირთი ღვთისგან მივიღეთ? ამ ტვირთთან ერთად მოგვცა სასოება განგებამ. ყოველი ტახტი პატრიარქისა უნდა ემსახუროს ღმერთის დიდების საქმეს. ვიდრე ვიცოცხლებ, ჩემს თვალწინ

იქნება ის თვალთ უხილავი, მაგრამ რეალური ტახტი, რომელზეც დასვა უფლის ძლიერმა მარჯვენამ, ჩემს გულზედ სწერიას ვალდებულდებიან, რომელიც მისმა მოწყალებამ დამაკისრა და ბედნიერს მხდის იმაზე ფიქრი, რომ ყოვლად მაღალი მოწყალებით და ქრისტეს მოძღვრების მოყვარული ქართველი ხალხის თანადგომით, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც მაღალი ღმერთის მადლმა და ძალამ დამაკისრა”.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის 141-ე მეთაურის არჩევას გამოეხმაურა მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ეკლესიების საინფორმაციო საშუალებანი. ქრისტიანული მსოფლიო კარგად იცნობდა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II, რომელიც 1963 წლიდან როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე მონაწილეობდა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიასთან სამშვიდობო ფორუმებში, მას პირადი გულითადი ურთიერთობები აკავშირებდა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, სომხეთის ეკლესიასთან მეთაურებთან. მისმა უწმიდესობამ ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად თანამშრომლობა შესთავაზა საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას, საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანს ასეთი შინაარსის დეკრემს გაუგზავნა: „ფიქვით რა საქმემუპობელობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისა, წმიდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით მიიღეთ



უღრმესი პატივისცემა და კეთილი სურვილები”.

ჩაიარა საზეიმო დღეებმა, დადგა 1978 წელი, სიონის საპატრიარქო ტაძარში შაბათს, კვირას, ორშაბათს და სამშაბათს მორწმუნე მრევლს საშუალება ჰქონდა ნირვა-ლოცვაზე შეხვედროდა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს. ტაძარი, სადაც დიდ და საეკლესიო დღესასწაულების დროს ძირითადად ხანდაზმული ადამიანების სალოცავად ქცეულიყო, სტუდენტი ახალგაზრდობით, ინტელიგენციის წარმომადგენლებით შეივსო. ყველა გრძობდა, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა იწყებოდა.

1995 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა ასე გაიხსენა პატრიარქობის პირველი რთული წლები. „დღეს მე მხოლოდ ჩვენი ეკლესიის ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს შევხები, კერძოდ, გავიხსენებ რა ურთიერთობა იყო ეკლესიასა და ინტელიგენციას შორის, რომელიც თითქოს ისეთივე ზენოლას განიცდიდა და ისევე იღვევებოდა, როგორც სასულიერო პირნი. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ ქართველი ეკლესიის სული გადარჩინა, ამიტომ ჩვენი მიზანი იყო მჭიდრო კავშირი ეკლესიასა და ინტელიგენციას შორის. სახელმწიფო ცდილობდა არ მომხდარიყო ეს დაახლოება. ინტელიგენციას სულიერებისაკენ სწრაფვა ჰქონდა, მაგრამ გამოცდილება აკლდა. მახსოვს, საპატრიარქოში ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსები მოვიწვიეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად. დავამუშავეთ გეგმა და გავინაწილეთ თემები, მაგრამ როდესაც დამუშავებული ნაწილები წარმომიდგინეს, მიგზვდი, რომ მათი გამოცემა არ შეიძლებოდა, რადგან ეს არაეკლესიური ადამიანების მიერ დანერგილი ისტორია იყო... მიუხედავად ამისა, სწრაფვა დაახლოებისათვის არ შეჩერებულა. საპატრიარქოში გრძელდებოდა შეხვედრები მეცნიერებთან. ხშირად საკითხები, რომელთაც ჩვენ ამ შეხვედრებზე განვიხილავდით, იმდენად საინტერესო იყო, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მათ შესახებ სტუდენტებს ლექციებზე უყვებოდნენ... ჩვენმა მეცნიერებმა დიდი მისიონერული ღვაწლი გასწიეს და მე მადლობელი ვარ მათი მძიმე მდგომარეობაში გამოჩენილი თანადგომისათვის“ (ილია II. ეპისტოლენი ქადაგებანი ტ. II. თბილისი 1997 წ. გვ. 111).

P.S. წერილში გამოყენებულია საპატრიარქოს საარქივო მასალები სარგო მარდოსანიძე



## ბიოხიბი ბეჩეჩის სახისმეცყვეჩეზა

რე არის უმთავრესი მიზანდასახულო-ბე გიორგი მერჩულის ნანარმოებისე? რეე თვით გრიგოლ ხანძთელის უმთავრესი ის-ტორიული დამსახურებე?

ჩვეულებრივ, ასე განესაზღვრავთ ხოლმე

გრიგოლის ღვანლს: მან, თავის მონაფეებ-თან ერთად, მურვან ყრუსაგან აობრებულ ტაო-კლარჯეთში დააარსე მონასტრები, განავითარე მნიგნობრობე, გაამდიდრე ქართული კულტურე დე იმ მხარის სულიერ-ი თავკაცი ვახდე. იგი კურაპალატებსაც კი კარნახობს ცხოვრების წესს დე რიგს. მისი ღვანლი მთელს საქართველოს სწვდებე.

მეგრემ ამითაც კი არ ამოინურებე მისი დამსახურებე.

მისი ღვანლის მთელი სისრულით წარმო-სახენად საჭიროე გავითვალისწინოთ შემდე-გი მნიშვნელოვანი გარემოებანი.

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკურ-ი, კულტურული დე რელიგიური ცენტრი ოდითვანვე იყო ქართლი. ქართლის ასეთი მნიშვნელობის გამო, საქართველომ, მრავალ-ი კუთხისგან შემდგარმა ქვეყანამ, თავისი სახელწოდებე ქართლისგან მიიღო. „საქარ-თველო“ ნიშნავდე ქართველთე საგამგებლო ქვეყანას. სანამ ეს დამკვიდრდებოდე, საერ-თო სახელწოდებეად „ქართლი“ იყო.

VII საუკუნიდან მოკიდებული, არაბებმა ქართლი დაიპყრეს, მეფობე მოშალეს დე თბილისის საამირო დააარსეს. ქართლში ცხოვრებე ჩაკვდე. ქართლმა დეკარგე თავი-სი მნიშვნელობე, ხოლო მთელმა ქვეყანამ — უმნიშვნელოვანესი ცენტრი. დე თუ ქართვე-ლობას სურდე თავისი კულტურული სახე შე-ენარჩუნებინე, მას უნდე შეექმნე ქართლის ნაცვალე, იმგვარი ცენტრი, რომელიც ქარ-თლის მაგივრობას გასწევდე.

აი, ამ უდიდესი ეროვნული მისიის განხორ-ციელებე ითავე გრიგოლ ხანძთელმა — ნი-შანდობლივია, რომ ქართლელმა კაცმა. არეე შემთხვევითი, რომ ის იყო ნერსე ქართლის ერისთავის მეუღლის ძმისწული დე მისი გეზ-რდილი, ე. ი. ფაქტიურად ნერსეს ოჯახის შვილი. ამას კი განსაკუთრებული ყურადღ-ებე უნდე მიექცეს. არც ისეე შემთხვევითი, რომ ის ტაო-კლარჯეთს უნდე გამგზავრებუ-ლიყო 781 წლის შემდეგ, როცე ნერსე ხაზა-რეთს გადაიხვენე, თანაც ეს ის დროე, როცე განსაკუთრებით შესაგრძნობი ვახდე მომე-ვალე ეროვნული კატასტროფე. სწორედ ამ დროს გაისმა იონანე საბანისძის გაფრთხილე-ბე: „ალვერინით ერსე უცხოესე“, დავივიწყე-თო „ჩუეულებსიებერ მამულისე სლვამ“.

ტაო-კლარჯეთში გრიგოლის გამგზავ-რებეს ახლავს დიდი სამომავლო მიზანი. ეს კუთხე უნდე იქცეს ქართლის ნაცვალად. თე-ნაც ეს ისე უნდე დანყებულიყო დე წარმარ-თულიყო, რომ არაბები ვერ მიმხედარიყვნენ

ამ მოძრაობის არსს. სწორადაა აღნიშნული: გრიგოლს ნერსეს ამბების მაგალითი უჩვენებდა, რომ იმჟამად არაბთა წინააღმდეგ უშუალო დაპირისპირება უპერსპექტივო იყო. ხალიფატის ძალმომრეობა მსოფლიოს მოედო და ქართველები მასთან ვერაფერს გახდებოდნენ. მაშინ არაბთა ძალმომრეობა ისე აღზევებული იყო, რომ იმჟამად არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის მონოღება ეროვნულ ღალატს ნიშნავდა. ოღონდ ეს როდი გულისხმობდა არაბებისადმი სამუდამო მორჩილების შეგუებას. ძველთაძველი სწავლებით, არის ჟამი ბრძოლისა, ჟამი უკანდახევისა, ჟამი მშენებლობისა და ჟამი პრინციპთა შინაგანი შენარჩუნებისა, არდავიწყებისა „მამულისა ჩვეულებისაებრ სღვისა“.

ამიტომაც ტაო-კლარჯეთი ქართლის ნაცვლად უნდა ქვეყნული დიდი აღმშენებლობით და მომავლის დიდი რწმენით. ეს მოძრაობა წარმართულ იქნა როგორც უბრალო ბერების გამგზავრება მივარდნილ კუთხეში მონასტერთა მშენებლობისათვის, ძირითადი პოლიტიკური ასპარეზიდან განშორებით.

ეს საიდუმლო გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობისა საიდუმლოებად რჩება მერჩულის დროისათვის, რადგან არაბთაგან ძალმომრეობა კვლავაც მოსალოდნელი იყო.

გრიგოლ ხანძთელმა შეასრულა ეს დიდი მისია. ტაო-კლარჯეთი მართლაც მეორე ქართლად იქცა. ნიშანდობლივია, რომ იგი ყოველთვის ქართველთა სამკვიდრე ინოვებოდა, ვითარცა ძველის მემკვიდრე და ახლის მშობელი. აქაურობის აღმავლობა მონასტრებით დაიწყო, ამას საერთო კულტურული აღმავლობაც მოჰყვა, შემდეგ — პოლიტიკური გაძლიერება. აქედანვე დაიწყო საქართველოს გაერთიანება.

ამრიგად, გრიგოლ ხანძთელი იყო ერთ-ერთი უდიდესი პიროვნებათაგანი საქართველოს ისტორიისა, რომელმაც თბილისის ემირატის დროს ტაო-კლარჯეთში შექმნა ქართლის ნაცვალის ცენტრი, რომლის საბოლოო მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება და არაბთა ბატონობის დაძლევა. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ხანძთელმა დაიწყო ის საქმე, რომელიც საბოლოოდ დაეთო აღმაშენებელმა განასრულა. გრიგოლ ხანძთელი შეიძლება მოაზრებულ იქნეს ილიას აჩრდილის სახეში, რომელიც წარმოსახება ასეთი სიტყვებით: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული“.

ამავე სახეში შევა სულხან-საბაც და თვით ილიაც.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლელი მოღვაწეები მიდიან ტაო-კლარჯეთში, ვითარცა ალექსანდრე ქვეყანაში, რათა იქიდან კვლავ მოიპოვონ თავიანთი სამშობლო — ქართლი და საქართველო.

გრიგოლ ხანძთელის ღვაწლით ტაო-კლარჯეთი იქცა სრულიად საქართველოს კულტურულ ცენტრად. შემთხვევითი როდია, რომ ტაო-კლარჯელთა მოღვაწეობის ეს მხარე შემდგომ განავითარეს დიდმა ათონელმა, რომელმაც „განანათლეს ენა და ქუეყანა ქართველთა“. სულიერი ცხოვრებით დაიწყო ტაო-კლარჯეთის აღორძინება და შემდეგ იქცა იგი პოლიტიკურ ცენტრად.

აქ დაიწყო ბაგრატიონთა დინასტია და აქვე შეიქმნა ქართველ მეფეთა ღვთაებრივი წარმოშობის იდეა, რომელიც პირველად გრიგოლ ხანძთელმა გამოთქვა ამოტ კურაპალატის წინაშე („დავით წინაასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შევიად ნოდებულო ხელმწიფეო, მეფობა და სათნოებანიცა მისნი დაგმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათვისცა ამას მოგახსენებ: არა მოაკლდეს მთავრობა შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქვეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა“ (თ. 11).

აქედანვე კარნახობენ ქართლის პატრიარქად არსენის დანიშვნას, რომელიც გრიგოლის მონაწე იყო. დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ გრიგოლის მონაწე ეფრემ ანყურის ეპისკოპოსი მირონის კურთხევას ქართლში განაწესებს, ამით ანყურის ეპისკოპოსი სრულიად საქართველოს საეკლესიო მთლიანობის სიმბოლურ საფუძველს ქმნის. ამას მოსდევს ცნობილი სიტყვები, გამოხატველნი საქართველოს ეროვნული მთლიანობისა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ (თ. 44).

გრიგოლ ხანძთელის კონსტანტინეპოლს გამგზავრება ბერძნულ კულტურასთან კავშირ-ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას მოასწავებდა.

ასეთ მრავალმხრივ კულტურულ-ისტორიულ ამოცანებს ისახავდა გარეგნულად, თითქოსდა „მეუღაბნოეთა“ მოძრაობა.

გიორგი მერჩულის სახისმეტყველების უმთავრესი ნიშანთაგანია მრავალმხრივობა, რომლის გაუთვალისწინებლად სრულიად გაუგებარი იქნება მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვა. გრიგოლ ხანძთელი უდაბნოთა მშენებელია. ამის მიღ-

მა იგულისხმება „ახალი ქართლის“ შექმნა, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს „მარადული სამშობლოს კენ“ მობრუნებას, რომელიც იმჟამად ტყვედმყრობილია.

გიორგი მერჩულის ლიტერატურულ-ესთეტიკურ თვალთახედვითა კვალობაზე გრიგოლ ხანძთელის სახე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სამი სიმბოლური ნიშნის მიხედვით: „გზა“, „უდაბნო“ და „მოძღვარი-ალმშენებელი“, რომლებიც შესაბამისი იქნება სამი ზემოაღნიშნული იდეისა: სამშობლოს დატოვება, სულიერი გამოცდის ასპარეზი (უდაბნო) და მზადება აღთქმული ქვეყნისათვის.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გზა თავისთავად ერთი სახე-იდეაა. ერთი მხრივ, ესაა ადამიანის სრულყოფის გზა, გზა იდეალთან მიახლებებისა, ხოლო, მეორე მხრივ, მთელი ხალხის, ქვეყნის მართებულად წარმართვისა და მისი ხსნის გზა. ქვეყნის გზა აქ სულიერი ხსნის გზაა, ამ სიტყვითა სრულიად პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან მას არ მივყავართ ბრძოლისკენ. ხსნა სულიერი განათლებით უნდა იქნეს მიღწეული.

შუა საუკუნეთა ხელოვნებაში ყოველი გზა სიმბოლურია. ნებისმიერი გზის ფიზიკურად გავლა აუცილებლად რაღაც სულიერ პლანსაც გულისხმობს.

მრავალი გზა განვლო გრიგოლ ხანძთელმა: გზა იმედისა, დიდ ხიფათთან, სიკვდილთან მიახლოებული გზა, გზა განსორებისა, გზა იდეალთან მიახლებებისა, და საბოლოოდ, მისი ცხოვრების გზის ბოლოს მან დასახა დიდი ეროვნული გზა ტაო-კლარჯეთიდან ქართლისაკენ, რათა აღდგეს „მამულისა ჩუულებებისაებრ სლვაჲ“.

როცა დადგა დასაწყისი დიადი გზისა, ავტორი განსაკუთრებული ექსპრესიულობით შეგვაგრძნობინებს თანამოაზრეთა დიდ სულიერ დუღილს. გრიგოლი და მისი თანმხლებნი (საბა, თეოდორე და ქრისტეფორე) „ერთითა მით ერთობითა აღიბეჭდნეს თავნი თვისნი ძლიერებისა ბეჭდითა“ (თ. 4). „ესე ოთხნი შეგანაწერნა სარწმუნოებაჲმან... ვითარცა სულ ერთი ოთხთა გვაშთა შინა დამტკიცებული“. ასეთი წარმოდგენა ითხოვს, რომ მათი სვლა გაეიაზროთ სულიერ სწრაფვად: იქვე თქმულია: „სიხარულით წარემართნეს გზასა მას. რომელი არა უწყაოდეს“. ეს გზაა „უცნობ სამყაროში“. ფიზიკური მუუცნობელობა არ ნიშნავს, რომ უცნობი იყო ამ გზის საზრისი.

გრიგოლ ხანძთელისათვის ეს იყო „გზაა

ახალი და ცხოველი“ (ებრ. 10, 19), ანუ გზა ცხოვრებისა. ამიტომ მან დასახა შემდგომი გზები, რომლებითაც წარემართნენ მისი მონაფენი. ეს გზები ერთმანეთს ჰგავს, რადგან ერთია მათი მიზანი.

წანარმოებში არის სხვაგვარი გზაც, გზა „მოხილვისა“. ესაა გზა იერუსალიმისკენ და კონსტანტინეპოლისაკენ. ესაა ეროვნული გზა, გამოხატველი ქართველთა სულიერი კავშირებისა. გრიგოლი არდის „მეორედ იერუსალიმად, რომელ მის კონსტანტინეპოლისი და ყოველთა საჩინოთა საბერძნეთისა ნმიდა ადგილთა მოხილვად“ (თ. 12). საყურადღებოა, რომ წმინდა ადგილთა მოხილვის მიზნით გრიგოლი კონსტანტინეპოლს მიდის და არა — იერუსალიმს. ამ მგზავრობას თავისი კონკრეტული მიზანი ჰქონდა, საჭირო იყო ახლადდაარსებულ კერებში სიახლეთა შემოტანა. მაგრამ მას ჰქონდა სულიერი მნიშვნელობაც თვით გრიგოლისთვისაც და მთელი ქართული კულტურისათვის. ეს იყო გამოხატულება ქართველთა მთლიანი მიბრუნებისა კონსტანტინეპოლისაკენ (მანამდე უფრო მეტი კავშირი ქართველებს იერუსალიმთან ჰქონდათ). ეს გზა შემდეგ გაგრძელდა ივირონის დაარსებით. ნიშანდობლივია, რომ ამიერიდან „მეორე იერუსალიმად“ კონსტანტინეპოლს მოიაზრებენ. ჩვეულებრივ, კონსტანტინეპოლი „მეორე რომად“ იწოდებოდა. „მეორე რომს“ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური შინაარსი ჰქონდა. „მეორე იერუსალიმი“ კი კონსტანტინეპოლის მნიშვნელობას სულიერი შინაარსით აშინაარსებდა. ასე რომ, ორგვარ სიბრძნეზე მოძღვრების კვალობაზე თუ ვიტყვი, კონსტანტინეპოლი მიუჩნევიათ ცენტრად სასულიერო სიბრძნისა საეროსთან ერთად. ამიტომაც ამბობს მერჩულე: კონსტანტინეპოლში ყოფნისას გრიგოლს, „რომელიმე სახილავი მოძღვარ კეთილის ექმნის და რომელიმე განსაკრძალველ ბოროტებისათვის“ (თ. 12.). რაოდენ უახლოვდება ეს ავტორის მსჯელობას ორგვარ სიბრძნეზე და, კერძოდ, ამა სოფლის სიბრძნეზე: „რომელი პოვის სიტყუა კეთილი, შეინყაროს, ხოლო ჯერ კვალი განავდის“.

გიორგი მერჩულის თხზულებაში იმთავითვე თქმულია, რომ გრიგოლი გაემართა უდაბნოდ“ (თ. 4). ძმობის წევრები „მეუდაბნოებად“ იწოდებიან (თ. 10). ამიტომაც ითხოვს დიმიტრი მეფე კლარჯეთის უდაბნოთა სახის დახასიათებას და გრიგოლიც აღუწერს „უდაბნოთა მათ სიკეთეთა“ (თ. 2).

ეს „უდაბნოა“ ტაო-კლარჯეთის მხარე.

აქ მიდის გრიგოლი ქართლიდან, „თვისით ქვეყნით“ (თ. 4). ამ ადგილებს ქსენოფონტე ათენელის ანაბაზისიდროინდელი ამბები უკავშირდება. ქსენოფონტე აქ ხვდება არაერთ ქართველურ ტომს. შემდეგშია ციდიხანს მძლავრობდნენ ისინი. კარგა ხნის მერე აქ სომხებიც მომრავლდნენ. VII ს-ში მურვან-ყრუს ლაშქრობისას დიდძალი ხალხი გაიჟლიტა. მერე თანდათან მომრავლდა აქ ქართველობა. რამდენიმე ქართული მონასტერიც გაჩნდა.

ასეთი იყო უდაბნო გრიგოლ ხანძთელის მისვლისას.

„უდაბნო“ და გრიგოლი — ესაა ცენტრალური სახე გიორგი მერჩულის თხზულები-სა.

მრავალწახნაგოვანი იყო უდაბნოს მნიშვნელობა (დღევანდელი მნიშვნელობა მასში არ იყო ხაზგასმული, თუმცა არც გამოირიქცებოდა). „უდაბნოს ბიბლიური სიმბოლოცა არ შეიძლება ავრიოთ რაიმე მისტიკაში მარტოსულობისა ანდა ცივილიზაციიდან გაქცევაში; იგულისხმება არა მიბრუნება უდაბნოს იდეალურ მარტომყოფობაში, არამედ დროებითი გადასვლა სხვაგან უდაბნოს გზით“.

ამიტომაც გაიაზრება ამ ნაწარმოებში „შუენიერება უდაბნოსას“.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ შინაარსით ფუნქციონირებს „უდაბნო“ გიორგი მერჩულის წარმოდგენაში. „უდაბნო“ ადგილი, საიდანაც უნდა მოხდეს გადასვლა ახალ ვითარებაში. ესაა საქართველოს მომავალი, რომლისკენაცა მიმართულია ტაო-კლარჯეთის ძმობის მოღვაწეობა.

ყოველი დროისთვის შეიძლება არსებობდეს იმაზე ფიქრი, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი სულის უდაბნო, რომლის მიღმა უმთავრესი საოცნებო, რომელსაც მისწვდება ან ვერ მისწვდება.

რა იყო უმთავრესი გრიგოლ ხანძთელის უდაბნოში ყოფნისას?

გრიგოლი გახდა „უდაბნოს ქალაქ-ყოფელი“ (თ. 2). ესაა უმთავრესი. ეს გვაგებინებს გრიგოლის ღვანლსაც და „უდაბნოს“ რაობასაც.

აქ უნდა გავითვალისწინოთ „უდაბნოს“ სხვა მნიშვნელობაც. თუ არსებობს მიმართება „უდაბნო“ და ადამიანი, არსებობს მეორეც — „უდაბნო“ და წესრიგი. „უდაბნო“ მოუნესრიგებელი გარემოა. გრიგოლს იგი უქცევია „ქალაქად“. „ქალაქი“ აქ მართლაც ქალაქს როდი ნიშნავს (არსაიდან ჩანს და

არცაა მოსალოდნელი, რომ გრიგოლს კლარჯეთში ქალაქი ეშენებინოს). „ქალაქი“ პოლი-სური აზროვნების გამოხატველია. ის როგორც ცნება-ტერმინი ქართულში ბერძნულიდან მომდინარეა. უდაბნოს „ქალაქად“ ქცევა („ქალაქ-ყოფა“) უდაბნოში წესრიგის შეტანაა, უსახური უდაბნოსათვის სახის მიცემაა.

სწორედ ეს განახორციელა კლარჯეთის უდაბნოში გრიგოლ ხანძთელმა. მან მისცა ამ მხარეს ახალი სახე. მან ტაო-კლარჯეთი აქცია მონესრიგებულსოციუმად, სოციალური ცხოვრების ყოველ სფეროში ჩარევით. და ეს მხარე იქცა მთელი საქართველოს სასურველ მიეროკოსმოსად, პირველსახედ მომავალი საყოველთაო წესრიგისა. აი, რა აზრით უნდა ჩათვალოს გრიგოლ ხანძთელის უმთავრეს დამსახურებად ტაო-კლარჯეთის უდაბნოთა „ქალაქ-ყოფა“.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: გრიგოლს თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული ზემოაღნიშნული დიდი მიზნები, თუ ის მხოლოდ უბრალო ბერობისთვის ემზადებოდა და მხოლოდ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ მიიყვანა დიდ გარდაქმნამდე? პასუხი ამ კითხვაზე მხოლოდ ისტორიულ სინამდვილეს კი არ გავაგებინებს, არამედ უკეთ შეგვაცნობინებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მთელ სტრუქტურას და საერთოდ გიორგი მერჩულის სახისმეტყველების ხასიათს.

თუ დავუშვებთ, რომ გრიგოლი თავდაპირველად უბრალო ბერობისათვის ემზადებოდა, მაშინ მთელი ტაო-კლარჯეთის „ქალაქ-ყოფა“ კურაპალატთა ინიციატივას უნდა მივანეროთ. მაგრამ საერო ხელისუფალთაგან ასეთ დიდ ღონისძიებებს არაბოზა არ დაუშვებდა. ნერსე ერისთავსაც და გრიგოლსაც, რომელთაგან ერთობლივად უნდა შემუშავებულიყო გრიგოლის მომავალი მოღვაწეობის გეგმები, კარგად ესმოდათ, რომ სიახლენი შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ საეკლესიო გზით, რადგან არაბთაგან ეკლესია ნომინალურად მაინც შედარებით თავისუფალი იყო. ამიტომ ძალზე დიდხანს არ უნდა გამომჟღავნებულიყო, რომ ტაო-კლარჯეთის საერთო-ეროვნულ საქმეთა მოთავენი კურაპალატები იყვნენ. ის კი არადა, ზოგჯერ თვით კურაპალატებს კარგად არ ესმოდათ გრიგოლის მიზანდასახულებანი, პატივმოყვარეობაც სძლევდათ ჩარეულიყვნენ სასულიერო საქმიანობა-კომპეტენციაში. გრიგოლი მათგან თხოვს, რომ ისინი ჩანდნენ როგორც მხოლოდ ეკლე-

სიათა მშენებლობაში დამხმარენი, რათა არ გამოქვლიანდეს ანტიარაბული მიზანდასახულება.

ამიტომ გრიგოლი მოღვაწეობას იწყებს როგორც უბრალო ბერი. მაგრამ მას იმთავითვე ძმობის შექმნა აქვს გადაწყვეტილი და არა — ანაქორეტული (განდევილური, ანუ მარტოდმყოფთა) მონასტრებისა. ამიტომაც გაიყოლა მან მონაფენი, თანაც სულ სამი, რომ სხვანი შემდეგ თანდათან მოეზიდათ. სწორედ ასე მხოლოდ სამონაზვნო მოძრაობად აღიქმებოდა მათი მოღვაწეობა. გრიგოლი მონაფენებითურთ თავდაპირველად ოპიზას მივიდა, ამაზ გიორგისთან. დაემკვიდრა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მცირე ეკლესიაში. აქ ანაქორეტები ცხოვრობდნენ და, თითქოს, გრიგოლიც ფიქრობდა განდევილობას, მაგრამ, სინამდვილეში, ეს იგივე სანესო ჟესტი იყო მხოლოდ და შემდეგ არც სიტყვით და არც საქმით ასეთი სურვილი არ გამოუმჟღავნებია, რამეთუ ეწადა „დამკვიდრება ძმათა ერთად“. აქ გატარებული ორი წელი სულიერი გამოცდის წლები იყო.

ამის შემდეგ იწყება ხანძთის შენება და არსებითად ეს იყო დიადი გზის დასაწყისი. ხუციდოსის ნათელმზილველის ჩვენებით წარმოუდგება მომავალი ხანძთის სახე „ნათლისა ღრუბელით გამოხატული“ (თ. 6) გრიგოლის ძმობას დიდად ეხმარებოდა ოპიზრები. ჯერ-ჯერობით ერისკაცნი არ ჩანან. და როგორც კი აღაშენეს თავდაპირველი ხის ეკლესია და ძმათა სენაკები, დღითი დღე მოადიდნენ ახალი წევრები ძმობისა, ვითარცა „მუშაკნი მეთერთმეტისა ჟამისანი“ და ისინიც მათი სრულფასოვანი თანამოღვაწენი ხდებოდნენ. „მამა გრიგოლ არავის უდებთაგანსა შეინყნარებდა, არამედ პირველთაგან გამოცდის ყოველსა კეთილსა საქმესა“ (თ. 8).

ასე იქმნებოდა ხანძთის ცნობილი სავანე, ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა.

აქ წმინდა სულიერი მომენტებია წინ წამოწეული და ეს გასაგებია. მაგრამ ამ ფონზე შემოდის ახალი მოტივებიც. ხანძთელებს შენნედ დაუდგებიან აშოტ კურაპალატის ოჯახი და დიდებული აზნაური გაბრიელ დაფანჭული. იწყება ახალი ექვტიკირის ეკლესიის აშენება. ეს მოასწავებს ხანძთელთა საბოლოო დაფუძნებას. ეკლესიას წმინდა გიორგის სახელზე აშენებენ. ამ დროს გრიგოლი ამბობს: „ღირს ვიქმნე გლახაკი შენი სრულიად აღშენებად ამისა სახელსა ზედა და უძლეველსა სარწმუნოებასა დიდისა მო-

წამისა შენისა გიორგი ჯვართა მოქადული-სა, ახოვნისა და სახელოვნად განთქმულისა ბრწყინვალედ შორის წმიდათა შენთა მარტვილთა და მონაშეთთა, რომელთაცა ხორცინი მახვილითა დაიჭრებოდეს, ხოლო სარწმუნოება არა განიკვეთებოდა. ხოლო მათ ყოველთა უმეტეს იპოვა სიმხნითა წმიდა გიორგი და მრავალთა ჟამითაგან უშჯულოთაგან ზარგანხილთა ქრისტიანეთა ასწავა სიმხნე ძლიერი“ (თ. 10).

ამ სიტყვების ქვეტექსტს არც გრიგოლ ხანძთელი და არც გიორგი მერჩულე არ შიფრავს, მაგრამ იგი ამოსაცნობი უნდა ყოფილიყო ხანძთელისათვის. გიორგი მერჩულე ბიბლიურ თუ პაგიოგრაფიულ მაგალითებს ეროვნული შინაარსით მოიხმობს. ასეთია გიორგი მერჩულის სახისმეტყველება.

თუ წმინდა წინო კაბადოკიელი ქართველთა განმანათლებელი იყო, საბა კაბადოკიელი (პალესტინელი) იყო „პირველსახე“ გრიგოლისა, გიორგი კაბადოკიელი, ანუ წმინდა გიორგი, ყოველ ხანძთელთა მფარველი, მაგალითის მომცემი და, ამდენად, გრიგოლის პირველსახეც უნდა ყოფილიყო. ამიტომ არ მიგვანჩნა შემთხვევითად, რომ ხანძთაში ეკლესია საკუთრივ წმინდა გიორგის სახელზე იგება. ყოველ წმინდანს თავისი სახე, თავისებური ღვანლი ჰქონდა და ამის მიხედვით სხვადასხვა წმინდანი სხვადასხვა საქმის მფარველად ითვლებოდა. წმ. გიორგი იყო წმინდა მხედარი, ქრისტიან რაინდთა პირველსახე, მახვილით მეგრძობი და, რაც უფრო ნიშანდობლივია, ავტორი ხაზს უსვამს, რომ წმ. გიორგიმ „მრავალ ჟამთაგან უშჯულოთაგან ზარგანხილთა ქრისტიანეთა ასწავა სიმხნე ძლიერი“. აი, რა უნდა ესწავლებინა წმ. გიორგის მაგალითის ხანძთელთათვის და საერთოდ ქართველთათვის, რომლებიც ასევე ურჯულო არაბთაგან ზარდაცემულნი („ზარგანხილნი“) იყვნენ „მრავალთა ჟამთაგან“.

სწორედ ამ ნიშნით უნდა წარმართულიყო ხანძთელთა მოღვაწეობა. მერჩულე ხანძთელზე ამბობს: „იყვნეს იგინი ვითარცა ზეცისა ანგელოზნი და პირველად მტერთა ძლევისა ანაჭურველი მიელეს ოხითა წმიდისა გიორგისი“ (თ. 27).

გრიგოლ ხანძთელი ერის მოძღვარია, ქვეყნის განმანათლებელი, დიდი სწავლული და პოეტი, სჯულმდებელი ტაო-კლარჯეთის „უღაბნოთა“, სულიერი მამა... მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ივია წინასწარმეტყველი,

ერის მერმისის წინასწარგამჭერეტი. ასეა გააზრებული გრიგოლი როგორც მოძღვა-რი. ეს გულისხმობს მთელი ტაო-კლარჯეთისა და აქაურ მეფეთა სამომავლო მისიას მთელი საქართველოს წინაშე. მეფეებსაც შეცნობილი აქვთ გრიგოლის მოწოდება. გრიგოლი „უდაბნოს ვარსკვლავია“. უდაბნოს ვარსკვლავმა მოგვებს აუნყა ბეთლემის სასწაული, რითაც ახალი სარწმუნოება იწყება. ბიბლიურ სახეთა ეროვნული შინაარსით გააზრება ითხოვდა, რომ გრიგოლი ქვეყნის განმანათლებლად დასახულიყო.

ჰაგიოგრაფია გმირს წარმოგვიდგენდა არა ისეთს, როგორც იგი იყო, არამედ ისეთს, როგორც უნდა ყოფილიყო. მაგრამ არსებობს „სასწაული“ ვითარცა აზროვნების წესი. იგი აზროვნების წესად იქცევა, თუკი ოდენ-სახეობრივი მნიშვნელობით წარმოგვიდგება. საყურადღებოა ერთი რამ: გრიგოლი უმეტესწილად „ძველი აღთქმის“ სახეებით მოიაზრება. „ძველი აღთქმის“ სახეები კი მისაღები იყო სწორედ სიმბოლურ-ესთეტიკური შინაარსით. გრიგოლი ქართველთა აბრაამია და აქედანვე იწყება ყველა ამისმაგვარი ანალოგიის, თუ შეიძლება ითქვას, „დაქვემდებარება“ გრიგოლის დადი სახის მიმართ.

და მაინც, ყოველგვარი უსაზღვრო განდიდება გრიგოლისა პირობითია, ესთეტიკურად პირობითი, რადგან ამაღლებული შინაარსი მისი სახისა სიტყვიერი გამოხატვის მიღმა წარმოსადგენი. ისიც ცხადია, რომ წმ. ნინოსა და ათონელების გარდა ქართულ ჰაგიოგრაფიაში გრიგოლივით არავინ განუდღებიათ, თვით იოანე ზედაზნელიც კი, ქართლის განმანათლებელი, მონასტერთა დაარსების მოთავე, რომელიც შეიძლებოდა თვით გრიგოლის „პირველსახედ“ შერაცხილიყო.

გრიგოლი ქმედითი სიკეთის სახე-იდეაა. „სიტყუაჲ მისი შეზავებულ იყო მარილითა მადლისაჲთა“. როცა მის მოღვაწეობას ეხედავთ, ვერ ვიტყვით, რომ ერიდებოდაო „სოფლურსა სიტყვას“, ანუ საერო საქმეთა განსჯას. უნივერსალურობა უმთავრესი ნიშანი ჰაგიოგრაფიულ სახე-იდეათა. ჩვეულებრივ, ცხადია, აგიოგრაფიული უნივერსალიზმი არ გულისხმობს პიროვნების მრავალმხრივობას, პირიქით, ეს ნიშნავს მაქსიმალისტურ განდევილობას, ან მაქსიმალურ მორჩილებას...


ჰაგიოგრაფიაში პორტრეტი არაა და არც შეიძლება, რომ იყოს. არის მხოლოდ „ხატი“,

უფრო ზუსტად — „ხატის“ შტრიხები. ეს შტრიხები საერთოდ წმინდანის სახეს ქმნის და არა პიროვნების პორტრეტს. გრიგოლის „ხატი“ ასეთი ნიშნებითაა მოწოდებული: „იყო ხილვითა დიდ, ჴორციითა თხელ, პასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გვაძითა მრთელ და სულითა უბინო“ (თ. 11). ესაა „ხატი მონაზონებისა“. პიროვნული პორტრეტის შეცვლა ხატით ხდება ცნობილი პრინციპით — მიმსგავსებოდნენ „უმაღლეს მშვენიერებას“.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ასახულია იმდროინდელი საქართველოს თითქმის ყველა ფენა: საერონიც და სასულიერონიც. აქ არიან ერისუფალნი: კურაპალატები, მამფალები (საერო მამფალი. სასულიერო მამფალი სამოელია, თანახმად იოანე საბანისძის წერილისა), დიდებული აზნაურნი და ქალბატონები, კათალიკოსები, ეპისკოპოსები, საერთოდ, თითქმის ყველა ნოდება სამღვდელეობისა, ბერ-მონაზვნები, თავისი მრავალსახოვნებით — დაყუდებულებითა და ძმობის წევრებით.

მთელი ამ სიმრავლის ფონზე, იმთავითვე ყოველგვარი ფორმალურ-რეგალიური იერარქიის გარეშე, ამაღლებულია სახე გრიგოლ ხანძთელისა. გაბრიელ დაფანჩული და თვით კურაპალატებიც გრიგოლს დიდი მონივნით ექცევან: „ჟამთა მისთა არავინ ურჩ იყო სიტყუათა მისთა, უფროს ხოლო ხელმწიფენი მის ჟამისანიო“ (თ. 27). აფხაზთა მეფეს კი ერთხელ კიდევ განურისხდება გრიგოლი; გვხვდება ფაქტები კურაპალატთა საქმეებში მისი ჩარევისა. ასეთი უკიდევანო განდიდება გრიგოლისა, ვფიქრობთ, ვერ იქნება ახსნილი მხოლოდ იმით, რომ კურაპალატებს სამაგიეროდ მონასტრებში ნირვა-ლოცვის დროს მოიხსენიებენ. ასეთი დანიშნულება ყოველთვის ჰქონდა ეკლესიას. მთავარია კვლავ ის, რომ გრიგოლი მიჩნეული იყო ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს ისეთ მამამთავრად, რომელიც მთელი საქართველოს მომავალს ამზადებდა. სხვას ვერ ხელენიფებოდა მაშინ ამგვარ მამამთავრად ყოფნა, ვერც კურაპალატს, ვერც დასავლეთ საქართველოს მეფეს და ვერც კათალიკოსს. ამიტომაც არის გრიგოლ ხანძთელი ყოველ მათგანზე ამაღლებულად წარმოდგენილი.

რევაზ სირაძე



ქართული საეკლესიო ცენტრი

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)

უწმიდასა და დიდებულსა...

მეუფე დიდო, მღვდელმთავარო ჯვარისმტვირთველო, ვედრება შენი შენირულ არს მალლისა მიერ... შემოგლალადებს იმედებით მთლად საქართველო — მრავალჟამიერ მეუფეო... მრავალჟამიერ...

სიყვარულისთვის მოვლენილხარ ამ ქვეყანაზე... ღმერთი დიდია — უბედობას შეცვლის ნამიერ... გაგვიმარჯუდება... ავმალღებით მძიმე ხანაზე, მრავალჟამიერ მეუფეო... მრავალჟამიერ...

დე, ყოფილიყოს ქართველთ ბირი გალიმებული

და ველარავინ შეგვიცვლიდეს ტანჯვით ამ იერს... მთლად საქართველო ერთ სულ, ერთგულ, გზით დიდებულით... მრავალჟამიერ მეუფეო... მრავალჟამიერ...

მღვდელ-მონაზონი გიორგი ოდიშვილი

მისი უწმიდასოვის, მამისა ჩვენისა ილიასადმი

უძღვები ერის მამა შენა ხარ, მამა კოლხთა და მამა იბერთი... შენს გამძლეობას დრო ვერ შელახავს, თუმცა კი თეთრად ჩამოგვიბერდი. ქვისა დარჩება, ნყალნი მიდიან, უფალმა იცის, ვის რა ადარდებს... შენ საქართველო გულში გინთია, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. დრო დადგა მტერს და დუშმანს მიეზლოს, მხრებით ხომ ზიდე უგნურთა ტვირთი. გახსოვს, შობა დღეს, როგორც იესო ჩემთა ცოდვათა გამოც ატირდი. შენს გულს და გრძნობას დრო ვერ შელახავს, ერის მამობა ძნელზე ძნელია. საქართველოსთვის მოსე შენა ხარ, საქართველოსთვის შენ ხარ ელია!



რეზო აბაშუკელი

ალილია

შხივის ვარსკვლავი ბეთლემემის იისფერ ცაზე — ცოდვის ამხსნელი, ადამის ძის ცოდვის გამშვები!... მოდის ურემი, თოვლისფერი შროშნებით საცხე,

და ხილის ხონჩით  
მგალობელი გუნდი ბავშვების...

გადაბიზინდა სანთლის სხივით  
მთელი ქალაქი: —  
— სარკმელი სარკმელს შესციცინებს —  
ყრმა იბადება!...

... ხარ  
შენირული შენს სამშობლოს  
როგორც ზვარაკი!  
— ქართველთ ნათელო,  
შენლა შერჩი მამულს თავდებად!...

იქნებ შემორჩა სულის ლუსკუმს  
სმარაგდის წვეთი, რომ გადმოვწერო  
საკადრისი, შენი, სტრიქონი!

— მოდგმავ დავითის,  
არაერთხელ აღმდგარო მკედრეთით,  
აღიხვენ თვალნი,  
კვლავ იხილე იერიქონი!...

არა,  
არ იშლის უხამსობას  
მინყივ, რეგვენი!  
ხორცსაც და სულსაც  
„სამარყანდის“ ყაიდით მორთავს!...

შთამომავლობის  
გადარჩენა თუ ვერ შევძელით —  
— „ნუცა დაუყრით,  
ნუ დაუფენთ მარგალიტს ღორთა“!...

და რაც აქამდე მოიტანა  
ერმა ნვალებით,  
გარყენეს,  
ნაბილნეს,  
გაასხვისეს ცაცა და მიწაც!...  
დაცუნდრუკებენ იქით-აქეთ  
„ერის მამები“,

— ვაი  
ქვეყანა სოვდაგრების ქარვასლად იქცა!..  
გულმონყალება,  
სათნობა, შენი, რომ არა,  
და ნუგეშინის სარიგებლად  
მარად მზაობა,

— მე  
ძღვლების გროვას,  
ნაცოდვილარ ხორცის ტომარას,  
ვინ მალირსებდა შენთან ბჭობას,  
შენთან საუბარს?!..

— აღილუია!  
ქრისტეშობას ზეიმობს ხალხი!  
ამინ, უფალო,  
ვერ ნაშალონ ჩვენი ჯილაგი!..  
... მოდის ყმანვილი,  
ავთანდილის მწყაზარი სახით,  
ნინოს ჯვრით ხელში,  
საგალობლით და ჩიჩილაკით...

— ემმანოულ!  
ემმანოულ!  
იმედო ქართველის!  
შენს ეპისტოლეს გულზე ვინერთ,  
მუნ სიბრძნით ვათილეს!..  
ნარუძებ მამულს უფლის რწმენით,  
მაცხოვრის ხატიო,  
და სამი სიტყვით,  
სამი სიტყვით ილია მართლის!

ჯანსუღ ჩარკვიანი

საქართველოს გადაგრჩენი

ყველას თავის ზერიკონი  
ჰქონდა, წვიმდა თუ თოვდა,  
დღეს ნეტარ კაცს ვერ იპოვნი,  
მისვდევთ რჩევას უღმრთოთა.  
ეშამ ოცდაათი ვერცხლის  
ბოროტება შეგვეყარა,  
გადაბუგავს მალე ცეცხლი  
ურწმუნოთა ქვეყანას.  
ხმა უფლისა გაჰკვეთს ცეცხლსა, —  
თვით უდაბნოს შერაყევს,  
მთიდან მენყერს გადარეცხავს,  
რომ მტრის სეტყვას ვერ აჰყვეს.  
შეგვალადებს, დღენი მწარე,  
სუსველა დღეს დრო ცვითავს,  
მერამდენედ შეინყალე  
საქართველო ლოცვითა.  
მოდით, ვანდოთ დანარჩენი  
უფალს — ფიქრის შემნახავს,  
საქართველოს გადაგრჩენი,  
ერთადერთი — შენა ხარ.  
მე პირადად უფლის მესმის —  
რაც უამრავს არ ესმის, —  
შენ ხარ ჩვენი უწმიდესი,  
ჩვენი უნეტარესი!





ვაჟა ოთარაშვილი

**უწმიდასა და უწმინტარსს,  
საქართველოს კათოლიკოს  
პატრიარქ ილია II-ს**

სიზმრად ვნახე: შემოსული მაჰმად ხანი,  
კრწანისზე კი სისხლისფერად ისევ წვიმდა ...  
მხოლოდ უფლის იმედიდა ჩანდა ხვალის  
და ქართველებს გვასახლებდნენ თბილისიდან ...  
რუსთაველზე აეხვეტათ პოეტები,  
მტკვარს მიჰქონდა დაგლეჯილი ეტრატები ...  
იუდეები იდგნენ ვერცხლის მონეტებით,  
ჯვარზე გაკრულს, უფლის დედავ, მენატრები ...  
სხვა ვეღარა, სხვა ვერავინ გადაგვარჩენს,  
ვერც მოხუცი, ვეღარც ყრმა და ვეღარც ჩვილი ...  
ყოველივე იქნებ მხოლოდ სიზმრად დარჩეს —  
გვედრები, ერის მამავ, დაჩოქილი ...

**ტარიელ ხარხელაური  
აღსარება**

თქვენო უწმიდესობავ!  
სული როცა მძიმეა,  
სული როცა მძიმეა  
შორეული ფრენისთვის —  
ხორცი მაშინ მღვიმეა,  
ნესტიანი მღვიმეა,  
ანდა სასაფლაოა შეუცნობელ მერმისის.  
თქვენო უწმიდესობავ!  
თუ სიმშვიდე მწყურია,  
სული გადამელაა მინიერი ლანდების,  
ჩემი ნუთისოფელი მეტად უცნაურია,  
სადაც უნდა გავთენდე,  
სწორედ იქა ვლამდები.  
თქვენო უწმიდესობავ!  
როგორ რთულად ვიარე —  
სივრცეებში წანწალით  
საშინლად ვარ დაღლილი,  
ვიდრე არ ამიტირდა სული მოხეტიალე —  
არც მზის გვერდით თეოზე  
არ მივეგდე ძალღვივით.  
თქვენო უწმიდესობავ!  
ტკივილებმა დაფლითა  
გული — ახლა უმეტეს მდინარეზე სველია,  
ჩემი ყოფნა შეშლილის  
და მწუხარე სახითა  
ამ მტკვრიან სამყაროში ძალზე მოსაწყენია.  
თქვენო უწმიდესობავ!  
ამბოხება სატანის  
ჩემში მინავლებული, ანდა სულაც მცხრალია,  
რა მღვრიე ამინდებით  
და ტკივილით მატარე,  
ცრემლივით მაკანკალე,  
ღვთისმშობელო მარიამ!  
თქვენო უწმიდესობავ!  
როცა ლოცვა მშრალია,  
ძალზე უხერხულია ვინმეს სთხოვო შენდობა,  
როცა ტკივილებისთვის აღარავის სცალია,  
აღარავის სცალია და არავინ გენდობა.  
თქვენო უწმიდესობავ!  
სული როცა მძიმეა,  
სული როცა მძიმეა  
შორეული ფრენისთვის —  
ხორცი მაშინ მღვიმეა,  
ნესტიანი მღვიმეა,  
ანდა სასაფლაოა შეუცნობელ მერმისის.



ფრიდონ ხალვაში

**უწმიდესო ილია**

დღეს აქაურ მთა-ბარად  
სხვა მზე, სხვა ყვავილია,  
ღმერთმა რომ ჩაგაბარა,  
რა კარგად მოგივლია  
საქართველო ანკარა,  
უნმიდესო ილია.

წუხილია და უფრო  
ვხედავთ აქ ღიმილია,  
ეს შავი ზღვის საუფლო  
კვლავ ლურჯია, თბილია,  
ზღვაც ქართულად საუბრობს,  
უნმიდესო ილია!  
მომსწრე წმიდა ანდრიას  
დიდაჭარის ქვაც არი,  
რომ ყველაზე ადრთან  
აქ აიგო ტაძარი,  
ეს კარგია, მადლია,  
ნათელია, თბილია,  
მართალი სიმართლეა,  
უნმიდესო ილია!

• თუმცა მუდამ ემღეროდი, —  
მტერი გადენილია,  
ზოგჯერ ისევ შემოდის,  
ჯავრი და ტკივილია,  
მაგრამ სადაც გელოდით,  
ივლი, როგორც გივლია,  
გვმკვნი, როგორც გვმკვნოდი,  
უნმიდესო ილია!

**მის უწმიდესობას,  
სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქს  
ილია II-ს**

ურწმუნოთა საძლევად,  
ჩვენს იმედად ანთია,  
ერის მამა, მოძღვარი,  
გაუმარჯოს პატრიარქს!  
მისი ყველა დალოცვა  
ქვეყნის ზედა მადლია,  
რწმენის ტაძრის ამგები,  
გაუმარჯოს პატრიარქს!  
უნმიდესის სავანე,  
ჩვენი ყველას, სახლია,  
გვარ-ჯიშ-ჯილაგ დამცველი,  
გაუმარჯოს პატრიარქს!  
უფლის გზებით მავალი,  
მხრებზედ წლები აყრია,  
პატივი ვცეთ მუხლმოყრით,  
გაუმარჯოს პატრიარქს!

მანანა დანგაძე

**გთხოვ, დაგიფარე!**

ბევრჯერ ნაგვემს და ბევრჯერ მოცელილს  
სისხლის წვიმიან გზებზე მივლია,  
გთხოვ, დამიფარე შენი ლოცვებით,  
ერის მამავ და ბრძენო ილია!  
შენთან მოვედი ძე-შეცდომილი  
და ვიდრე მამალს დაუყვივლია,  
გთხოვ, გაშინათო სული ცოდევილი,  
ერის მოძღვარო, მწყემსო ილია!  
ჩემო ტანჯულო მინავ და ცაო,  
თუ რამ მაცოცხლებს, შენი ხიბლია,  
ვერ გიერთგულე ხატ-სალოცავო,  
ვერ დავიხატე გულზე ბიბლია.  
მონანიების საკმეველს ვაკმევ,  
ფერთხი, როგორც ხეზე ჩიტი ნიბლია,  
იქნება მიგწვდე სამოთხის სარკმელს...  
ცა არ ნათდება, ირგვლივ ბინდია.  
ველარ ვუყურებ ძაძით შემოსილს,  
სული მძიმობს და ტკივილებს მისევს —  
ეს გოლგოთაა საქართველოსი,  
როგორც ენამა ჯვარცმული ქრისტე-  
მოდი, გაგვიძებ, მშვიდო ქადაგო,  
ყოფა უშენოდ მიფერფლილია,  
გული ნატანჯი შენით ბადაგობს,  
შენ შემოგყურებს, მწყემსო ილია!  
გადაიდარებს სისხლის წვიმები,  
მტრედს გაუფანტავს ზეთისხილიანს,

მიიღე ჩემგან შესანიშნავი —  
 ნაგვეში სული, დიდო ილია!  
 მხოლოდ ქრისტეს გზით, არა ოცნებით,  
 წინ მიგვიძღოდეს შენი ხატება,  
 უფლის რწმენა და მისი ლოცვები  
 თან გვდევდეს, როგორც გამოცხადება!

**თემურ ჩალაბაშვილი**

**უნეძვისა და უნეტარესა,  
 საქართველოს კათოლიკოს  
 პატრიარქ ილია II - ს**

მინყივ უხმლო და მინყივ უფარო,  
 შენი იმედით ვცოცხლობ, უფალო!  
 უწინდებურად როგორ ვიგრავინებ,  
 როცა მთავაზობ ეკლის გვირგვინებს.  
 ყოველ ცისმარე განა კირთებით?  
 სისხლის ცრემლებით ისევ ვირთვები...  
 და შემდგომ ისევ გრძნულ ივრით  
 ვხდები მორჩილი და თვინიერი.  
 ვარ შენი მოდგმის ძველი ქადაგი,  
 ბევრი უსვი შხამი, ბევრიც ბადაგი  
 და ბედნიერო, შენთან ვინც არის  
 ო, რა თქმა უნდა, მალღით ღვთით არი.  
 გარდამხსენ როგორც მინა საყვანე,  
 შენს უქრობ ნათელს კვლავ მათაყვანე.  
 თუ ოდეს მომხდურს ზურგი ვაჩვენო,  
 შენი წყურვილით მომკალ, გამჩენო.  
 მინყივ უხმლო და მინყივ უფარო,  
 შენით და შენით ვცოცხლობ, უფალო!...

**ჯანო ჯანელიძე**


**უფალო, გმადლობთ!..**

ტკივილებს შენსას ნეტავ ვინ დათვლის,  
 მამულო ჩემო — ლამაზო დარდო?!  
 ყველაფრისათვის,  
 ყველაფრისათვის,  
 ყველაფრისათვის, უფალო, გმადლობთ!..  
 მესმის ნაბიჯი ვერცხლისფერ მთვარის,  
 მწვავს გაღიმება მშობლიურ მზისა,  
 იღება ზეცის შვიდივე კარი,  
 ზეცა ოქროსფერ მზის მტვენებს ისხამს.  
 შოი, რამდენი ალმასი, ლალი,  
 ფირუზი, ოქრო და მარგალიტი,  
 გალობს მამული გალობით წყნარით,  
 ანგელოზების ლამაზი გუნდით.  
 ცისკენ მენევა შენი კამარა  
 და დავიმშვენე შენი წყვილი ფრთა,  
 წმიდა გიორგის თან მდევს ამალა  
 და მინად მოველ ზეცის წვიმითა.  
 ჩემო მამულო, მე ვარ ტკივილი  
 და ჩემივ ცრემლით ჭრილობა ვკურნე,

აბა, უცრემლოდ ქვეყნად ვინ ივლის?!  
 და მკერდს გაფრქვევდი

ცრემლების სურნელს.  
 ავსებულები აქვს ღვთისმშობელს კალთა  
 ია-იებით, მზით და ვარდებით,  
 მაინც რამდენჯერ გზა ჩაიხლართა  
 და, ბოლოს, მაინც უფალს ვებარდებით.  
 მზე ჩამავალი მწვერვალებს ადგას,  
 უფლის წინაშე ჩვენ ვდავვართ, ორი,  
 ირხვევა ჩემი ოცნების ფარდა  
 სიცხადესა და სიზმარეთს შორის.  
 გმადლობთ, სინათლე რომ მომანიჭე,  
 სინათლე მთვარის, მზის და ოცნების,  
 გამიღე ყველა შენი კარიბჭე,  
 რომ გაგიცვიოთ ღამე ლოცვებით.  
 განმბანე შენი ღვთიურ კურცხალით  
 და შენი წვიმის ლურჯი თქარუნით,  
 ათიათასჯერ მე ვარ უძღვევი  
 შენი წყალობით და სიყვარულით.  
 მამულო ჩემო, ნუთუ ვერ მცანი,  
 შეუცნობელი, ამ ქვეყნად ვინ არს?!  
 მე ვარ ზეცაჲ,  
 მე ვარ ზეცაჲ,  
 მე ვარ ზეცაჲ, მინასა შინა.  
 ტკივილებს შენსას ნეტავ ვინ დათვლის,  
 მამულო ჩემო — ლამაზო დარდო?!  
 ყველაფრისათვის,  
 ყველაფრისათვის,  
 ყველაფრისათვის, უფალო, გმადლობთ!..





გელათი 1989წ.

**ზაზა ქინქლაძე**

**დედაქალაქი დღეს**

(ნანწყვეტი)

ალარაა „საქართველო ბაჯალლო და თბილისი — შიგ ჩასმული ბადახში“... მზეო, — ლარზე დახატული ბორჯულალო, ახლა ტყვე ხარ მასონების ზარდახშის. იყიდება ქვეყნის სისხლი! — რაც დარჩა, ობობათა სტომაქებში იცლება, საქართველო გუშინ ცეცხლში გადარჩა, ნუთუ ხვალე სესხში ვარდაიცვლება?! ის თბილისიც აღარ განმეორდება, ის ციხენი, მონასტრები, დაბანი, სულეთიდან ისმის გმინვა-გოდება, რას ამბობენ ჩვენი მამა-პაპანი?: „უმეფობა უგუმბათო ტაძარს ჰგავს, ეკლესია — ცალუღელა ნიქარას, ურწმუნობა ქვეყნად ტოვებს ნაცარ-ქვას, შემოქმედი მაშინ აღარ გვიფარავს!“

შეხეთ! — ღმერთმა ჩამოსწია მარჯვენა — ელიაზე სამების დიდტაძარი! საქართველოვ, ახლა მაინც, ამჯერად მოიკრიბე გონი, სული და ძალი! იცან ნება ღვთისა მარადუამული — დევნილ მეფეს უხმობს მისი მამული! გადარეცხე სისხლი, ცრემლი, ნაცარი, ერი ისევ დიდებისკენ დასძარი!

**მურმან ჯგუბურია**

**საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი  
აჭარაში**

ციური კალთა  
გადმოჰფინა მზემან ხალისით, —  
პატარებს ნათლავს  
უნშიდესი, უნეტარესი...







## ბაქსაჩჩენთაძის, ბაქამჩჩენი

უნშიდესო და უნეტარესო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო და მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსო, დიდო მუუფეე ჩვენო, ილია II-ე,

ჩვენ, გარდაცვლილი შვილების მშობლები შაბათ-დილით ვიკრიბებით წმიდა სიონში, რათა ჩვენი სიყვარული და თანადგომა მიეგაგოთ მათეს — თქვენგანაა, თქვენი თვარით შეკრებილები უნშიდესო, უნეტარესო, რადგან ყოველი ჩვენთაგანი თქვენს მიერაა გადაჩენილი, და იმდენად ვრცელა თქვენდამი ჩვენი მონინება რომ არ მახსოვს, რომელიმე ჩვენთაგანს ერთიერთმანეთისათვის გვეთქვას თუ რაოდენ დიდი, დიადი პიროვნება, სულიერად რაოდენ მაღლივ ამაღლებული ბრძანდებით — ასეთ თვალნათლივ ქვეშარიტებას რაღა ხაზგასმა უნდა, სიტყვით... ჩვენ ეს თვალეებში გვიდგას, თვალეებში რომლებიც სხეულის სანთელია, და თქვენდამი როგორი მაღლიერებით, ცვიაგებით — მზის როგორი ნრფული სხივი გვიდგას თვალებში, თქვენი... ახლა კი, თქვენი ბერად აღკვეცისა და სრულიად საქართველოს კათო-

ლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების თქვენგანდიადი წლისთავები რომ გვიდგას, ველარ დავიტიეთ თქვენდამი უსაზღვრო, უკიდევანოდ მონინებითი მაღლიერება და სიყვარული და გადავწყვიტე თქვენდამი სამადლობელი ამ სახითაც მომერთმია, გადამრჩენო,

რამდენთა შორის, ჩემოც, — რამდენთა შორის...

ჩემი უღირსი თავიდან იმიტომ დავიწყებ, რომ, იმისათვის კი არა თქვენს წინარე პირველ რიგში დგომას ვიმსახურებდე და ვისაკუთრებდე, არა — მოგახსენებთ იმას, რაც უფრო ვრცლად ვიცი...

თქვენ 1990 წლის ოქტომბერში მიგვიღეთ ჩემი მეუღლე და მე, ყველაზე მწარე ობლობით — შვილით დაობლებული მშობლები და, მაშინ არ გვექონდა ის განუზომელი ბედნიერება თქვენ რომ გცნობოდით — თუმც, რომელცნობაზეა ლაპარაკი! — თქვენ ხომ საქართველოსათვის და ყველა, ყოველი ქართველისათვის, ვითომც-გადაკარგულთათვისაც კი მარად, მინყიემლოცველი ბრძანდებით, თქვენ დღენიდაგ, ყოველ წუთს, ყოველ წამობით ფიქრობთ, ლოცულობთ საქართველოზე და მე იმ-მეტადაც-უღირსმა, რომელსაც ჯერ არ გამაჩნდა განსაკუთრებული ბედნიერება ოთახისეული იმ შაერისაც კი შესუნთქვისა თქვენ რომ სუნთქავდით, — თუმც ახლა ვიცი რომ ჩვენ, ყველანი, მხოლოდ თქვენს შაერს კი არა თქვენს გულისეულ ლოცვას და ამიტომაც სიბრძნეს ვითავისებთ ზოგმა რომ სულაც არ ვიცი ეს და, ისე; და, თქვენი თროგორი ნუგეშით — „გულის დასადებით“ — ცემულნი, თქვენგან, დიადი ნუგეშინის მცემელისაგან, მწყალობელისაგან, — თქვენი როგორი შეებად-თვალებით ვეველერსებით, მუდამ გვამხნებდით, თქვენი როგორისხმით გვაბედნიერებდით სიტყვით, — ქრისტეით, და თვით თქვენი წმიდა სამებისეული მაღალი სულით როგორ ვაგვფლინთეთ ჩვე-ბედნიერები-როგორ, თქვენი...

და მევე როგორ მოიწყინეთ, რა-როგორ ღრმად მწარე ფიქრში დაიძირეთ და, მაშინ წინანლის 9 აპრილით რომ ჯერ კიდევ როგორ გვიყვარდა რიგით ქართველებსაც კი, ერთმანეთი... თქვენ, თქვენი უკიდევანო და უფსკერო სეველით როგორღაც მაინც შევიდოდ შეძრნუნებულმა, ჩვენი დიადიცა და საამაყო მაგრამ ხანდახან უამურიც წარსულიდან მომავლისაკენ მარად-მჭვრეტმა, რა ნაღვლიანად ბრძანეთ რომ, რომ არ შეგვერჩებოდა ის 70-წლიანი შეგუება... თურმე იმ დამლუპველად-სავალალო შეგუებას გულისხმობდით, სხვა თუ არაფერი ზომაზე გაცილებით მეტად რომ უშნოდგმზიარულობდით, და იქამდეც კი რომ აღლუმებითა და ოჯახებშიაც გადატვირთულად ზორაგინი სუფრით რომ აღვნიშნავდით

ჩვენს დამაქცეველ თარიღებს... უწმიდესო და უნეტარესო, წინასწარმეტყველო — მაშინ ჯერ არ იყო არც აფხაზეთისა და ოსეთის ტრაგედიები, და არც ჩვენი მთავარი, უშუთავრესი ციხე-სიმაგრის, საქართველოსი შიგნიდან გატეხვა... და, იმ ხალხური სიბრძნის გარდა, რომ „პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჰკვითა კბილიო“, აგერ ეს ახლახანა ცოდვა კი არა, თურმე ჯერ კიდევ ადამისდროინდელი კაენის განსაკუთრებული ცოდვა, ამ ათეიზმის პიონერისა დაგეტრიალებს, კაცობრიობას, თავს...

და თქვენით, თქვენით უწმიდესო და უნეტარესო, ყოველ ჩვენთაგანს, შვილებით აქობლებს როგორ ნუგეშად გადაგვეტყვენ შვილები, მშობლებად...

ჩვენ შაბათის გარდა ორ-სამ თვეში ერთხელ სხვადასხვა ეკლესიაშიც ვიკრიბებით, და ერთხელ, წმიდა მეტეხის ეკლესიაში მეუფე დანიელის, რამდენთან ერთად ვისიც უშუალო სულიერი მამა-მოდღარი და მასწავლებელი ბრძანდებით იგი კი როგორი-ღირსი მოწაფეა, თქვენი, დღევანდელი მიტროპოლიტი, მაშინ კი მამა დავითი, და მისმა ღირსმა მოწაფემ, დღევანდელმა მთავარ-ეპისკოპოსმა მეუფე ნიკოლოზმა მაშინ კი მამა პავლემ, მეტეხის ეკლესიის მოძღვარმა თავისი რა უცნაური, როგორი მკაცრი მომხიბვლელობით, ასე გვითხრა, რომ, განუზომლად უსაზღვრო მონატრებით როგორ არ ვიღარდით შვილები მაგრამ გადაჭარბებით — ნუ, რადგან ამით ცუდ დღეში ვაგდებთ ჩვენსავ შვილებს რადგან მათ, ამ-ჩვენისაზე რამდენად უკეთეს ქვეყანაში ბედნიერად მყოფ ბავშვებს დიდად ეხამუშებათ რომ ჩვენ სწორად მათით, ქრისტიანობით და საყვარლნი რადგან ჩვენზე რამდენად ნაკლებცოდვილი ბავშვებით ასე უსაზღვროდ ვდარდობთ და ვგლოვობთ და, იმ მადლობის ნაცვლად — აბა გადახედეთ ერთმანეთს, ისინი რომ არა ყველანი იქნებოდით ასე უფრო-ახლოს ეკლესიებით წმიდა სამეზასთან, და, ასე უხდით მადლობასო?, და, ერთმანეთისაკენ გადაუხედავადაც, როგორ შეგვრცხვა... ეს თქვენი მასწავლებლობით გვითხრა მომავალმა მეუფემ ეს, და, როგორ აღგვიძრა სურვილი რომ ჩვენი შეძლებისამებრ უკეთ ცხოვრებით იმ მარადიულ ცხოვრებაში მთლად გვერდით თუნდვერსამათთანთან შორიახლოს, თვალმოსაკრავზე მაინც მოვხვდეთ და, გვზრდიან, გვზრდიან რომ დავიმსახუროთ ჩვენი მშობლებად ქცეული შვილების ნყალობით, ეს, ეს თქვენგანაა მათი ნყალობა, იმ მარადიული წყლის შესასმელად სწრაფვისათვის თავად იესუმ იაკობის წყაროსთან რომ უთხრა სამარტულ დედაკაცს: „ყოველი რომელი სუმიდეს წყლისა ამისაგან, სწყუროდეს კვალადცა. ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან რომელი

მე მივსცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე“ რადგან ეს იქნებოდა „ცხოვრება საუკუნო“, და, იმ სამარტული ცრუპენტელა დედაკაცისაგან როგორი წმიდანი, წმიდა ფოტინე, დადაცა, და ნეტავ, თქვენი წყალობითა და შეწევნით, უწმიდესო და უნეტარესო, მცირედაც, მთლად-ქინად ჯერ მივუახლოვდეთ, ამაას... ამ ქრისტესმიერ ცნებას-უღიადგეს.

ხოლო თქვენი, თქვენგან უშუალო წყალობა, შვევა გადარჩენისა, პირველად აი როგორ ვიხილეთ:

ჩემს უახლოეს მეგობარს ორი შესანიშნავი ვაჟიშვილი რომ გარდაეცვალა, თავის მოკვლის რამდენიმე მცდელობა ჰქონდა, მაგრამ თქვენ რომ მობრძანდით მასთან, ბავშვებს პანაშვიდი რომ გადაუხადეთ და თავზე დააბიჯეთ ხელი, მერე კი, თქვენი ხმითა და თქვენი სიტყვებით და თქვენი თვალებით და მთელი თქვენი უვრცესი პიროვნებით რომ ანუგეშეთ, ყველანი მივხვდით რომ აღარ ექნებოდა თავის მოკვლის, ამ უშიძიში, საშინელი ცოდვის ჩადენის მცდელობები — და, რამდენიმე გადაგირჩენისათ, უწმიდესო და უნატარესო, ასე, წმიდა სამებას როგორ მთლად-მუხლმოყრილ მადლობას ვუხდით საქართველოსათვის ყველაზე მძიმე დროს თქვენი პიროვნება, სულიერება-თქვენი რომ როგორ შვევად, გადასარჩენად გვიწყალობა... — ყოველს.

თქვენი მაღალილოცვა-კურთხევით როგორ ამაღლდა საქართველოში, ამ ძნელბედობის მწარე ჟამსაც კი, ქართული ერის სულიერება როგორ აიძრა — ურჯულოები, უმამულოები, დიდად სხვადასხვა ნოდების ჩარჩები თუშც უფრო ჩანან მაგრამ მთლიანად ჩვენი ერი კი, ქრისტესმიერმა მართლმადიდებელურად ქართველობამ, ღვთისმშობლის ნილხევერ-ქვეყნის შვილებმა თქვენი წყალობით როგორ იმატეს, მიუხედავად ყოველად მოუღებელი, ყოველადუმსჯავსო ვითო-სარწმუნოებების მიმღები ხროვების მიუხედავად როგორ კეთილად აღგვიდგა ჩვენი დიდი წინაპრები, — ვახტანგის, დავითის, თამარის, ილიას, ვაჟას, ბარათაშვილის, გურამიშვილის, ყაზბეგის რწმენა — რა კეთილად და დიდ ხსნად მთლადაც სუახლად ჩამოგვიმკვიდრდა მართლმადიდებლობა, ეს უძველესი და უმაღლესი ჩვენთვის, ზნე, რამდენი ეკლესია-ტაძარი არამცთუ შეკეთდა და ამოქმედდა, არამედ იმდენი აშენდა აქამდე ყოველად ურჯულოებისათვისაც კი — ეკლესია ხომ, მხოლოდ ურჯულოებისაგან კი არა, მთლადაც ზნე-ავად-რჯულოებისაგან დანგრეულიც კი, მუდამ, ყოველთვის ჩვენთან იყო, სანყობებად თუ სპორტულ ღონისძიებათა სარბიელად გინდაც ვითო-ბინძურად გადასხვაფერებულები ხომ მაინც მარად, მუდმივ ჩვენთან იყო, რადგან ეკლესიები რაცგინდ

ენგრიათ და შეურაცხვეყოთ ის ხომ შაერში მუ-  
დამ, მაინც დგას — ქრისტეს ხატება, ქრისტეს  
სახლი და მისი სხეული, აბა რაა რომ იმდენ  
მძინვარედ-მტერთასისატიკეებს გამოვლილ-  
ნი, დღესაც ქართულად ვლაპარაკობთ, და ქარ-  
თულენაზე მართლმადიდებლური ქრისტიანო-  
ბისას, ვისმენთ, თავი და თავი —

თქვენით,  
ხოლო რამდენი ის ქვეყანა, რაღაცა დროით  
მთელს-ირგვლივით რომ აცახცახებდნენ მი-  
ნის პირისგან მართლა ისე აღიგავა რომ მხო-  
ლოდ არქეოლოგებსღა რომ შემოჩვენს,

სულაც არაა უცნაური, რომდგან ჩვენ ჩვენმა  
მართლმადიდებლობამ შეგვიჩინა და გადაგ-  
ვარჩინა თავად ღვთისმშობლის რუდუნებით,

და, ჩვენდა შეებად და გადარჩენად ჩვენ  
ხომ თქვენითვე, უწმიდესო და უნეტარესო,  
როგორ წყალობად სასულირო პირთა 4 წყება  
გვყავს რაც ადრე მგონი არც არასედეგს ყოფი-  
ლა ჩვენს ქვეყანაში, და, თქვენის წყალობით  
ვინრო და მართალ გზაზე დამდგარნი, ჩვენსაც  
ჩვენ-ჩვენურ მახინჯ გამოხაკლისებს არაფ-  
რად ვიგდებთ კი არა, არამედ ჩვენი ამ ლოც-  
ვით მოვიხსენიებთ, თქვენიტი გადარჩენილები  
აი ამ ლოცვით, კი: აცხოვრე უფალო, და შეიწყ-  
ალე აუარისმყოფელნი მართლმადიდებელთა  
სარწმუნოებისანი და ქვეშარიტებისა გზათა  
შეტდრომლინი, წვალებათაგან დაბნეულნი  
ნათლისა ცნობისა შენისათა განანათლენ და  
მოაქციენ იგინი მართალსა სარწმუნოებასა  
ზედა, და ზიარ-ჰყვენ წმიდისა შენისა, კათო-  
ლიკე (ანუ საყოველთაო), სამოციქულოსა ეკ-  
ესიისა, რათა გიცნან შენ, მხოლოდ ქვეშარი-  
ტი ღმერთი, და თავყვანის-ცტენ",

და თქვენ, წმიდა სამებისა და ღვთისმშობ-  
ლის მრევლში როგორ რა-მალღივ გამორჩე-  
ულს, მასწავლელს, ჩვენსას, ჩვე-გზაბანულ  
ცხოვართა რარიგ მწყემსს-კეთილს, როგორ  
გვივლიან თქვენი მაღალი სულის სიტყვიერი  
განმავრცობლები — მიტროპოლიტები, მთა-  
ვარებისკოპოსები, ეპისკოპოსები, არქიმან-  
დრიტები, პატრიოსანი მღვდელნი, ქრისტეს მი-  
ერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზნო წესნი,  
ზიარნი ეკლესიისანი როგორ გვივლიან და  
გვეწყალობენ, ჩვენ, — თქვენგან და თქვენიტი  
თვალ-მეტად და რაც მთავარი სწორად ახე-  
ლილ, მრევლს, ეს თქვენიტი ვადმოგვედო სუყ-  
ველას-ჩვენ როგორი მაღლი იმ ეკლესიებისა  
რომელი მართლმადიდებლური ეკლესიების  
დანახვასა და გახსენებაზე ტყუილად კი არ  
მოსხილდა ისეთი ელეთმელეთი რომ საბოლო-  
ოდ ჭკვიდანაც გადაცდა, კაცობრიობის ვითო-  
მაც-დაუძინებელ მტერს — საბჭოურიობის  
შემოღებისა „ამხანაგ“-ბოროტს, თავისი მთა-  
ვარი ბოროტისაგან ვითომც-გაბელადებულ-  
სა და მითომაც-და წინ-წინ მავალს (მაგრამ  
საითქენ! — ქვე-ქვედ მავალს...) და მერე კი

იგივ ბოროტისაგან ჭკვა-როგორ-დაქცეულს  
რადგან ყველაზე მეტად თავის მიმდევრებს  
შედგება ხოლმე სისხლმონყურებული ჭანგე-  
ბითა და იმათთვის როგორი ბასრი ნისკარტით  
თორემ აბა მართლმადიდებელთა წარმწყმედი  
წმიდა სამების მადლით ის ვერაა — ეგრეთწო-  
დებულს-„ფიზიკურად“ გინდაც მოსოს და,

აის-ბოროტი რომე ანგრევდა მეჩეთებსა  
და სინაგოგებს, არა — მთავარ მტრად, ანუ  
ამომძირკველად ბოროტებისა მართლმადი-  
დებლური ეკლესია-ტაძრები მიანცდა რად-  
გან განსაკუთრებით ის აცოფებდა რაც სხვა  
არც ვერათა სარწმუნოებაში ვერაა, ნაქადაგე-  
ბი: „გავყვარდეს მტერი შენი“, — როგორ თუ  
ჰყვარებოდა, და რამდენი ჩვენი სალოცავის  
აფეთქება-დანგრევა ვითომ-მოახსრო მაგრამ  
ეს მხოლოდ თვალისათვის რადგან გულით  
ვიციტ რომ, რომ ეკლესია, იმათი აზრით ვი-  
თომც მიწასთან გასწორებულს რომ მინც ეკ-  
რაფერი დააქციეს და გააქრობს — დგას ისევე,  
როგორც აშენებისას, უძველესი და ახალთა-  
ხალი, ჩვენი კეთილმორწმუნე მეფეებისა და  
ქართული ხალხის, ქუდაზე-კაცების მიერ, აშე-  
ნებულნი.

მაინც როგორი, რა-უმნიკვლოდ ქუდაზე კა-  
ცები ვიყავით, ოღონდ გვებარა და გვეთოხ-  
ნა და გვერწყა და გვემლერა ჩვენი, მთლად  
ჩვენი საგალობლები და მრავალჟამიერები  
და ნაღურები და სატრფიალოები და შეებით  
გვეცეკვა და ჩვენი ლოცვებით ბაგეებზე სამე-  
ბით გვერონინა და ჩვენი ხალხური ლექსები  
გვეთქო, მაგრამ, რა ხშირად, როგორი-ავის  
მომხსნავებლად, აგვიკვაზლდებოდა ხოლმე  
რამდენი მთა... და, ომში ქუდაზე-კაცებად იმი-  
ტომ მივიღოდით და სამშობლოსათვის ვსხებ-  
დით როგორც წესი ჩვენზე რამდენად მრავალ-  
რიცხოვან მტერს იმიტომ, რომ, არ აეჩეხათ  
ჩვენი ვაზი, ნინოსმიერი, და ტყვედ არ წაეს-  
ხათ ჩვენი შვილები და რომ ისევეც შეებით  
გვეშრომა და გვემღერ-გვეცეკვა, გვეშენები-  
ნა მთლად ახალი, ეკლესიები, გვეგალობა და  
ლოცვები გვეთქვა, იქ...

ხოლო ჩვენ, ამ ბოლო წლებით როგორ დაბ-  
ნეულ და ნანილობრივ გზას ამცდარ ქართვე-  
ლობას როგორ გვამხსენებებს თქვენი-ს მაღალი  
მოწოდებით თვით დაიდი წმიდა სამებისაგან  
დაიდი წმიდა სამების... რომელი სიტყვა... რო-  
მელი და — გადამჩრჩენილი!, ტაძარი!, ჩვენი!,  
— საჩვენო, ქორეაჭრებისაგან ამ გაჭირვები-  
სას როგორ მხსნელად რომ მოგვივლინა ღმერ-  
თმა ღვთის გადარჩენის, მოსურნეები, — თაყ-  
ვანისცემა ჩვენი ერის, უთ, იმ დიდ ქართველ-  
თან ერთად, რომელმაც შეთადისა წვლილი ისე  
შეიტანა წმიდა სამების ტაძრის აშენებაში რომ  
ვინაობის გამჟღავნება თავისი დიდბუნებოვა-  
ნებითა და როგორ-მაღალი თავმდაბლობით  
არ ისურვა, და რამდენ ქერიეთა ვითომ-მცი-

რედი და სანყალი და სინამდვილეში როგორ დიდად ძლევამოსილი ის ქრისტესმიერ როგორი დაფასებული ორი ნულილიც როგორ მალამოდ დაედო ჩვენი დიადი წმიდა სამების როგორ საკადრის დიადსავ ტაძრის ჯერ კიდევ საძირკველს, —

თაყვანისცემა ჩვენი ერის, მათ, და, უფალო, გამადლობთ, ჩვენი მრევლისათვის, და, ვინ, თუ არა თქვენ, უწმიდესო და უნეტარესო, როგორ მადლივად სწადით იმას, რომ, მართოდენ რაგინდ მხურველე ლოცვა-ვედრება და ქადაგებანი ვერ გვიშველის და, ეს რა წყალობად — საქველმოქმედო ქრისტესმიერი საქმეები, თქვენი, რომელი ერთი:

ნარკომანიის წინააღმდეგ როგორი ქმედითი ბრძოლისათვის თქვენი პირადი შესაძლებლობების შეწევნა,

სნულთა მკურნალობა, მშობერთა დაბურება, მხარში დადგომა და გადარჩენა ლიტურატურის, ხელოვნების, აღზვევება და განერცობა ჩვენი ხალხური საგალობლებისა და სიმღერების,

ცეკვის, უძვირფასესი წიგნების გამოცემა ჩვენი წარსულისა და მომავლისათვის, დაფასებად, შეხსენებად და, ხსნად,

ჩვენი რამდენ-ხნით მივიწყებული უძვირფასესი თვლებით მოოჭვილი ტიბრული მინანქრის შექმნის აღდგენა თქვენი როგორი მონაწევრებით, როგორი მადლივ-შემოქმედებითი, ღვთით,

და, თქვენი თ ის უდიადესი ღვანლი იმისათვის რომ მართლაც ქართული ანუ მართლმადიდებლური ტელემაუწყებლობის „ივერია“-ს დაარსება რომ გვეწყალობა და გვებოძა, და ჯერ კიდევ თქვენი საბატრიარქოს რადიოს რომ ვუსმენდი რომელსაც ჯერაც საცდელი ტელევიზიით ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხის ჩვენებაც ახლდა, ეს მაინც რარეგ როგორი, როგორ რაოდენ განსხვავებული და ერთიანი მაინც, ყოველი კუთხით გაერთიანებული ქვეყანა რომ გვაქვს როგორი შევებით აღსავსეს, რა სიხარულით გამახსენდა — დათოვლილმთებიანი, ზღვიანი, ბორცვებიანი და გორაკებიანი, წინვოვანი თუ ფოთლოვანტყვიანი და ალპურ-მდელოებიანი, ხეხილიანი, ვაზიანი, წარსულში როგორ-რა-ხალხიანი სადაც „გლეხების შვილიც წააგვანან წარჩინებულთა შვილთა“, ტბებიანი და ჩანჩქერებიანი და, მთლადაც სრული მრავალფეროვნებისათვის შევებად-უდაბნოც კი მოგვექვეება, წმიდა დავით გარეჯელის მიერ დღემდე როგორი მკაცრ-მადლიანი

და, რა მრავლისმეტყველი იყო ჩვენთვის, ჩემთვის, ჩვენს შეხსენებად მთლად სუ-პირველად დიადი ფილმი „ამაღლება“ რომ გადავიოცა თქვენი ტელემაუწყებლობით — აი, სად ჩანან „ქუდზე კაცნი“, და იმ ხატმწერსა თუ ქვის ჩუქურთმად მთლელს განა არ შეეძლოთ სამშობლოს დასაცავად ომში რომ არ წასულიყვნენ — „ჩვენ ხელოვნებისათვის დიდ საქმეს ვაკეთებთ და ერთადერთი, ვართო“, მაგრამ, — არა! —

ჩვენ ჭეშმარიტად ქუდზე კაცები ვიყავით და,

დავუბრუნდებით, როცა იქნება ამ უდიადეს დანიშნულებას, როგორ მწამს რომ თქვენი თქვენიული „ივერია“ იმ იაენანად გადაგვექცევა მოტაცებული და შინ გამოტაცებული ანუ „ძალით დაბრუნებული“ ქეთო, რომელსაც ველარ ახსოვდა მისი და ჩვენი სამშობლო და ვერც ღვიძლი მშობლები, და იაენანამ ქეთო კი არ მიაძინა, არა, — სამშობლო გაუღვიძა და გაუცოცხლა, ხოლო ჩვენ, ვისაც თვით თავად ღვთისმშობელი მუდამ დაგმეღრობდა, იაენანას, გამოგვაფხიზლებს და გაგვადვიძებს და, ნეტავი ჩქარა, მის ქვეყანას რომ, წმიდა სამებისადმი განცხადებულად, განსაცხადებულად, გვეთქვას:

„ანცა განმინათლენ თვალნი გონებისა ჩემისანი, დაღუე პირი ჩემი ზრახვად სიტყვათა შენთა, და გულისხმის-ყოფად გზათა შენთა, და ქმნად ნებისა შენისა, და გალობად შენდა აღსარებითა გულისათა, დიდებად და გალობად ყოვლადბატითოსანსა სახელსა შენსა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ან და მარადის და უკუნიით უკუნისამდე. ამენ“.

და, სწორედ რომ თქვენი,


დიდო მეუფევე ჩვენი, უწმიდესო და უნეტარესო, სრულიად საქართველოს... — მართლა სრულიადი-ს! — აფხაზეთისა და ოსეთისა, ტაო-კლარჯეთის, საინგილოსი კათოლიკოს-პატრიარქო და მცხეთა-თბილისის მთავარ-პისკოპოსო, დიდო მამაჲს, ჩვენი,

ეს თქვენი — ჩვე-გადასარჩენთა, განდამრჩენელო — აგერ იქნება! —

მუხლმოდრეკილი, გამადლობთ

თქვენი რა-კეთილდღეობად გამრავალად-მიანებულ-მრევლისაგან ერთ-ერთი, ბედნიერებად მონა-მორჩილი თქვენი,

გურამ დოჩანაშვილი  
2007 წელი



# სხილია საქართველოს ხათოლიხოვ-პახიხიქი, უნივერსი და უნივერსი ილია II და ქართული საბუნების ბალოა

ქართული სამგალობლო ტრადიციების აღორძინების მიზნით პროცესში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის წვლილი განუზომლად დიდია. ორსაუკუნოვანი დევნა-შევიწროების შემდეგ ძირძველი ტრადიციების მქონე ქართული გალობის აღდგენის გზაზე მნიშვნელოვანი წინსვლა სწორედ მის სახელს უკავშირდება.

საღვთისმსახურო პრაქტიკაში ქართული გალობის დამკვიდრება თანდათანობით, ეტაპობრივად განხორციელდა. ეკლესიებში რუსულ საგალობლებს ქართველი კომპოზიტორებისა და მოყვარული მუსიკოსების (იოსებ კეჭაყაძე, ნოდარ გიგაური, მღვდელი პავლე ბერიშვილი და ა. შ.) ორიგინალური ქმნილებები და მათ მიერ დამუშავებული თხზულებები ჩაენაცვლა. ქართული სამგალობლო რეპერტუარის დასამკვიდრებლად, ეს მართლაც რომ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

1978 წელს უწმიდესისა და უნეტარების,

ილია II-ის ლოცვა-კურთხევით იქმნება სიონის საკათედრო ტაძრის მაგალობელ ვაფთა გუნდი, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეაქვს მის პირველ რეგენტს, პავლე ბერიშვილს (შემდგომში მღვდელს). გუნდს ღვთისმსახურებაზე ქართველ კომპოზიტორთა თხზულებებისა და მათ მიერ დამუშავებული საგალობლების შესრულება ევალება.

1980-იანი წლების მიწურულამდე ძველი საეკლესიო გალობის აღდგენისათვის სათანადო პირობები ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. ეკლესია კვლავ დევნას განიცდიდა. საეკლესიო მუსიკის სფეროში ნებისმიერი სახის მოღვაწეობა (სამეცნიერო-კვლევითი თუ პრაქტიკული) იზღუდებოდა ან იკრძალებოდა. მრევლიდან შერჩეულ მაგალობლებს, ისევე როგორც ეკლესიის სხვა წევრებს, ყოველმხრივ ავიწროებდნენ. ძველი საეკლესიო საგალობლების თითო-ოროლა ნიმუშს მხოლოდ ფოლკლორული ანსამბლების („გორდელა“, „რუსთავი“ — ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი) გამოსვლებსა და ჩანანერებში თუ მოისმენდით და თანაც შენიღბული სახით — ისინი „ქორალის“ სახელწოდებით სრულდებოდა.

ერთ-ერთ რადიოგადაცემაში დიდ მომღერალ-მაგალობელს, არტემ ერქომაიშვილს, თანამგალობლებთან (ანზორ ერქომაიშვილთან და ბადრი თოიძესთან) ერთად წმიდანინოს კონდაკი უნდა შეესრულებინა. გადაცემის რედაქტორმა ცენზურის შიშით სიტყვიერი ტექსტის („მოციქული, ქრისტესაგან გამორჩეული...“) შეცვლიათხოვა. ბატონი არტემი მეტისმეტად შენუხდა, მაგრამ იძულებული გახდა საგალობელი შეცვლილი სიტყვებით — „მოციქული, ხალხისაგან გამორჩეული“ — ეთქვა (იხ. არტემ ერქომაიშვილი დიმიტრი ჭალაგანიძის შესახებ (ინტერვიუ ანზორ ერქომაიშვილთან), ქართული საბჭოთა სიმღერის საერთაშორისო ცენტრის არქივი და ცული ხელნაწერი). ამგვარი შეზღუდვა-შევიწროების მიუხედავად, საგალობლების შესრულების თითოეული ფაქტი ღირსშესანიშნავ მოვლენად აღიქმებოდა და ძველი სამგალობლო კულტურისადმი დიდ ინტერესს აღძრავდა, რამაც დროთა განმავლობაში მართლაც რომ კეთილი ნაყოფი გამოიღო.

1960-70-იან წლებშიც კი ძველი საეკლესიო გალობის ათასობით სანოტო ხელნაწერისა და ბეჭდური გამოცემების შესახებ ეკლესიის წევრების დიდ უმრავლესობას წარმოუგენავს კი არ ჰქონდა. მართალია, ზოგიერთი მწყემსმთავრისთვის ამ სულიერი განძის არ-

1. სტატია წარმოადგენს ამონარიდს (მეორე ცვლილებებით) ნარკვევიდან „საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრები და ქართული საეკლესიო გალობა“, რომელიც იბეჭდება წიგნში „ნათელი ქრისტესი — საქართველო“ წიგნი მეორე.

სებობა ცნობილი იყო, მაგრამ ძველი საეკლესიო გალობის აღდგენა-აღორძინებისათვის ნიადაგის მომზადება — ეკლესიის გაძლიერება იყო საჭირო. უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის გადმოცემით, „დასუსტებულ ეკლესიაში ძველი ქართული საგლობლის შემოსწავლელი, მისი მგალობელი არავინ იყო, დიდი ვაჟენა იყო რუსეთის, რუსული საგალობლები (მაგალითად, „რომელნი ქერუბიმთა“ და ა. შ.) ქართულ სიტყვებით სრულდებოდა“ (უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეხვედრა მუსიკისმცოდნეთა ჯგუფთან...). აღსანიშნავია ისიც, რომ სამეცნიერო წრებში ძველი საეკლესიო საგალობლების ნოტირებული ნიმუშების არსი და მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ განსაზღვრული. მიიჩნეოდა, თითქოს ათასობით ნოტირებული ჰიმნი, რომელთა უმრავლესობა ფილიმონ ქორიძის ხელითაა შესრულებული, დიდი მომედრლის მიერ დამუშავებული, დედნისაგან დაცლებული ვარიანტებს წარმოადგენდა. ცხადია, ასეთ პირობებში ძველი ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის საკითხი ვერ წამოიჭრებოდა; თუმცა, დროთა განმავლობაში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა.

1980-იანი წლების მიწურულსა და 1990-იანი წლების დასაწყისში ეკლესიისკენ მზარდი შემობრუნება, რწმენის გაძლიერება-განმტკიცების პროცესი კომუნისტური რეჟიმის გაუქმების, საბჭოთა იმპერიის რღვევის ფონზე წარიმართა; ამ დროისთვის მრავლდება ეკლესია-მონასტრების რიცხვი, ჩნდება სასულიერო განათლების ახალი კერები, მათ შორის თბილისის სასულიერო აკადემია (1988 წ.); ვითარდება ქრისტიანული ხელოვნების დარგები — იქმნება ხატუნებისა და რესტავრაციის სახელოსნოები, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ცენტრი და ა. შ. (საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდს (1990 წლის 4 მარტი) უკავშირდება ღირსშესანიშნავი მოვლენა — კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის ცნობა, რაც საქართველოს ეკლესიის მეთაურის უდიდესი ძალისხმევით, კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან თხუთმეტწლიანი მოლაპარაკების შედეგი იყო). სულიერი აღორძინების ეს პროცესი დროთა განმავლობაში საეკლესიო გალობის მდგომარეობაზეც აისახა.

1988 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მოღვაწეობას

ინყებთან ჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდი (ხელმძღვანელი მალხაზ ერქვანიძე), რომელმაც უძველესი ქართული ტრადიციული კანონიკური საგალობლების აღდგენის ღვაწლი იტვირთა. ძველი ქართული საგალობლო რეპერტუარის მოძიება-აღდგენის საქმეში მან მრავალი მიმდევარი გაიჩინა (ძველი საეკლესიო საგალობლების სადა ნიმუშები დღეისათვის უკვე მრავალ ეკლესია-მონასტერში აღევლინება). გუნდის შექმნის ინიციატივას საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი თავიდანვე დიდი სიზარულით შეეგება. მისი უდიდესი თანადგომა რომ არა, ძველი ქართული საეკლესიო გალობა ვერ დაიმკვიდრებდა კუთვნილ ადგილს ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში. საჭირო იყო პროფესიონალ მგალობელთა და ლოტბართა კვალიფიციური კადრების აღზრდა, საგალობელთა სანოტო კრებულებისა და აუდიო — ჩანაწერების გამოცემა და, რაც მთავარია, მშობლიური საეკლესიო კილოების ადგილი დაქალიდა. იგი მივიწყებული საუსუკოო ენის ხელახალ ათვისებას, მის სრულ გათავისებებს მოითხოვდა, რაც უდიდესი და მრავალწლიანი ძალისხმევით ფასად იყო შესაძლებელი. ამის მისაღწევად უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით არაერთ სასიკეთო საქმეს დაედო სათავე.

1991 წლიდან ძველი ქართული საეკლესიო გალობის სწავლება შემოღებულია თბილისის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, ხოლო 1989 წელს დაარსებულ სიონის საკათედრო ტაძრის სამრევლო სკოლაში საეკლესიო გალობის ცოდნას მოზარდი თაობის გარდა ნებისმიერი მსურველი ეუფლება (სკოლის ხარჯი საქართველოს ეკლესიამ იტვირთა და უფასოსწავლება გამოცხადდა); 1998 წელს იქმნება ყოველადწინდისა და სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი, რომელიც უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის საგანგებო ზრუნვის საგანს წარმოადგენს. საკათედრო ტაძრის გუნდს (ხელმძღვანელის იმონ ჯავახიშვილი) ტრადიციული ქართული საეკლესიო გალობის აღორძინებისა და გავრცელების საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება (გუნდი მღვდელმთავრის ყოველ წირვაზე გალობს და მონაწილეობს მომლოცველობით მოგზაურობაში). გარდა ამისა, საქართველოს ეკლესიის მამათმთავრის ლოცვა-კურთხევით, 1998 წელს იქმნება საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული საეკლესიო გალობის ცენტრი. ცენტრმა მიზნად დაისახა ქართული საეკლესიო გალობის აღდგენა-განვითარების ხელშეწყობა —

სასწავლო და საღვთისმსახურო პრაქტიკაში კანონიკური გალობის დანერგვა, მგალობელთა გუნდების პროფესიული დახელოვნებისთვის ზრუნვა, საარქივო და ბიბლიოგრაფიული მასალის (საეკლესიო საგალობელთა ნოტები, ფონოჩანაწერები, ისტორიული და თეორიული ხასიათის გამოკვლევები) მოძიება-გამოცემა, ძველი ქართული სასულიერო მუსიკის აუდიოჩანაწერების გავრცელება, მგალობელთა გუნდების ჩამოყალიბება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და სხვა. ცენტრის ინიციატივით მრავალი სასიკეთო საქმე განხორციელდა (კომპაქტდისკების, სანოტო და სამეცნიერო კრებულების გამოცემა, საეკლესიო გალობისადმი მიძღვნილი საღამოების მოწყობა და ა. შ.). მრავალი წინ გადადგმული ნაბიჯის მიუხედავად, ქართული საღვთისმსახურო გალობის აღდგენა სხვადასხვა სახის წინააღმდეგობის დაძლევისას ითხოვდა.

1990-იან წლებში ყალიბდება ე. წ. „ბიზანტიური გალობის შემსწავლელი ჯგუფი“, რომელმაც საღვთისმსახურო პრაქტიკაში ქართულ ლოცვით ტექსტებთან ხელოვნურად შეფარდებულობიზანტიურ-ბერძნული ჰანგების დანერგვას ცადა. ჯგუფი დღემდე ამკვიდრებს მცდარ აზრს, თითქოს მხოლოდ ბიზანტიური მონოდიური სასულიერო მუსიკაა კანონიკური და ქართულ მრავალხმიანი გალობის ძირძველ ტრადიციებს უგულვებელყოფს; უარყოფს, რომ „გალობა იმთავითვე გვექონდა სამშხიანი და არა უნისონური, როგორც აქვთ ბერძნებსა და სომხებს...“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა მღვდელმონაშე კირიონ II). უწმიდესი და უნეტარესი, ილია მეორე ამ მანვე წამოწყებას თავიდანვე უარყოფითად აფასებს. „ეს არის შეურაცხყოფა ქართული გალობისა და ქართული ტრადიციებისა, მამებისა და ჩვენი წარსულისა... ქართველებმა რომ დატოვონ თავისი წარსული, ჩვიდმეტი საუკუნის ტრადიცია და ახლა დაიწყონ ბერძნულად გალობა, ამას, რა თქმა უნდა, ჩვენ არ დავუშვებთ“, — განაცხადა მან ერთ-ერთ შეხვედრაზე („საპატრიარქოს უწყებანი“, 2003 № 7). ხსენებული ჯგუფის საქმიანობას საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდიც აღუდგანინ. 2001 წლის ოქტომბერში გამართულმა წმიდა სინოდის კრებამ ე. წ. „ბიზანტიური გალობის შემსწავლელი ჯგუფის“ წამოწყებას „თვითნებური ექსპერიმენტი“ უწოდა, ხოლო 2003 წლის თვრამეტი აგვისტოს წმიდა სინოდის კრებამ ქართული გალობის აღორძინებისათვის კიდევ უფრო მყარი ნიადაგი შექ-

მნა. კრების განჩინებით, „...საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური გალობა იყო და არის მრავალხმიანი ქართული ტრადიციული გალობა. მისი აღსრულება სავალდებულოა ყოველ ქართულ ტაძარში და ყველგან, ქართულ ენაზე აღვლენილი ღმრთისმსახურების დროს“ („საპატრიარქოს უწყებანი“, 2003 № 33). სინოდის ეს გადაწყვეტილება ითვალისწინებდა საღვთისმსახურო პრაქტიკაშივერსიონიზებული მუსიკისადადაგალობის კანონიკის გაუთვალისწინებლად დამუშავებული საგალობლების აღკვეთასაც. ხსენებული განჩინების აღსრულების ზედამხედველობა წმიდა სინოდმა საპატრიარქოსთან არსებულ გალობის ცენტრს დააკისრა. ამ გადაწყვეტილებამ ქართული საეკლესიო გალობის აღდგენას საგრძობლად შეუწყო ხელი და არაერთ მნიშვნელოვან მოვლენას დაუდო სათავე.

2006 წლის თებერვალში იქმნება ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის ფონდი, რომლის მიზანს ქართული საეკლესიო გალობის აღდგენა-პოპულარიზაციასთან ერთად გალობის უმაღლესი სკოლის დაარსება წარმოადგენს. ფონდის შექმნაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განსაკუთრებული დამსახურების შესახებ ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ანზორ ერქომაიშვილმა აღნიშნა: „ამ ბოლო წლებში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ბევრი დიდებული და ეროვნული საქმე გაკეთდა, მაგრამ რასაც დღეს ჩაეყარა საფუძველი, ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მათგან, რაც აქამდე გაკეთებულა“ (საპატრიარქოს უწყებანი, 2006 № 7); ფონდის დაარსებიდან მოკლე ხანში (2007 წ.) თბილისის სასულიერო აკადემიასთან ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი არსდება; მოგვიანებით კი — ხობისა და სტეფანწმინდის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლები, რაც მკვიდრი საფუძველია ლობჯართა მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. ყველა ამ წამოწყებათა გამო საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა დიდი სასოება გამოხატა. „მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ლობჯარები, ვისაც ჩვენ აღვზრდით, მთელ საქართველოში შექმნიან გუნდებს, რომელთა მემკვიდრეობა მთელი საქართველო ადიდებს უფალს“, — აღნიშნა მან (ვახ. ქართული გალობა, 2006 № 2).

უწმიდესსა და უნეტარესს, ილია II-ს საეკლესიო გალობის სიყვარულს სიყვანწილიდან უნერგავდნენ. მცხეთის დედათა მონასტერში მოსმენილი ქართული საგალობლები

ღრმად აღბეჭდილა მის მეცსიერებაში. «დედათა მონასტერში იყო ჩემი ნათლია (მონასტრის ილუმენი ზოილე - ავტ-ბი) და იქ მესმოდა დედების გალობა... ქართული გალობის სიყვარული ჩემში იყო, ჩემს სისხლში იყო», — იგონებს იგი. ზაგორსკის (ამჟამად სერგაევ პოსადის) სასულიერო სემინარიაში სწავლისას უწმიდესმა და უნეტარესმა გალობის გამორჩეული მასწავლებელი, ივანე ნიკოლოზის ძე აქსიონოვი ჰყოლია, რომლის ხელმძღვანელობითაც მას შესანიშნავი სამუსიკო განათლება მიუღია; სემინარიის სტუდენტთა გუნდში იგი მეორე ტენორის პარტიას ასრულებდა.

უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის გამორჩეული სამუსიკო ნიჭი საღვთისმსახურო კითხვის ხელოვნებაშიც ნათლად გამოიყვანდა. მის მიერ ნაკითხული სახარება, წარმოთქმული ლოცვები და ასამაღლებლები სულიერებითაა აღბეჭდილი და იმპროვიზაციის საოცარ უნარს ავლენს. საღვთისმსახურო კითხვის ეს განუმეორებელი ნიმუშები ჩვენს დიდი წინაპრების მიერ (წმიდა ექვთიმე აღმსარებელი, ეპისკოპოსი სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილი) ნოტირებულთან საგრძნობ ინტონაციურ კავშირს ამჟღავნებს.

ლიტურგიკული კითხვის ხელოვნებას უწმიდესი და უნეტარესი, ილია II წინამორბედი პატრიარქებისა და სამღვდელოებისაგან სპეციალური მომზადების გარეშე დაეუფლა. «არავისგან არ მისწავლია. მე მესმოდა ძველი სამღვდელოების კითხვა და ეს შევიტყვისე. მახსოვს უწმიდესი მელქისედეკ მესამის (ფხალაძის) კითხვა, ეფრემ მეორისა (სიდამონიძის) და სხვათა... უწმიდესმა დავით მეხუთემ (დევედარიანმა) იცოდა კითხვა...სმენა ჰქონდა კარგი... გალობის დროს მუხლების ისეთ ვარიანტებს ამბობდა, ...მე სულ მინდა გავიხსენო და გავიმეორო, მაგრამ არ გამომდის», — დიდი თავმდაბლობით იგონებს იგი. უდავოა, რომ პატრიარქი წინაპართა ცოცხალი მემკვიდრეობითი ცოდნის უშუალო და უზადო გადმომცემია.

უაღრესად საინტერესოა უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის საკომპოზიტორო მოღვაწეობა — იგი ავტორია მთელი რიგი საგალობლებისა («წმიდაო ღმერთო», «ისპოლა ეტი დესპოტა», «მრწამსი», მიცვალებულთა კურეჟი, «მამაო ჩუენო», «მსწრაფლ გასუხვენ სინანულისა ბჭენი» და სხვ.) და საგუნდო ქმნილებებისა («დავილაღე, დავილაღე, მოდი ჩემთან, უფალო», «ერეკლეს დალოცვა», «ჩემი ვედრება» და ა. შ.), რომლებიც მისივე სიტყვებით, «გულიდან გამოდის» (უწმიდესი-

სა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეხვედრა მუსიკისმცოდნეთა ჯგუფთან...), ამ თხზულებებს უწმიდესმა და უნეტარესმა «ხმა მთიდან» უწოდა და აღნიშნა, რომ მათი სიმარტივე ქართულ ფესვებთან კავშირზე მიუთითებს. მოღვაწეობის ამ სფეროშიც მწყემსმთავარი ღვთის ღრმა რწმენასა და დიდ სასოებას ავლენს. თავისი ერთ-ერთი საგალობლის შესახებ პატრიარქი აღნიშნავს: «აღამიანის ცხოვრებაში არის ისეთი პერიოდები, როცა გრძნობს სიმძიმეს, დაღლილობას, თითქოს კარგავს იმედს, უნუგეშობაში ვარდება. ისეთი მძიმე პერიოდი დგება, თითქოს აღამიანი ვერ მიდის წინ და ცეცმა. ჩვენ ვეხვეწებით უფალს და მივმართავთ: «მე აღარ შემიძლია შენსკენ სიარული და შენ მოდი ჩემთან». ამიტომ ეს საგალობელი შემდეგნაირად იკითხება: «დავილაღე, დავილაღე, მოდი ჩემთან, უფალო» (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე საკუთარი სამუსიკო თხზულებების შესახებ, საქართველოს საპატრიარქოს საარქივო დოკუმენტი).

საკეკლესიო გალობის სფეროში, ისევე როგორც მოღვაწეობის ნებისმიერ სხვა უბანზე, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ღვაწლი ღვთისა და მოყვასისადმი უსაზღვრო სიყვარულის ნათელი გამოვლინებაა; მრევლიც სიყვარულით პასუხობს მას — ტაძარში ეს საგალობლები ხომ მწყემსმთავრისადმი დიდი სიყვარულის ნიშნად აღველინება;

ღვთისადმი შესანიშნავი გალობის სრულყოფილება ყოველთვის იყო და არის ეკლესიის გამორჩეულ მწყემსმთავართა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი — მაღლით აღვლენილი გალობა ხომ უფლისათვის სათნო, აღმატებული სულიერი მსხვერპლია და ღვთის მაღიდებელ ერს «სახეპურო», რჩეულ ერად აქცევს. აკი ამბობს დავით წინასწარმეტყველი: «ნეტარ არს ერი იგი, რომელმაც იცის გალობაჲ შენი, უფალო» (ფს. 88, 16).

მანანა ანდრიაძე  
ეკატერინე ონიანი  
მაგდა სუხიაშვილი

# წმიდაო ღმერთო

კათოლიკოს - პატრიარქი ილია II

ნელა

წმი - და - ო ღმე - რთო წმი - და - ო ძლი - ე-რო  
წმი - და - ო ღმე - რთო წმი - და - ო ძლი - ე-რო

წმი - და - ო უ - კვდაუო შე - გვი - წუა - ლენ ჩვენ  
წმი - და - ო უ - კვდაუო შე - გვი - წუა - ლენ ჩვენ

წმი - და - ო ღმე - რთო წმი - და - ო ძლი - ე-რო  
წმი - და - ო ღმე - რთო წმი - და - ო ძლი - ე-რო

შენჯღვებო

წმი - და - ო უ - კვდაუო შე - გვი - წუა - ლენ ჩვენ *pp*  
წმი - და - ო უ - კვდაუო შე - გვი - წუა - ლენ ჩვენ *pp*

# გისაროდენ, ფრიად შუენიერო

ჩასართავი წმიდა ნინოს დაუფდომელ საგალობელში

კათოლიკოს - პატრიარქი ილია II

ნელა

გი - ხა - რო - დენ, ფრი - ად შუე - ნი - უ - რო  
 გი - ხა - რო - დენ, ფრი - ად შუე - ნი - უ - რო

შო - რის დე - და - თა სა - ღმრთო - თ სხა - ღო.  
 შო - რის დე - და - თა სა - ღმრთო - თ სხა - ღო.

ა - ღი - ჭუ - ი - ა ა - ღი - ჭუ - ი - ა ა - ღი - ჭუ - ი - ა  
 ა - ღი - ჭუ - ი - ა ა - ღი - ჭუ - ი - ა ა - ღი - ჭუ - ი - ა

1963 წ.

# მოდრი ჩემთან, უფალო

ნელა

კათოლიკოს - პატრიარქი ილია II

ღა - ვი - ღა - ღუ, ღა - ვი - ღა - ღუ, შო - დი ჩემ - თან, უ - ფა - ღო!  
 ღა - ვი - ღა - ღუ, ღა - ვი - ღა - ღუ, შო - დი ჩემ - თან, უ - ფა - ღო!

# მამაო ჩვენო

კათოლიკოს - პატრიარქი ილია II

მ - მ - ი წყ - ნო, რ - ზ - ლა ზრ დ - ია ზ - ნა, წი - ლა ი - უენ  
მ - მ - ი წყ - ნო, რ - ზ - ლა ზრ დ - ია ზ - ნა, წი - ლა ი - უენ

ს - ზე - ლა მუ - ნა, მი - ჯ - დინ სუ - ჟუ - ვა ზე - ნი, ი - უენ წე - ში  
ს - ზე - ლა მუ - ნა, მი - ჯ - დინ სუ - ჟუ - ვა ზე - ნი, ი - უენ წე - ში

ჰე - ნი, ვა - თარ - ფა დე - ია მი - ნა, ვ - გრე - ფა ქუ - ვა - ნა - სე ჰე - ღი  
ჰე - ნი, ვა - თარ - ფა დე - ია მი - ნა, ვ - გრე - ფა ქუ - ვა - ნა - სე ჰე - ღი

სუ - რი წყ - ნი ან - სი - ზი - ზი მი - ჰუე წუნ დღეზ, და მი - ში - ტე - უენ წუნ  
სუ - რი წყ - ნი ან - სი - ზი - ზი მი - ჰუე წუნ დღეზ, და მი - ში - ტე - უენ წუნ

თა - ნა - ნა - დებ - ნი წუნ - ნი, ვა - თარ - ფა წუნ მი - ვ - ტე - უენ  
თა - ნა - ნა - დებ - ნი წუნ - ნი, ვა - თარ - ფა წუნ მი - ვ - ტე - უენ

თა - ნამ - დებ - თა ში წუნ - თა, და ნუ ჰე - ში - უენ - ნებ  
თა - ნამ - დებ - თა ში წუნ - თა, და ნუ ჰე - ში - უენ - ნებ

წუნ ვან - სი - დელ - სი, ა - რა - მუე მის - წუნ წუნ მი - რა - ტე - სი - ტარი  
წუნ ვან - სი - დელ - სი, ა - რა - მუე მის - წუნ წუნ მი - რა - ტე - სი - ტარი

# ირაკლი ბრძოლის წინ

(ფრაგმენტი)

ვაჟა-ფშაველა

კათოლიკოს - პატრიარქი ილია II

Maestoso

თქუნი ჭირაძე,

ან შესდრკეთ, — ბი-ჭე-ბო, ქართუ-ლის შეი - ლე-ბო, — გუ-ლი ნა - ი-ფო

მა - გა-რი, — ბრძო-ლა-ში გა-მო - ცდი - ლე-ბო; — გუ-ლი ნა - ი-ფო

მა - გა-რი, — ბრძო-ლა-ში გა-მო - ცდი - ლე-ბო!



### უფალო იესო ქრისტე

ნელა და ლმობიერად

კათოლიკოს - პატრიარქი ილია II

Musical score for the first system, featuring vocal lines and piano accompaniment. The lyrics are: უ - ფა - ლო ი - ე - სო ქრ - ისტე, შე - ო ღმრთი - სა - ო.

Continuation of the musical score with lyrics: შე - ზი - წა - ლე შე, ცო - ღე - ლი.

1980 წ.



### პატრიარქი-სატმნეხი

XX საუკუნის ბოლო მეოთხედი ქართული საეკლესიო ხელოვნების აღორძინების, ფაქტურად, ახლად „დაბადების“ ხანაა, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II-ის მოღვაწეობასთან. მისი ლოცვა-კურთხევით დაიწყო ახალი ტაძრების აღმშენებლობა, ფერწერული ნიმუშებით შემკობა, ხატებისა და მართლმადიდებლური მღვდელმსახურებისათვის საჭირო ლიტურგიული დანიშნულების ნივთების შექმნა. მის უწმიდესობას კარგად ესმოდა, რა სიძნელეები ახლდა თან საეკლესიო ხელოვნების აღორძინებას, და რომ ქართული ქრისტიანული ხელოვნების განვითარებაში ორსაუკუნოვანი წყვეტილის შევსება ძალიან ძნელი და ხანგრძლივი საქმე იქნებოდა. მაგრამ მან ბრძნულად განსაზღვრა, რომ 70 წლიანი კომუნისტური რეჟიმგამოვლილ ქვეყანაში საეკლესიო ხელოვნების განახლება აუცილებელი იყო ქრისტიანული რწმენის გასამტკიცებლად.

ღვთის მადლითა და მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იან წლებში ეს მოღვაწეობა ფართო მასშტაბით გაიშალა, როდესაც, მიუხედავად დამოუკიდებლობადაღდგენილი

ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობისა, აშენდა უამრავი ტაძარი, შეიმკო და გამშვენდა ფრესკებითა და წმიდა ხატებით, ლიტურგიული ჭურჭლითა და დასურათებული ხელნაწერებით, ულამაზესი ნაქარგობებითა და შესამოსლებით.

ამ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე ჩვენ თანამედროვე მხატვრებს გზის მანიშნებლად და წამძღოლად, თანაც არა უბრალოდ მრჩეველისა ან მხარდამჭერის სახით, არამედ როგორც ოსტატობისა და შემოქმედების მაღალი მაგალითი, თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მოველინათ.

ქრისტიანობის ოცმა საუკუნემ მრავალი პატრიარქის სახელი შემოგვინახა, რომლებიც სახელგანთქმული ღვთისმეტყველნი იყვნენ, დიდი მოაზროვნეები, მწერლები, პოეტები, მაგრამ თითქმის არაფერი ვიცით ხატმწერ პატრიარქებზე. და აი, სწორედ ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში მოგვივილინა უფალმა პატრიარქი — შემოქმედი.

მისი უწმიდესობის პირად თვისებებზე ბევრი საუბრობს და ბევრიც იწერება. აქ მისი ხასიათის ერთ თვისებას მოვიხმობთ — უკიდურესი თავმდაბლობა. მართლაც, ილია II რომ თურმე ხატმწერიცაა, ცოტა ვინმემ თუ იცოდა და, შესაძლოა, არც ახლა იცის ბევრმა. მისი ნამუშევრების არც გამოფენები ეწყობა, არც წიგნები გამოიცემა. მხოლოდ ტაძრებში შესულთ ან საქართველოს საპატრიარქოში მოხვედრილთ წარმოუდგებათ ხოლმე მისი ქმნილებები. უპირატესად მხატვრებს აცნობს ხოლმე მათ, მათთან მსჯელობს ხელობის ავკარგინაობაზე.

ბუნებით შემოქმედი, მრავალგვარი მაღალი ნიჭით დაჯილდოებული, ფერწერითაც მოგვმართავს. როგორც ეკლესიის მამები ამბობდნენ, „ხაზებითა და ფერებით ქადაგებს“, გვესაუბრება. ცხადია, პატრიარქობის მძიმე ჯვარი არც თუ ბევრ დროს უტოვებს გინდ მუსიკალური პანგების, გინდ ფერადოვანი ქადაგების შესაქმნელად. ამიტომ ნიშანდობლივია, რა თემებს არჩევს, როცა მაინც ეძლევა მხატვრობის შესაძლებლობა: არა მხოლოდ საყოველთაო, ზოგადქრისტიანულს, როგორცაა მაცხოვარი, სამება, ჩვილედი ღმრთის-მშობელი, წმ. გიორგი, არამედ იმ სახეებსაც, რაც საქართველოს უნათებდა და უნათებს სულიერ გზას ზეცათა სასუფეველისკენ: წმ. მეფე ვახტანგ გორგასანი, წმ. დედოფალი თამარი, ასი ათასი თბილისელი მონაწილე....., თავისი წინაპრები — შიოლა ლუღუშაური და მრავალი სხვა. და თუმცა ზოგი მათგანი მხოლოდ სურათია, ყველას მაინც ხატის სულიერი სიმაღლე გამოაჩვენებს.

განსაკუთრებული და საოცარია ივერიის ღმრთისმშობლის მისეული ხატი - წმ. ქალწულისა და ჩვილის ეს გამოსახულება საუკუნე-ნათამბრძოლვე მიბაძვისა და თავყვანისცემის საგანი იყო და მრავლად იწერებოდა მისი "ას-ლები", რომლებიც მხატვრულად სრულიად განუმეორებელ ნაწარმოებებს წარმოადგენს. ჩვენი პატრიარქის მიერ დაწერილი ხატიც ასეთია - იკონოგრაფიულად ტრადიციული, იგი უნიკალურ მხატვრულ სახეს ქმნის - სრულიად დემატერიალიზებული, ყოველგვარ საგნობრიობისა და ხორციელისგან განძარცვული - ფაქიზი ხაზები და გამჭვირვალე, მშვიდი ფერადობის ფერები მიწიერის მიღმა წარმართავს ჩვენს სულსა და გულს, ზეცი-საკენ, მარადისობისკენ - თითქმის სულად ქცეული ფორმა. მეტადრე კი ზემოქმედებს ხაზთა რიტმული ნყობა, მათი გადადგნა და შეთავსება, მნახველის მზერას დინჯად რომ წარმართავს. ამავედროულად კომპოზიციის შემალღებელი, დავინროებული ფორმატიც განსაკუთრებულ განწყობას წარმოშობს, აქცენტებს სახეებისკენ წარმართავს, მეტადრე წმ. ღმრთისმშობლის დიდრონ ნუშის ფორმის თვალეზე, სევდითა და იმედით რომ გვიც-ქერს.

სიმშვიდე, სინყნარე მოედინება ამ ხატები-დან, გარინდებულობა და ერთგვარი სევდაც, მაგრამ უმეტესად მაინც არაჩვეულებრივი სიმშვიდე. პატრიარქი ხომ ესოდენ ხშირად გვიმეორებს 131-ე ფსალმუნის სიტყვებს „მო-

იხსენე უფალო დავითი და ყოველი სიმშვიდე მისი". ვასაკვირიც არ არის, რომ ესოდენ ვის-წრაფით მისკენ ყველანი - ეს სიმშვიდე მის სულში არის დავანებული და მისი მუსიკის ჰანგებიცა და მისი ხატების ფერ-ხაზებიც ამ სიმშვიდეს გადმოღერის, გადმოგვცემს, გვახ-ვევს, მოგვიცავს.

თუ დავაკვირდებით, პატრიარქის ხატებში არ არის აღელვებული ფესტები ან მოძრაობე-ბი, ხაზთა ფორიაქი ან შფოთი, ფერთა შეხა-მებებიც, თუმცადა საკმაოდ მყუდრო, მაინც ძალიან განონასწორებულ შეფარდებებზეა აგებული, რასაც ხაზთა დინჯი დინება ეპასუ-ხება. წმ. ვახტანგ გორგასლის გამოსახულე-ბა, დროშით და გრაგნილით, ძლევაამოსილი ფიგურა, მის ფერბით დაკლაკნილ გველს რომ სრესს, ამავედროულად სიმშვიდისა და ჰარმონიის განცდას ქმნის, რადგან მისი ფი-გურის, მოსასხამის, დროშის, გრაგნილის შე-მომფარგლავი ხაზების კალიგრაფიულობა და რკალური დინება, ერთმანეთს რომ არის შეწონილ-შესატყვისებული, სწორედ ამ შთა-ბეჭდილებას განაპირობებს.


სიღინჯისა და ჰარმონიის განცდა ყველა-ზე მეტად „სამების“ დიდი ხატის ჭკრეტისას განიცდება, თბილისის სიონის კათედრალში რომ იყო დაბრძანებული, ახლა კი სამების ტაძარშია. იდეალურ წრეში მოქცეული, რკა-ლებისა და წრეების გამეორებად მშვიდ რიტ-მზე აგებული, ტრადიციულ იკონოგრაფიას დაფუნებული ეს კომპოზიცია დიდებულე-ბის შთაბეჭდილებას ქმნის. ერთი შეხედვით თითქოს რუბლიოვის შედევრს მიმსგავსე-ბულია, მაგრამ სინამდვილეში აქ სულ სხვა ფერადოვანი შეხამებებია - უფრო მსუყე და დრამატული შინდისფერი ნიოლის ინტესი-ური ნათებით, წრის გარეთ გამოსახული ექ-ესფრთედების ფიგურებში რომ აირეკლება; სულ სხვა ფორმისა და, რაც მთავარია, გამო-მეტყველებისაა ანგელოზთა სახეები, გაცი-ლებით უფრო „მოყურადებულნი“ რომ არიან ჩვენსკენ. საოცარია, ესოდენ თხელი და ფაქი-ზი ხაზები ესოდენ ძალასა და დიდებულებას როგორ იტევს.

ყოველივე ჰარმონიაში არის მოყვანილი და აქველავ პატრიარქისვე სიტყვები გვახსენდე-ბა, ძალზე ხშირად რომ ჩაგვეხმის: უკიდურე-სობანი დამლუპველია, არსებობს სამეუფეო გზა - ჰარმონიის გზა, ოქროს შუალედი.

ამავე დროს, ამ სიმშვიდედა ერთგვარ გა-რინდებულობასთან ერთად მის ქმნილებებს საოცარი ექსპრესიულობა ახასიათებთ, მაგ-რამ ექსპრესიულობა გამოვლენილი არა გა-რეგულ ფორმებში, არამედ შინაგან - მზერა-ში, ხაზთა რიტმში, ფერადოვან აქცენტებში,



დედა



მამა

ხელების ოდნავ მოძრაობაში, თვალისათვის თითქმის შეუმჩნეველ კომპოზიციურ ძვრებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია მაცხოვრის ხატი, რომელზეც მხოლოდ ჯვრული შარავანდით მოსილი თავი არის აღბეჭდილი, დიდრონი თვალებითა და თითქოს მთვარის შუქით გავერცხლისფერებული თმა-წვერით — გეგონება, გეთსიმანიის ბალში ლოცვისას არის დანახული, თუმცა გამოსახულება ყოველგვარ სიუჟეტურობას მოკლებულია. მაგრამ თვალების გამომეტყველება, სახის მიმიკა — მშვიდი და უდრტივინველი მიღება — ტრადიციული ბედისა, თვით ფერადოვნება — ღრმა ნითელი და ლურჯი ფერების ლაქების ფონზე, სახის ფერმკრთალი ოქროსფერი და ვერცხლისფერი კოლოროტი სწორედ ამ იდუმალი სევდით და უსაზღვრო თავგანწირვით სავსე ღამის ასოციაციას იწვევს.

კომპოზიცია ისე არის აგებული, რომ მაცხოვრის სახე ძალიან „ახლოს“ არის მოტანილი მლოცველთან, ამის გამო განსაკუთრებით


შთამბეჭდავია, განსაკუთრებით სულშიჩამწვდომი. თანაც, როგორც ითქვა, ყოველივე ძალიან სადა, უბრალო, ძუნწი მხატვრული საშუალებებით მიიღწევა. ეს ხატი ზოგ სხვა რამესაც გაგვანდობს, ჩვენი პატრიარქის ნუსხილს, რომელიც ჩვენს გამო მუდმივად გეთსიმანიის ბალში სიმწრის ოფლით იღვრება და ჩვენს ნაცვლად მუდმივად სწირავს თავს, ჩვენი ცოდვების უმძიმეს ჯვარს ზიდავს. თუმცა მაცხოვრის სახე არავითარ გარეგნულ მსგავსებას არ ატარებს მის უწმიდესობასთან, ამ ხატის ქვერტისას თითქოს მას ვხედავთ, თავისი ქვეყნის და თავისი ურჩი და მუდამ მშფოთვარე სულიერ სამწყსოზე რომ დარდობს — „ტარიგი გამზადებული“.

ძნელია უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შემოქმედებაზე წერა და მსჯელობა, მისი ნაწარმოებების გარჩევა-ანალიზი, და ინტერპრეტაცია ხომ სულაც კადნიერებად მეჩვენება. მით უფრო, რომ როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, პატრიარქი თითქოს არც ეძებს „დამფასებელს“, არ გამოჰფენს თავის ქმნილებებს, ბევრი მათგანი, ალბათ არც გვინახია. ისევე, როგორც შუა საუკუნეების სენაკებში ლოცვით იწერებოდა ხატები ღვთის სადიდებლად, ასევე სიჩუქმში და სიმარტოეუმი ქმნის იგი თავის ნაწარმოებებს, უფალსაც ესაუბრება და ჩვენც, უღირსთაც, მოგვითხრობს ამ საუბრებზე.

უეჭველია, ხატწერის ამ შესანიშნავ ნიმუშებს საგანგებო და საფუძვლიანი კვლევა სჭირდება, რათა უკეთ დაინახოს ხალხმა, როგორი პატრიარქი ჰყავს, უკეთ გაიგოს მისი ნაფიქრალ-ნააზრევი. ზოგჯერ ვფიქრობ, რითი დავიმსახურეთ ეს მაღლი.

მძიმეა პატრიარქობის ჯვარი, ჩვენს დროში, იქნებ კიდევ უფრო მძიმე, ვიდრე ოდესმე. არავინ აცდის, თავისი სულიერი მდგომარეობა ჰანგებში და ფერებში გადმოიტანოს და გამოხატოს, მაგრამ ის მცირედიც, რისი ნახვის ღირსნი გავხდით, გვარწმუნებს, რა უსაზღვრო სასწაულთან გვაქვს საქმე, სასწაულთან, რომელსაც ხშირად თვალს ვერ ვუსწორებთ მისი სიღიადის გამო.

მარიამ დიდებულიძე



ქართლოსი

## ფეხიხადე ალქანიცი ლოსვა

საოცარია დუმილის სამყაროში ფერების გრადაციით მოგზაურობა... უსაზღვროდ მოედინება ფერთა განმული გამა და თავის უძირო ხვეულებში გონდაკარგულს მიგაქანებს. ღვინისფერი მზის შუქით პირთამდე აცხებულა და ხანდაზმული ალერდის სითბოს სათუთად იკრავს სხეულზე. სტოლა — ზღვის უკიდევანობით შეფერილი, მაფორიუმის ნაოჭთა დინებას ტალღებით შეესისხლხორცა. ნაბლისფერ ნაბნავებივით დაფენილ მოსასხამში ხელის ნატიფი კიდური ამოზრდილა. თითინი თლილნი... ყრმის ხელისკენ აზიდული... ხატის მუქ ტონებს შარავანდედად დასდგომია მზე.

ვდგავარ და მავედრებელი თვალებით შევყურებ ხატს, იქიდან ღვთისმშობელი ყრმა იესოთი თბილი მზერით მეფერება. ადამიანურმა ეგოისტობამ დაძლია და იმწამიერად ღვთისმშობლის ჩემკენ მოდენილი მზერა მივისაკუთრე. დიახ, მხოლოდ მე მეკუთვნოდა მისი სათნოება, ასე მეგონა, ძარღვებშიც მხოლოდ ქართული სისხლი უჩქეფდა. ქართველი დედის სახის ოვალი (ასე მკაცრი და ასე ალერ-

სიანი), სწორი, მოგრძო ცხვირი, რკალისებრი აზიდული ნარბები, მრგვალი გაფართოებული თვალეები (კაცობრიობის სევდით დამძიმებული)... და ქართული ბაგეები მხოლოდ ქართულად მეტყველებდნენ. სითბოცა და მზის სხივივით მოდენილი მზერაც სევდიანად მელამუნებოდა. სევდაც ქართული იყო მარტოდენ. ღვთისმშობელი ყრმა იესოთი — ერთი დიდი მატინაე ქართული გენიისა... ყრმა იესო — გაბრწყინებული ივერიაა, მზერა რომ ჯვარცმული საქართველოს დარდით ჩაჰფიქრიანებია... მასაც ქართულ შუბლზე ივერიელთა მოდგმის ძარღვი უტოკავს.

ღვთისმშობლის მკერდს ჯვრის შარავანდი დაყრდნობია — ყრმის თავზე წამომდგარი მზე შინაგანი ნათებით გაცისკროვნებული. ყრმას გრავილი უწყრია ხელთ — ალბათ იმ გრავილის თეთრ სხეულზე საქართველოს ისტორია ასენია. ხატის კაბადონზე ძველ ქართული ანბანი ვარსკვლავებით მოჭედოლა. ამ ხატის მაცქერალი ჭეშმარიტად მოინუსხები ბედნიერების განცდით. რა ხელმა შეგქმნაო, დაიქუხებს ჩემში ხმა — საიდანაც მოსული და ანაზად გამახსენდება, რომ ასერიგად ქართული სულით გაბრწყინებული ხატი, საქართველოს ღვიძლი შვილის კურთხეულ მარჯვენას ეკუთვნის. ეს აბობოქრებული ფერთა ზვირთები ჩვენი სამშობლოს პატრიარქის გრძნობათა ღვთიური ნაჭურია.

შემინდე, უწმიდესო, რომ ასე თავხედურად შემოვბედე ამ სამყაროში შემობოტება. განა უფლისმიერი სიყვარული ცოდვია? ჩემი წერილის მიზეზიცა და შედეგიც სიყვარულია. უფლის და თქვენი სიყვარული, უწმიდესო!

გალობასავით ისმის ფერთამეტყველებაში საქართველოსთვის აღვლენილი ლოცვა. უფლისადმი სიყვარულის ასეთი ღვთიურთხეული ნიჭით დაჯილდოება მხოლოდ წმიდა სულის მადლია — სწორედ დიდი მადლია, რომ ერის მამად თქვენ მოვლენინათ უფალმა ჯვარცმულ ქართველთათვის.

ჩემთვის იმწამიერად ღვთისმშობლის აქცალუმად ქართველად ვანცდა, სიზმარივით დაუკითხავად შემომეჭრა და ამ უკიდევანო ფერთა შემოქმედის სამყაროში შემიყოლია. სათნოებითა და სინატიფით მონუსხული ფერთა მონასმების მსუბუქ ზვირთებს გაგყევი... უწებელი სტუმარი არა, მოგზაური ვარ ამ იღუმალ ქარაფებში, ჩანჩქერებითი ჩამოშლილ მენამულიდან ზღვისა და ნარინჯის მზით გაჯერებულ ფერებში რომ ატორტმანდება.


ამ სამყაროში შემოსულს არ მახსენდება სტუმრის სტატუსი და ლამისაა დამკვიდრების სურვილმა დამძლიოს. (ხელი წამიცდა

ლტოლვილ-ხიზანის დასაწერად, მაგრამ ქართული ენა ბოლო დროს ისედაც დამძიმებულია ამ სიტყვების ტვირთად ტარებით, ამიტომ მეც დაუფიქრებლად გავექტვი... საკუთარი თავიდან გაქცევა უფრო იყო უთუოდ.) ეს ისე, მოგზაურის ჩანაწერებია, ალაგ-ალაგ სუნთქვას — განცდებს რომ ამოაყოლებს ხოლმე. განწყობა დაღლილი მგზავრისა როდია, სიხარულს გადაჩვეული მშვენიერებისა და სინამდის სამყაროში უანაბრო სიყვარულის ბარათივითა ვარ. კვალი ამებნა, თუმცა ეს გზა ტაძრამდე მიდის! (კვალი განგებ ავიბნე, უკან დაბრუნების შიშმა დამაბნეა და იმიტომ.) არ მინდოდა ამ ღვთიური ფერებით ჩამოღვენილ სამყაროდან, ჩემსავით ცოდვიან შავ-თეთრ რეალობას დაგბრუნებოდი. თუმცა, ჯერ კიდევ მაქვს მოგზაურის სტატუსი (თვითმარქვიად მივინიჭე... სიყვარულის ბრალია...)

ჰოდა, ახლა ისევ ოქროსფერ დალალებიან აქოჩრილ ტალღებში მივექანები, ჩანჩქერით რომ ჩამომლილა და მენამულ-იისფერი ისე შეუნივთებია, — სამყაროს დაბადებას გაგრძნობინებს ანაზად. განცდამორეული ალბეგით ატორტმანდა ქერუბიმები... დედამინის გულივით ფეთქავს სრებრუნვაში მოყოლილი სამების ხატი... კუთხეებიდან მრავალფრთველების ცეცხლოვანი ჟრჟოლა მოსდებია სამყაროს სულის ერთარსობას... ბაგრატოვანთა ტაძარივით ურყევად აღმართულა სასახლის მკერდმაგარი ჯავშანი, მამალმერთს მიღმა... ასეთივე შორეული მიღმიერიდან კეკლუცად შემოგვეყურებს ქე-ღმერთის ფრთებქვეშ ამოზრდილი ხე-ცნობადისა. თავდაბრილ სულიწმინდის შარავანდედს იქით, თავთუხისფერ კლდეს ლაღად გაუშლია ფრთა, ვაჟას ჯერ კიდევ დაუჭრელი არწივივით ამალღებული და ამყაია. სატრაპეზოს მშვიდ რძისფერზე მზის გულივით ასვენია თასი... მონიფული ქართული ვახისა და ახალშობილი ბალახის სილორთქიდან მზის სხივებივით გამობარულა წმიდანთა კიდურები...

ვუცქერი სამების ხატს და... ნამიერად მიჰყვრობს უმძაფრესი სურვილი, პატრიარქის ამ ღვთიურ ხილვას შევეხებო. სიზმრის სიცხადესავით ჩამოჟონა ფერთა სიბრძნის იღუმალებამ...

ჰომოსაბიენის ტვინად ქცეული გონისთვის ფერების მხოლოდ დინამიკა, შემოქმედებითი ექსპრესია, მონასმთა სირბილე და საუკუნეთა აჩრდილების ძიება — ხატწერის მისტიკური საუფლო. არადა, ნოტებად მოდენილ, რითმებივით ჩამოშლილ-ჩამოქარგულს, ბარიტონივით უმაღლდება ღვინისფერი, ზღვის აქოჩრილი სილურჯე თითქოს დაბ-



შიოლა ღუღუშური, შიოლაშვილითა გვარის ფუძემდებელი

ლიდან მალღით მიეძინება რიტმულად... ფერებს მხოლოდ მშვენიერება როდი ჰმოსავთ, არც სახეებს ატყვიათ მხილება ბიბლიური საიდუმლოებისა მარტოდენ... ეს უკიდევანო როკვა ქართული ძარღვის, სიბრძნის სიცხადით რომ შეჩქროლებულა... თითოეული ხატი სამყაროს ბედისწერა... ხილვაა ადამიანთა მოდგმის ზღვისა თუ უბედობისა... სისხლმეუშობი მატინანა ქართული ჯიშის...

როცა ცხენზე ამხედრებულ წმიდა გიორგის გამარჯვებულ სახეს შეხედავ, უცილობლად აჟრჟოლდება თხემით ტერფამდე საუკუნეთა სამარხებში მიძინებული საქართველოს ისტორია. ეს ქართული ზღვაა — ასერიგად ქართულად მფეთქავი ცისფერი სისხლი (იქნებ თვალს ბინდი გადამეკრა, ვგონებ ლურჯია). ნიოფსიიდან დარუბანდამდის მხრებგამოღლი საქართველოს რუქა ჯერ კიდევ დაუკოდეღელია. რა მხნედ და ლაღად ამოზრდილა მის შუა გულში ტაძრის სხეული... საქართველოს ზურგს უკან შუბგაყრილი გველუმაში გამოტილა. ჩვენს მარადფამიერ მფარველ წმიდა გიორგის თეთრი მერნის ქვეშ მოუქცევა ურჩხული და შუბსა სცემს საქართველოს გადასაყლაპად გაღებულ ხახაში, არც ცხენს დაუნდვია ურჯულო, — ფლოქვით უმასპინძლდება გადამთიელს. ხატს ზემოთ, მამა ღმერთი მენამული მზის სხივებით ანათებს,

სხივები სულიწმინდას გზავნიან სააქაოს (იქნებ უფალმა ჩვენი ცოდვებისათვის შენარულნი). ცადაბალღებულ ბატკანს შარავანდედი მოსახეს...

ქართული ადათი ჯიუტად არ მანებებს თავს, წმიდა გიორგი ჩვენი სამშობლოს ნერვის შეთრთოლებას დასაბამიდან მოჰყვება და მის ძარღვებშიც ქართული ჯიშით გაჯერებული სისხლი დღესო. სახე ქართველი ყმანვილკაცისა აქვს, ბრძოლის უინდაუოკებლობით რომ მედიდურობს... ტანზეც რკინის იბერიული პერანგი ჰმოსახეს. მოგვებიც — ნითელი ნაღებივით შემოტმასნია ფეხს, მენამულისფერი მოსასხამიც ქართულ დროშასავით ფრიალებს. ქართულ მერანს ფაფარი მყინვარწვერივით თოვლისფრად დაჰფენია. ცხენის მრისხანე მზერას შეხედავ თუ არა, სისხლი აგოჩქროლდება. მთავარანგელოზები მცველებად წამოსდგომია საქართველოს რუქას. მიქაელს ხმალი ალუმართავს მარჯვენით, მარცხენაში ორივეს გრავნილები უჰყრიათ, ქართული ანბანის ბრწყინვალეობით მოსილნი. ფრთები არნივის მხრეებით განიერი და მძლავრი, საქართველოსავით ჯერ არ გაუშლიათ. (ჯერ ვერ მოიქნია თავისი ძლიერი ტორი ჩემმა ქვეყანამ). ხატიც სამშობლოსამებრ ორად გაკვეთილი მეჩვენება რაღაც, ბინდისფერი რომ გადააჰკრავს სახეზე... მაგრამ ივერიის მომავალი წმიდანთა შარავანდედითა გაბრწყინებული. ამ ფერთა იდუმალებაში და-

უცხრომელი ქართული სისხლი მრავალჯამივრევით მოჰქუხს და მოუღინება.

ქართულ გენს მარტოოდენ წმიდანების სახეში როდი აქანდაკებს პატრიარქი. მატიანეს — ფრესკებად და ხატებად წერს, მარადიული ხსოვნის კელაპტრებად რომ იკაშკაშონ. წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის ხატის შექმნით, ქართველთა მარად მებრძოლი სული გამოაქანდაკა. გაშლილი მხრებითა და ღონიერი სხეულით მეფე ვახტანგი ჩვენს უძლეველობას არ გვაგვიწყებს, მისი მკაცრი სახის იერი, შეუპოვარი, ჯიშინი ქართველი მეომრის მძლავრი სხეული — ჩვენი წარსული, ანმყო და მომავალია.

ხოლო ისინი, ჩემი უფროსი მეგობრები, თავ-თავიანთი დიდად ცრუისა-პარტიულობით? —

პარტიაში რომ ასე ვთქვათ როარ „შესულიყვნენ“ ვინ გაუშვებდა ბატონ რეზო თაბუკაშვილს და რა ჩამოატანინებდა დიდ მამულიშვილს, -ამ, იმ ჩვენთვის უსანუკვარეს განძეულობებზე ეკლსიასა და მუხუშუმებს რომ გადასცა და აბაღა როგორ გადაიღებდა თავის იმ დიად, ქართველებისთვის ქართველობის ასამალღებლად ასამალღებელ დოკუმენტურსა და ამასთანავე არსით რა ნატიფ მაღალმატერულ ფილმებს;

ის ცრუდ-პარტიულობა რომ არა ვინ დანიშნავდა ფილოსოფიის ინსტიტუტის თავკაცად ბატონ ნიკო ჭავჭავაძეს, თანამშრომლების როგორი სისწორით, სიმართლითა და სიღრმით აღმზრდელს;

(გავრძელება შემდეგ ნომერში)



ვასილ  
ვარლამიძე

### ჩემი ნუთისოფელი

(წიგნი მეორე)

(გაგრძელება)

### ფოფოდიას აღსასრული

ომი უკვე ორი წლის დამთავრებული იყო. ჩვენს მეჩხერსა და გაძვალტყავებულ ოჯახს კი სასიკეთო დიდი არაფერი დასტყობია. ლეილა ისევე წელეზე ფეხს იდგამდა და რის ვიი-ვგვალახით გვარჩენდა. მისი ანუ ბიბლიოთეკარის თვიური ხელფასი მაშინდელი კურსით 600 მანეთი იყო. ზუსტად ამდენი ღირდა იმ დროს ბაზარზე ერთი კილოგრამი კარაქი. მაშინდა და ძია სერგო რომ არა, ჩვენ დიდი ხნის მიცვალებულები ვიქნებოდით. დრო და დრო ლეილა იძულებული ხდებოდა ჩვენი მშობლების ნაქონ

დასაწყისი იხ. №9, 10, 11 / 2007

ნივთოვან დიდი ჭოჭმანის შემდეგ რალაც გაემეტებინა გასაყიდად: დედას ბეჭედი ან სამაჯური, მამას წიგნები ან ფოლკლორული საარქივო მასალები, რომლებსაც ორიოდ გროზად იძენდნენ გაჭირვებული, პალტოგატრეცილი გოგონასაგან სახელმწიფო ორგანიზაციები თუ კერძო პირები. იცოდნენ, რომ სხვა გზა არ გვექონდა და სარგებლობდნენ ჩვენი სიღატაკითა და მიუსაფრობით.

მე, რასაკვირველია, ლეილას კვიცივით სულ თან ვახლდი. გაყიდული ნივთების ფულის ასალეხად რომ წავიდოდა, მეც თან წამიყოლებდა. რასაკვირველია, იმ ორიოდ გროზის ასალეხადც ცხრა-ცხრაჯერ მიგვიყვანდნენ, საათობით გვატორლიალებდნენ და ბოლოსღა ძლივს გამოიმეტებდნენ ხელის კანკალით.

მახსოვს ერთხელ, ყოფილი ველიამინოვის, ახლანდელ დადიანის ქუჩაზე რომელიღაც დანესებულებაში დიდხანს გვაყურყუტეს. მე დილიდან მშოიერი ვიყავი, თან ფეხზე დგომით გაგებზრდი თუ რა მოხდა, არ ვიცი, ეს კი მახსოვს, მთელი ოთახი დატრიალდა და იატაკზე მოვადინე ბრაგვანი. რამდენ ხანს ვიყავ უგონოდ, არ ვიცი. თვალი რომ გავახილე, ჩემი მაჯა ლეილას ეჭირა, ვიღაც ქალი მწუნაედა და ლეილა ეუბნებოდა:

— აღარ უნდა, ქალბატონო, გონს მოვიდა, არ გამოცივდეს. — თან მე მკოცნიდა და ჩამჩურჩულებდა: — ცოტა კიდევ მოითმინე, ვახულიკო, მალე მოგვეცემენ ფულს და კარგად გასაუზმებ.

როგორც ჩანს ჩემმა გულის ნასვლამ იმოქმედა იმ ჩინოვნიკებზე და ფული მართლაც ორიოდ ნუთშიმოგვეცეს. კაფეები და სასაუზმეები მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამიტომ ლეილამ იმწამსვე ბაზრისკენ გამაქანა. სასწრაფოდ მივიდა თონის პური და ერთი ქილა არაუხანი. იქვე, ბაზრის კუთხეში მივდექი. ლეილა ამოაწობდა პურის ნატეხს არაფინიან ქილაში და თავისი ხელით მაჭმევდა. ცოტა რომ მოვექედურდი, ლეილას გაეუჯიქდი:

— ლიკა, შენც თუ არ შეჭამ, მე პირში ლუქმას აღარ ჩავიდებ.

ლეილამ დამიჯერა, პატარა ნამცეცი მოციცვნა და ვითომ ძალისძალად გაღეჭა „ჩემი ხათრით“. ეს სცენა, ჩვეულებრივ, ასე თამაშდებოდა ხოლმე. ლეილა უარობდა: — არა მშინაო, მე კი ვხვდებოდი, რომ მე მიზოგავდა და თავისთვის ერთი ლუქმაც არ ემეტებოდა. ამიტომ გაეუჯიქდებოდი და ცოტას მაინც მოვაციცქინებდი ხოლმე ჩემთვის ძლივს ნაშოვნი ულუფიდან.

შინ რომ დავბრუნდით, ლეილამ დიდედას ყველაფერი უამბო. დიდედამ ჯერ შეიცხადა და თავში ნაიშინა:

— ვაიმე, შვილო, მოგიკდეს დიდედაშენი! — შემდეგ პირი „ცეკას“ შენობისკენ მიიბრუნა

და განაგრძო: — დიდები აღარ ეყვით ამ მამა-ძალღებულებს, ესლა ბავშვებსაც შიმშილით გვიბოცავენ?! ამით კისერზე იყოს უმანკო ობლების ცოდლი!

— დიდდ, ჩუმად, არავენ მოჰკრას ყური. — ემუდარებოდა ლეილა.

— გაიგონ, რო მეზიზღებიან ეგ ჯალათები! ეგ სისხლისმამელები! ეგ არაადამიანები! ამაზე მეტი რაღა უნდა გვიქნან?! ამოგვწყვიტეს, მოგვსპეს, გაგვანადგურეს ამ სულით მღაბიოებმა! განყდა მაგათი ჯიშ-ჯილაგა და სახსენებელი ამ ქვეყანაზე!

დიდედამ გული რომ მოიოხა კომუნისტების წყევლა-კრულვით, მერე ლეილას უსაყვედურა:

— ბაზარში რომ არ გექმია ბავშვისთვის იმ ქუჩყსა და ნაგავში, განა სახლამდე ვერ მოითმენდა?! ლეილამ კიდე ერთხელ დაუსურათხატა ჩემი გულის ნასელის „უპოვეა“, მაგრამ დიდედას უკან მაინც ვერ წააღებინა თავისი ბრალდებები.

დიდედას ბოლო ხანებში ძალიან გაუფუჭდა ხასიათი. სიჯიუტე დასჩემდა და მოულოდნელი, ყოველად გაუმართლებელი რეაქციები, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ მოვლენებზე.

მხოლოდ მაშინ უნდა გვექამა, როდესაც თვითონ გვიბრძანებდა; მხოლოდ ის ტანსაცმელი უნდა ჩავგვეცვა, რომელიც მას უნდოდა. ერთი სიტყვით, სრულ მორჩილებაში ვყავდით ყველანი.

მხოლოდ ხანდახან გაეხსნებოდა გონება, აუცრემლდებოდა თვალები და დაიწყებდა თვითგვემას:

— ან თავს რად ვიტანჯავ და ან თქვენ რისთვის გიმნარებთ ცხოვრებას, შვილებო?! ჩემს სიცოცხლეს ვახტანგის, ნუსიას, ლადოს მერე რაღა აზრი აქვს?! მაგრამ თავი როგორ მოვიკლა ქრისტიანმა ადამიანმა?! რატომ არ მომსპობს და გამათავებს მალალი ღმერთი?! — იტყვოდა და ნაიშენდა თავში ხელებს. ვეცემოდით, გავაკაევდით, ვანყნარებდით, როგორც შეგვეძლო. გონს მოეგებოდა და ისევ ბოდიშებს გვიბდიდა:

— მამაკითე, შვილებო. ხომ ხედავთ, გონთ აღარა ვარ. განა მესმის-ლა რამე?! მაგრამ გაივლიდა ცოტა ხანი და იგივე ემუდარებოდა.

დიდედას ასეთი მდგომარეობის გამო ლეილა იძულებული ხდებოდა ბევრი რამ მისთვის არ გაემხილა, დაეშალა, ან სულაც ტყუილი ეთქვა. ეს კი მისთვის ახალი, დიდი სატანჯველი იყო. ჯერ ერთი, ბავშვობიდან სიმართლის თქმას იყო მიჩვეული და ადამიანს, თანაც ახლობლის მოტყუება წარმოუდგენელი დანაშაულებად მიაჩნდა, მეორეც ის, რომ მისი იძულებითი ტყუილის მოწმე მე ვხდებოდი, მისი მთავარი აღსაზრდელი. ამიტომ სულ ამას ჩამჩიჩინებდა:

— მამაკითე, შვილებო. ხომ ხედავთ, გონთ აღარა ვარ. განა მესმის-ლა რამე?! მაგრამ გაივლიდა ცოტა ხანი და იგივე ემუდარებოდა.

— მამაკითე, შვილებო. ხომ ხედავთ, გონთ აღარა ვარ. განა მესმის-ლა რამე?! მაგრამ გაივლიდა ცოტა ხანი და იგივე ემუდარებოდა.

— დიდედას ასეთი მდგომარეობის გამო ლეილა იძულებული ხდებოდა ბევრი რამ მისთვის არ გაემხილა, დაეშალა, ან სულაც ტყუილი ეთქვა. ეს კი მისთვის ახალი, დიდი სატანჯველი იყო. ჯერ ერთი, ბავშვობიდან სიმართლის თქმას იყო მიჩვეული და ადამიანს, თანაც ახლობლის მოტყუება წარმოუდგენელი დანაშაულებად მიაჩნდა, მეორეც ის, რომ მისი იძულებითი ტყუილის მოწმე მე ვხდებოდი, მისი მთავარი აღსაზრდელი. ამიტომ სულ ამას ჩამჩიჩინებდა:

— ვახუცი, ტყუილზე ცუდი არაფერია ქვეყანაზე. მე არც დედასთვის, არც მამასთვის და არც ვინმესთვის ტყუილი არასოდეს მითქვამს. მაგრამ ხომ ხედავ, დიდედას როგორა აქვს ნერვები. პატარა რამეც კი აღიზიანებს. მის გასაფრთხილებლად იძულებული ვარ, ზოგიერთ რამ დავუშალო, ან ოდნავ სხვანაირად ვუთხრა. ეს ბოროტი ტყუილი არ არის, ეს კეთილი ტყუილია, რადგან ისევე და ისევე დიდედას ჯანმრთელობისათვის არის გამიზნული.

მე ვხედავდი, ლეილა როგორ იტანჯებოდა ამ ყველაფრის გამო. მეტირებოდა, მაგრამ ლეილას არ ვაჩვენებდი. ჩაეხუტებოდი, რომ ჩემი ცრემლები არ დაენახა და მის ზურგსუკან ვტიროდი.

რასაკვირველია, დიდედაც მეცოდებოდა, მაგრამ ლეილა უფრო. დიდედამ მოხუცი იყო და როგორც თვითონ ამბობდა, მის ცხოვრებას აზრი აღარ ჰქონდა. ლეილა კი, ვგრძნობდი, რომ ახალგაზრდა იყო, მაგრამ იმ ცხოვრებით არ ცხოვრობდა, როგორითაც მისი ტოლები. მათზე უბრალოდ ეცვა, მათზე მეტს შრომობდა, მათთან ერთად კინობდა და თეატრებში არ დადიოდა. მეგობრების დაბადების დღეებსაც კი ხშირად აცდენდა ჩემი გულისთვის.

მე ეს ყველაფერი თან გულს მტკენდა, თან, რაღა დაგიმალოთ, გულში მაინც მიხაროდა, ლეილა რომ ყოველთვის ჩემთან იყო. ყველა ბავშვი ხომ მეტ-ნაკლებად ეგოისტია და მერაღა ნითელი კოჭი ვიყავი, რომ სადღაც, შიგნით ეს ჭია არა მჯდომოდა.

ლეილას უარობის მიზეზი, რასაკვირველია, თანდათანობით ყველასთვის ცნობილი გახდა და ამიტომ მას მეგობრები თუ ნაცნობ-ნათესავნი მუდამ ჩემთანად ევატივებოდნენ ხოლმე. მეც კატეხილი კოვზით ყველგან ვეჩარე, სადღაც თ ლეილას უნებდა ყოფნა.

ლეილა როგორ ახერხებდა, არ ვიცი, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ჩვენ არც ოპერისა თუ ბალეტის სპექტაკლი გაგვიცდენია და არც რუსთაველის თუ მარჯანიშვილის თეატრებისა. ლეილას ყველგან დაეყავი, მაგრამ ჩუმად, დიდედას რომ არ გაეგო.

განა დიდედამ არ იცოდა თეატრისა თუ ოპერის ფასი და მნიშვნელობა ბავშვის აღზრდისთვის, მაგრამ ეს იყო მისი შინაგანი ამბოხი, მიმართული კომუნისტების წინააღმდეგ.

— თვინიდან მამიდან სცადა ჩვენი გამოსარჩლება და დიდედას დარწმუნება:

— შენ რაღა დეგემართა, დედი, კომუნისტურ სპექტაკლზე ხომ არ მიდიანი?! რა, შექსპირის „ოტელო“ არ უნდა იცოდეს ბავშვმა?!

— დაჯდეს და ნაიკითხოს. მაგათი არც შექსპირი უნდა ჩვენს ბავშვსა და არც შილერ-მილერები! ეგ მსახიობებიც ჩეკისტები არიან! მაგათ არ მოუღეს ბოლო ახმეტელსა თუ მიქე-

ლაძეს?! მაგათ სპექტაკლებზე კარგს რას ის-  
ნავლის ბავშვი?!  
მერე მე მომიტრიალდებოდა და იმპერატო-  
რი დაყვავებით მეტყუდა:

— აგე, შვილო, წიგნები. მაგათი ტინჯიკური  
თამაში რად გინდა?! შენ თვითონ რო წაიკითხ-  
ავ, უკეთ გაგიგებ. თანაც მე შენ გეტყვი, ლადო  
ალექსი-მესხიშვილი რამოგოგა სცენაზე თუ  
ვალერიაან გუნია?! ან ოპერაში სარაჯიშვილი  
გინდერებთ თუ ქუმსიაშვილი?! კომუნისტებ-  
მა რა იციან ხელოვნებისა?! მაგათი ჯალათობა  
მოჰკითხე და უდანაშაულო ხალხის მოსპობა!  
აგრემც ეგენი მოისპენ და ჩაძალდენ დე-  
და-ბუღიანადა!

დიდდასთვის კონტრარგუმენტები არ არ-  
სებობდა. მისი სიტყვა კანონი იყო. მის ყოველ  
ფრაზას ბოლოში ძაბილის ნიშანი ესევა.

ამიტომაც დავიპარებოდით ქურდულად მე  
და ლეილა თეატრებში. მახსოვს სპექტაკლის  
დანწყობის ფრუანტლიანი მოლოდინი. ანდა  
ოპერის თეატრში ორკესტრის მზადება და ინ-  
სტრუმენტების აწყობის არათანაბარი, ნიკო-  
მაკო ხმები. მერე თავის ადგილზე დირიჟორის  
უეცარი შესულება, ჯოხის შემართვა და „კარ-  
მენის“ უფერტურის დაგუფუნება. მე ლეილას  
ჩუმად ტაოდაყრილ მკლავს ვაჩვენებდი და  
ორივენი ბედნიერები ვიყავით. ჩვენი უმწეობა,  
ოვლობა და მიუსაფრობა სადღაც იკარგებო-  
და და ვგრძნობდით, როგორ ვივსებოდით სხვა  
არსებობით, რომელიც უფრო ჭეშმარიტი იყო,  
ვიდრე ჩვენი საცოდავი რეალობა.

მე ყველაზე მეტად ის მიკვირდა, რომ თეატ-  
რების ფორცებში სახელგანთქმული მსახიობე-  
ნი ლეილას სცნობდნენ, ესაღებოდნენ და სიყ-  
ვარულით მოიკითხავდნენ ხოლმე. ხშირად თე-  
ატრის ბუფეტში ტკბილეულს მიყიდდნენ. თავ-  
ზე ხელს გადაშისვამდნენ და „გაიზარდე დიდი  
ბიჭო“ — მეტყუოდნენ. მე ვხვდებოდი, რომ ეს  
სულ მათს გამო ხდებოდა. იმასაც ვგრძნობდი,  
რომ მამე მე და ლეილა თან ვუყვარდით და თან  
ვეცოდებოდით. მაგრამ ეს შეცოდება ჩვენთვის  
რატომღაც დამამცირებელი კი არ იყო, არა-  
მედ პირიქით — საამაყო. ჩვენი უმწეობა ხაზს  
უსვამდა ამ მდგომარეობის შესაბამისობას ჩვე-  
ნი ოჯახის, მშობლების, ნინაბრების ღირსებას-  
თან. უფრო მეტიც — ჩვენ ამ დღეში სწორედ  
იმიტომ ვიყავით, რომ ისინი იყვნენ ნაშტული  
გმირები. ამიტომ ჩვენს არსებაში დამაჩანა-  
კებელ კომპლექსებს მაინც ჯანმრთელი ფსიქი-  
კა სჯობნიდა. ამიტომაც მე და ლეილას ჩვენი  
სილატაკე და მიუსაფრობა კი არ გვორგუნა-  
და, არამედ ღირსების გრძნობას გვმატებდა  
და თითქოს ვგამაყებდა კოდვც.

ამას ყველაფერს ლეილამ მიმხვედრა და  
თანდათანობით მიმარჩია იმ აზრს, რომ სილა-  
რიბე დიდი ტრაგედია არ იყო.

ერთხელ ერთ მდიდარ ოჯახში დამაბატიყეს

დედისერთა ბიჭის დაბადების დღეზე. ეტყო-  
ბოდა, იმ საწყალ ბავშვს ბაიყუმად ზრდიდნენ,  
მარტოდმარტოს, უმეგობროდ და უამხანა-  
გოდ. ბავშვები რომ დადვინახა, გაგოფდა და გა-  
დაირია. გადმოვივლიაგა მთელი თავისი ავლა-  
დიდება. სათამაშოები ჰქონდა თავზე საყრელი  
და თანაც ისეთები, ჩვენ სიზმრადაც რომ არ  
გვექონდა ნანახი. რა პედლებიანი მანქანა! რა  
ველოსიპედიები — სამთვლიანი თუ ორთვლია-  
ნი! რა ნამდვილი რკინიგზა მატარებლებით, მე-  
ისრეებით და რა ციცი, რით აღარ?! დასაქოქ სა-  
თამაშოებს ხომ თვლა აღარ ჰქონდა. ეს ის დრო  
იყო, ჩვენ, უბრალო ბავშვებს რეზინის ბურთიც  
რომ გვეწაბრებოდა. ძველი „ჩულქის“ ნაჭრილ  
თათში ლობიის ჩაყვრილით, თავს ძაღვით მო-  
უუკრავდით, იმით „აეჭაღურს“ ეკენწლავდით  
და ეს იყო მაშინდელი ქალაქელი ბიჭების მთა-  
ვარი გართობა.

აქ კი სათამაშოებს მთელი ოთახი ჰქონდა  
დათმობილი და მაინც ტყვა არ იყო. ტანკები,  
„კატიუშები“, კალისგან ჩამოსხმული და ლამა-  
ზად შეფერადებული ქვეითი თუ ცხენოსანი  
ჯარისკაცები იატაკზე ეყარა, თქვენ წარმო-  
იდგინეთ, თვით ჩამავეიცვ კი, ნაბობი, დურ-  
ბინდითა და ამონვლილი შიშველი ხმლით.

სუფრას ხომ ნუღარ იკითხავთ. ისეთი სოსი-  
სები იყო, კბილს ოდნავ რომ დაადებდი სულ  
ტკაცატკუცი გაუფიოდით. თან სულ თეთრი,  
ფუმფულა პური ჰქონდათ, შავისა ჭაჭანებაც  
კი არ იყო. ნაირ-ნაირი ფერის ხიზილალები  
ბროლის ჯამებში ედგათ, რომლებიც ვერ-  
ცხლის ფეხებიან სადგამებში იყო ჩასმული.

სართულებიანი ტორტი პირველად მაშინ  
ვნახე. შუქი ჩააქრეს და სანთლებანთებული შე-  
მოიტანეს. იმ ბიჭს შეაბერინეს და ათი სანთე-  
ლი რის ვიავთვლავით ჩააქრო.

ლეილა ჩემს ნამოსაყვანად რომ მოვიდა, ის  
ბიჭი გაგოქდა — ვახუშტის ჯერ არ ვუშვებ, ცო-  
ტახანი კიდევ იყოსო. მე გამეხარდა, უფრო იმი-  
ტომ, რომ მასპინძელი ლეილას დერეფანში  
ხომ არ მოაცდევინებდნენ, ალბათ სუფრასთან  
მიიპატიჟებდნენ და რამეს აჭმევდნენ. ამიტომ  
მეც ავეყვი ნებიერას სურვილს და ჭენაობით  
აუიკელით იქაურობა.

შინ რომ დავბრუნდით, ლეილას დიდხანს  
ვუამბობდი ჩემს აღფრთოვანებულ შთაბეჭდი-  
ლებებს. ლეილა მისმინა, მისმინა და ბოლოს  
სახვეათამორისოდ მკითხა:

— ვახულიკო, იმ ბიჭს ალბათ ბიბლიოთეკაც  
კარგი ექნებოდა, არა?

მე დავფოქრდი და მხრებაჩეჩილმა ვუპასუ-  
ხე:

— იცი, ლიკა, მე იმ სახლში წინაი არ შემიმ-  
ჩნევია.

— ალბათ სხვა ოთახში ექნებოდათ.

— არა, ჩვენ ყველა ოთახში დავრბოდით.  
იმის მამის კაბინეტშიც ვიყავით. იქ ერთადერ-

თი წიგნების კარადა იდგა. მაგრამ იმაში მარტო მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის და ბერიას წიგნები ელაგა. ნამდვილი, წასაკითხი წიგნი კი — არცერთი.

ლეილას გაეცინა, მომეფერა და საუბარი დიდაქტიკურ კალაპოტში გადაადგო:

— შენი აღფრთოვანება იმ ბიჭის სათამაშოებით ნორმალურია და გასაგები. რასაკვირველია, უმჯობესია გქონდეს, ვიდრე არ გქონდეს. მაგრამ არა ყოველთვის. გაანჩია, რაც გაქვს, როგორ გაქვს და საიდან? თუ პატიოსანი გზით, კარგია, თუ მამაძაღლობით — არ ვარგა. ვარდა ამისა, სიმდიდრეც ორნაირი არსებობს: ნივთიერი და სულიერი. ნივთიერი სიმდიდრე ნამდვილი და მყარი არ არის. დღეს შენია, ხვალ შეიძლება მოგპარონ, წაგართვან, დაგწყვას ან სულაც დაკარგო და დარჩე ხახამშრალი. სულიერი სიმდიდრე კი მუდამ შენია. შენ, მართალია, ისეთი არც სათამაშოები გაქვს, არც საჭმელი და ტანსაცმელი, მაგრამ შენ გაქვს ის სიმდიდრე, რაც წიგნებშია შენახული: რუსთაველი და ვაჟა, ილია და აკაკი, გოგლა და გალაკტიონი, ხალხური ლექსები, ზღაპრები, ტომ სოიერი და მეკლბერი ფინი, კაპიტანი ნემო და აირტონი, კოხემა და ვაგროში. ეს ყველაფერი შენია. იმათ კი ამ სიმდიდრისა არაფერი იციან. მე ის პატარა ბიჭი მეცოდება, რომ ასე დარბილად ზრდიან მისი მშობლები. ამიტომ შენ გული ნუ დაგწყდება. პედლებიანი მანქანა და ველოსიპედი კარგია, მაგრამ ჯარჯის ლექსსა და ალუდა ქეთლალურს ვერცერთი ვერ შეედრება. ხომ მართალი ვარ?

მე, რასაკვირველია, ლეილას ვეთანხმები, არა ყსიხიდად, არამედ ალაღად და ჩემსას ვუმატებ:

— იცი, იმ ბიჭმა არ იცოდა, მარტომ იდენი ვინ იყო. არც პოლი და ვირჟინი. იქ რო ერთი გოგო იყო, ის მელაპარაკებოდა წიგნებზე, იმ ბიჭს კი არ აინტერესებდა და დასცინოდა.

— აი, ხომ გითხარი, ცოდოა-მეთქი. იმ ბიჭს სათამაშოების მეტი არაფერი აინტერესებს. ისინიც მალე მოზეზრდება და აღარ ეცოდინება, რით ვაერთოს. აი, დღეს ბიბლიოთეკიდან რა წიგნი მოგიტანე: ჟული ვერნის "ხარბაზნიდან მთვარეზე." ოღონდ რუსული თარგმანია.

— ბარემ ქართულად მოგეტანა. რუსულად ჩქარა ვერა ეკითხულობ. — ავღნავლდი მე.

— ქართულად ვერ არ უთარგმნიათ. შენ დაინწყე და თანდათან გაინაწებე.

ასე გადმოდა დღეები, თვეები და წლები. მე ვიზრდებოდი, ტანი ავიყარე, სიმაღლეში დიდდვდასაც გავეუსწარი. დიდედა კი უფრო დაილია და ქვისგან გამოკვეთილ პატარა ქანდაკებას დაემსგავსა. წელში კი სხვა ბებრებივით არ მოხრალა. სულ გაჭიმული იყო და თავი ამაყად ჰქონდა აწეული. ზოგჯერ თავის თავს რალაცას ებუტბუტებოდა, თითებზე რალაცას

ითვლიდა. მამიდამ გვიოხრა, ვახტანგის პატივით რომის წლებს, თვეებსა და დღეებს ითვლისო. ასე ითვალა და ზუსტად ათი წელი რომ შესრულდა, აფორივდა. კიდევ უფრო გაუფუჭდა ხასიათი. ყველაფერი აღიზიანდა და მთელი თავისი ფიქრებით სადღაც სხვაგან იყო.

მართალია, კომუნისტებისა არაფერი სწამდა და ხშირად იტყოდა ხოლმე: — მაგათი სიტყვა და ძაღლის კუთლი ერთია; მაგრამ ქალღმერთი რომ ეწერა, ვახტანგ კოტეტიშვილი ათი წელი არის გადასახლებული, მინიც დაიჯერა. პატიოსანი იყო და დაიჯერა. თანაც ვიფი დედა იყო, გულით უნდოდა და თავი დაირწმუნა. მა რა ჯანდაბა ექნა?! სხვა რა წყალა სცემოდნენ?

და როდესაც ეს ნავეგლახარი ათი წელი უშედეგოდ მიილია და „ჩეკას“ სარკმლიდან ისეცის სტანდარტული პასუხი მიიღო, სასო წაერთვა და კიდევ უფრო მეტად გაქვავდა.

ბოლოს საჭმელიც აიკრძალა. ყველაფერზე უარობდა. ლოვინად ჩავარდა. შვილებსაც ფარ-ხმალი დააყრევინა. აღარც მამიდასი ესმოდა რამე, არც ძია გიგოსი.

— თავი დამანებეთ, ჩემი წლები საფეკავი უკვე გამოიფქვა. ეს ბული ვახტანგ ასე თუ ისე ჩავუზარდა, მუხუთო კლასამდე მოვიყვანე. დანარჩენს თქვენ და ლეილა მიხედავთ. მე აქეთ მომბრუნებული აღარა ვარ. ღმერთო, შენითა! — და სამჯერ გადაისახა პირფარა.

რამდენი თქვიმც მოუყვანეს, ყველა დაიფრინა: — მე თქვენი საფეკავნი არაფერი მჭირსო.

ჩვენი ისედაც მოღრუბული ოჯახი კიდევ უფრო მოიქუფრა. ხმა-კრინტი არ ისმოდა. ყველანი ფეხაკრეფით დაევიოდით. სკამი არ ბრაზუნებოდა, ჭურჭელი არ წკარუნებოდა, კალამი არ წრიბინებდა და წიგნი ფურცლები არ შრიანებდნენ. მუნჯური კინოს ფურცლები დავემსგავსენით, პირებს ვალეზდით და ხმა არ ამოგვიდოდა. შესტებისა და მიმიკის ენას დავეუფლეთ და ამ პანტომიმურ ყოფას ბოლო არ უჩანდა.

დიდედა ინვა ლამის შუა ოთახში და სიკვდილს ელოდა. მასთან ერთად ველოდიო ჩვენც, მთელი სანათესაო. მაგრამ სიკვდილი იგვიანებდა. და ეს გასაგებიც იყო, რადგან ხომ არ შეიძლებოდა, დიდედა ისე მომკვდარიყო, როგორც ვიღაც, ჩვეულებრივი დედაკაცი, უცებ და მოულოდნელად რომ გათავდებიან ხოლმე.

დიდედამ თავისი სიცოცხლე სულ სხვებს შეაღია: მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს. სიცოცხლე სულ გასხვისებული ჰქონდა. სიკვდილი კი დაითავისა, თვითონვე იახლა და იმსახურა, აწვალა და აწრუნუნა. მასზე იყარა მთელი თავისი ჯავრი და ბოლმა. გასაცოდავებული სიკვდილი ჩვენს კართან იდგა ატუზული და დიდედას შიშით შინ ვერ შემოდიოდა. ბოლოს ისე დალია სული, რომ ვერც კი გავიგეთ. ღამე წავიდა, ჩვენ რომ გვეძინა. გავიღვიძეთ და აღარ დავგვხვდა.

ფოფოდა ეკატერინე ბიძინაშვილი-კოტეტიშვილისა პეტრე-პავლეს სასფლაოზე ამობორცვდა თავისი მუღულის — მამა ილიას და შვილიშვილის — მანანას გვერდით.

ასე დასრულდა ერთი დიდი დედის სიცოცხლე, საოცარი ქართველი ქალისა, რომელიც ძელქვასაგით იყო ამოზრდილი ქართული ზნეობრიობის ნადავლიდან. ის თავის ფესვებზე ჩაეხლართა და ჩაებლაუჭა იმ მაღლიანი სიჯიუტით, რომელსაც კოტეტიშვილებს გვაბრალედა და ნამდვილად კი ეს თვისება ყველას მისგან მოგვედგამს დღევანდლამდე.

**მინანქრა:** დიდედ, შენი გარდაცვალებიდან ორმოცის გასვლამდე კი მოვიცადეთ, მაგრამ შემდეგ ცოტენსმანიც დავაკიდინეთ „თეფში“ რადიო, ჩაერთეთ და სიცოცხლის ხმის ნატრულებს აღარც გამოგვირთავს. იმის ხმაზე ვიძინებდით და ვიღვიძებდით. რა გვექნა?! ახალგაზრდები ვიყავით და ცხოვრება გვენყუროდა. მუსიკაც გვინდოდა და სიმღერაც, სიცილიც და ოდნავი სულის მოთქმაც. დიდედ, გვაპატიე!

**რადიო — თავისუფლება**

აღბათ მიმიხვდით, რადიოსადგურ „თავისუფლებაზე“ არა მაქვს ლაპარაკი. 1947 წელს მისი არსებობისაც კი არაფერი ვიცოდით. მე ისევ იმ „თეფში“ რადიოზე მოგახსენებთ, რომელიც მაშინ თითქმის ყველა გაჭირვებულ ოჯახში ეკიდა. შეძლებულ ოჯახებში დასადგმელი რადიოები ჰქონდათ, რომლებიც ხის ან პლასტმასის ბუდეებში იყო ჩამჯდარი და ამიტომაც, შედარებით, ძვირი ღირდა. „თეფში-რადიო“ კი მეტალის რკალზე გადაჭიმული შავი ქაღალდი გახლდათ, მასში ჩამონტაჟებული პატარა მექანიზმით, რომელიც ქალაქის ქსელში იყო ჩართული და მხოლოდ თბილისს იჭერდა. გადასახადიც უმცირესი და ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო, თუ არ ვცდები, თვეში 5 მანეთი, რაც თანამედროვე ლარების კურსით დაახლოებით ამდენსავე თეთრს უდრის.

რასაკვირველია, ამ ქსელის მემწეობით კომუნისტები შინ შემოგვისახლდნენ და ყურთასმენა ჰქონდათ ნაღებული კომუნისზმის ხარაჩოების ჭრაჭუნით თუ მშენებლობის გრუნხუნით, გაუთავებელი ტრაბახით, ხუთნღვდის ოთხ წელიწადში შესრულებით, დონბასის მაღაროებში სტახანოვის არნახული გვირობით და ჩაის პლანტაციებში თამარ ყუფუნის ფანტასტიკური წარმატებებით. ეს ყველაფერი, გაგიხარიათ, თავზე საყრელად იყო, მაგრამ ზოგჯერ ხომ კლასიკურსა თუ ხალხურ მუსიკასაც გამოიმეტებდნენ ხოლმე, ჭქმშარიტი

ლიტერატურისა თუ სხვა სულისმომკრთობელი ლოზუნგებიც ხომ გაეპარებოდათ ხოლმე თავისდაუნებურად და ჩვენისთანა გამოზიარებული მსმენელისთვის ეს მცირედიც კი უკვე დიდი დღესასწაულის ტოლფასი იყო.

მარო თარხნიშვილი ხმას რომ ჩაახვერდებდა: — „დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან“-ო, ერთმანეთს შიშველ მკლავებს ვუჩვენებდით ხოლმე — დახე რა დღეში მაქვს ბურძგლებიო.

ხან დები იშხნელები გაგვნაბავდნენ, ხან დათა გაემრეკელი თუ სანდრო ინაშვილი, დავით ანდელუაძე თუ პეტრე ამირანაშვილი, ნადეჟდა ხარაძე თუ აკაკინებულ-აბულბულეული მერი ნაკაშიძე.

უშანგი ჩხეიძის ზებუნებრივი ხმის გაგონებაზე სულ ელეთ-მელეთი მოგვდიოდა.

ხალხური სიმღერების ანსამბლებს ხომ ნუღარ იკითხავთ: ფოცხვერაშვილიო, კირილე პაჭკორიაო, ერქომაიშვილიო, სიმონიშვილი-ბერძენიშვილებიო, მეგრელიძის მეჩინგურე ქალთა ანსამბლიო და რა ვიცი, ვინ აღარ...

ხან გალაკტიონი აათრთოლებდა თავის სტრიქონებს, ხან გოგლა ჩაამაჭრებდა თავის ბუხუნა ხმას, ხან სოსელიო გაჭიმავდა თავის ლექსების „გარმონს“ და ვუსმენდით სულგანაბლებში, მშვირები, მწყურვლები, გათოშინებები, მაგრამ მაინც ბედნიერები სიცოცხლის წყურვილითა და ნიჭით, რასაც მაღლიანი ინდოლეები „პრანას“ ეძახიან.

დილით მუეძინივით ჰიშნის ხმა გვაღვიძებდა. მერე დავით ძიგუა და ქეთო ლანდია მოგვესალმებოდნენ. როგორ გვიხაროდა მათი ხმის გაგონება! სცოდნოდათ მაინც იმ დალოცვილებს, როგორ გვიყვარდნენ ისინი. რადიოს პროგრამა სულ გვიყვარდა ვიცოდით. კომუნისტურ ბაქი-ბუქს, რასაკვირველია, არ ვუსმენდით, მაგრამ საინტერესო გადაცემებს კი არ ვუშვებდით.

დიდედას გარდაცვალების შემდეგ ლეილამ ჩვენს ბიძაშვილ ელისოს სთხოვა, ცოტა ხნით ჩვენთან გადემოსახლებულიყო. ელისო სიხარულით დაგვეთანხმდა. 46-ე ქალთა სკოლა, სადაც ელისო სწავლობდა, ჩვენს გვერდით იყო. თანაც იათოს დიქტატურისგან თავის დაღწევაც ერთ რამედ ღირდა. საქმე ის გახლდათ, ძალო ნინაანთ მხოლოდ ერთი უზარმაზარი ოთახი ჰქონდათ. ის იყო სასტუმროც, სასადილოც, დასაძინებელიცა და სამუშაო კაბინეტიც. ამ ერთადერთი ოთახის გამგებელი თუ ბოქაული იათო იყო. როცა ის მეცადინებოდა, არა და ის სწავლის გარდა არაფერს აკეთებდა, ოთახში ბუზს არ უნდა გაეჭაჭანა, სამარისებური მდუმარება უნდა ყოფილიყო. მხოლოდ იათოს ხმა ისმოდა. როცა ქართულს, რუსულს თუ გერმა-

ნულს სწავლობდა, მისი ხმამაღალი დეკლამაცია ასე თუ ისე გასაგები იყო, მაგრამ ქიმიოფიზიკას და მათემატიკას მხატვრული კითხვა და ინტონაციების ცვლა რად უნდოდა, ამას, იათოს გარდა, ვერაგინ ხვდებოდა.

ერთადერთი ხეირი, რაც ელისოს ჰქონდა იათოს მხრიდან ის გახლდათ, რომ მომავალი წლის სასწავლო პროგრამა ელისომ უკვე წინასწარვე იცოდა ზემორად, ვინაიდან იათო ელისოსზე ერთი კლასით წინ იყო. ამიტომ თუ იათოს ფრიადოსნობა ტიტანური შრომითა და ოფლით იყო მოპოვებული, ელისოსთვის ლანგრით იყო მორთმეული. იათო ისეთი ხმით გაჰკიოდა ხოლმე თავის ვაკეეთილებს, რომ მათ მეზობელ ებრაულ-სომხურ ოჯახებს ქართული ოდნავ უკეთ რომ სცოდნოდათ, ისინიც, აუცილებლად, ფრიადოსნები გახდებოდნენ.

ერთი სიტყვით, იათო ქალაქში პირველ მოსწავლედ ითვლებოდა, ხოლო დედამისი, ძალო ნინა, მუბლზე თითს მიიღებდა ხოლმე და ღიმილით დაასკვნდა: **Она ненормальная!**

ყოველივე ამის გამო გასაგებია ელისოს მხრიდან ის დიდი სიხარული, რაც ლელას წინადადებას მოჰყვა.

გახარებულმა ელისომ დასტაცა ხელი თავის არც თუ იმდენად მდიდრულ გარდერობს, რომელმაც, ფუთა რა სათქმელია, ერთი პატარა ბოხჩაც ვერ გაავსო, ამოიჩლიავე თავისი წიგნები და ჩვენთან სულ ფრენა-ფრენით ამოსახლდა.

მე დიდი აღფრთოვანებით შევხვდი ამ ამბავს. რასაკვირველია, ჩემთვის და ნანასთვის იდეალური იქნებოდა, ნანა გადმოსახლებულიყო, ვინაიდან ჩვენ ტოლები ვიყავით, მაგრამ ჩვენი უფროსები, ბუნებრივია, ასეთ სისულელეს არ ჩაიდებდნენ. ელისოს ჩვენთან დაბინავება ბევრი რამით იყო გამართლებული:

პირველი: დიდებას გარდაცვალების შემდეგ თითქოს და დაცარიელებულ სახლში ლელას ხმის გამცემი და მხარში ამომდგომი ეყოლებოდა. თანაც ისეთი განონასწორებული, კორექტული და საოცრად ზრდილი გოგონას სახით, როგორიც ელისო იყო.

მეორე: მე, უკვე მეექვსე კლასელ, მაგრამ ლამის ორმეტრიან, გაქსუებულ და სწავლაზე გულაყრილ ოცლაყს ყოველდღიურად თვალწინ მექნებოდა ნიშუმი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბეჯითი, მოწესრიგებული და ყოველმხრივ უზადო მოსწავლე.

ელისოს შემოჭრას ჩემი აკადემიური მოსწავლის ფურცელზე დიდი კვალი არ დაუტოვებია, მაგრამ ჩემი მანამდელი ცხოვრება რომ ძირეულად შეიცვალა, ეს ამკარა იყო.

ელისო, რასაკვირველია, ნანა არ იყო, რო-

მელთანაც შემეძლო მელლაბუცა, მეგობარ და ყირაზე დამეყენებინა სახლი. ის ჩემზე ხუთი წლით იყო უფროსი, 17-18 წლისა, ლამაზი, ჭკვიანი და დარბაისელი. მის გვერდით ტუტუცობას ვერ ჩაიდენდი. თანაც მას ჰყავდა არაჩვეულებრივი მეგობარი გოგონები, რომლებიც ასევე პატივისცემას იმსახურებდნენ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მანანა დოლაქიძე — უკეთილშობილესი ოჯახის შვილი, ჭკვიანი, განათლებული, მსხვილლინზეზიანი სათვალით, რაც განსაკუთრებულ ინტელექტუალურ იერს ჰმატებს ხოლმე თავიანთ პატრონებს. მანანა, ამასთანავე, ჯიჯარი იყო. ჩემს სწავლას დიდ ყურადღებას არ აქცევდა და უფრო განათლებას ანებებოდა, რაც მე ძალიან მაწყობდა. მანანას ჩვენთან ხშირად მოჰყავდა თავისი ძმა არიკო, რომელიც ჩემზე ერთი წლით იყო უფროსი. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა ჩემთვის, დიდებას ხელში კარჩაკეტილად გაზრდილი ბავშვისთვის, დიდი ბედნიერება იყო.

ვკითხულობდით წიგნებს, ვმსჯელობდით და ვკამათობდით, არც თამაშსა და გართობას ვიკლებდით.

ელისომ და მანანამ მასწავლეს ისეთი თამაშები, რომლებშიც ტვინის გაფხაჭუნება იყო საჭირო. პირველად გამოცეხული ვიყავი, რა სისწრაფით ავსებდნენ გრაფებს ერთ ასოზე: სახელმწიფოს, ქალაქს, მდინარეს, ცხოველს, მცენარეს, გამოჩენილ ადამიანს, ნაწარმოებს და სხვ... მაგრამ თანდათანობით მეც გავიწაფე და ლამის ვაგეუთანაბრდი. ერთად ვავსებდით კროსფორდებს. ქალაქობანას რუსულად ვთამაშობდით, ვინაიდან ქართულად თითქმის ყველა სიტყვა „ი“-ზე მთავრდებოდა.

ელისომ და მანანამ, თავიანთი თავდაჭერილობით, ზნეობრივი სიმაღლით და დახვეწილობით, კიდევ ერთი რამ მასწავლეს, რაც, ჩემი აზრით, იმ ასაკში ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო, სახელდობრ, ქალისადმი რაინდული, ჯენტლმენური დამოკიდებულება.

იმ დროს გამოვიდა ქართული ფილმი „ქეთო და კოტე“. ვინც იმ დღეებს არ მოსწრებია, ის ბოლომდე ვერ გაიგებს ამ კინო-სურათის მთელ მნიშვნელობას. ეს ხომ ავქსენტის ცაგარლის „ხანუმას“ თუ ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს“ ამ უკვდავი ვოდევალის ეკრანიზაცია არ იყო მხოლოდ. ეს იყო ოაზისი სულიერების უკაცრიელ უდაბნოეთში, რასაც წარმოადგენდა ომისშემდგომი საბჭოთა კავშირი, ე.წ. „სტალინური დიადი ეპოქა“, რომელსაც აცაცისკროუნებდა ლავრენტი ბერეიას პენსენადან ასხლეთილი ათინათი.

კომუნისტური „ხელოვნების“ სტერეოტი-

პულ კალეიდოსკოპში ეს ფილმი, თავისი რომანტიკით, მუსიკალური გაფორმებით, ქალაქური იუმორით და ნორმალური ადამიანურობით საოცარი შეება იყო და სულს მოთქმა. ყველამ, რასაკვირველია, რამდენჯერმე ვნახეთ ეს ფილმი, მაგრამ იმან, რაც ელისომ და მისმა მეგობრებმა მოიმოქმედეს, ყოველგვარ ასტრონომიულ საზღვრებს გადააჭარბა.

საქმის ვახლდათ, რომ 17-18 წლის მოჩიტიული გოგონებისათვის ეკრანზე ამდენი მომხიზველი მსახიობის ნახვა კიდევ სხვა რამეს ნიშნავდა. ზოგს ბათუ კრავიშვილი შეუყვარდა, ზოგს ედიშერ მალალაშვილი. ზურაბ ლეჟავას და გოგი გელოვანის ყარაჩოლული მანერები და მათ მიერ ნამღერი „გინდ მეძინოს“ ხომ ქალიშვილებს ჭკუას აკარგვინებდა.

ელისოს და მის მეგობრებს ყოველ საღამოს უნდოდათ ამ ფილმის ნახვა. მარტოკებს კი ურიდებოდათ ღამის სენსებზე სიარული. თან მე მიმართედნენ, ვითომ კავალრის რანგში. მიუხედავად იმისა, რომ კინოში ღამე 18 წლის ასაკამდე ბავშვებს არ უშვებდნენ, მე ჩემი ანონილი ტანის გამო არავითარი პრობლემა არ მექმნებოდა. „ქეთო და კოტე“ ჩვენი გოგონების წყალობით იმდენჯერ ვნახეთ, რომ მთელი დღილოგები ზეპირად ვიცოდით. შინ ვიღაც ნამოხროდა რაიმე ფრანსას, დანარჩენები ავეყვებოდით და ინყებოდა ზეპირი ინსცენირება. ყველაფერ ამას, რასაკვირველია, ისტერიული სიცოცხლ-ხარხარაც ახლდა, რაც ჩვენს საცოდავ ყოფაში დიდი შეღავათი იყო.

### „ახალგაზრდა გვარდია“

მეორე ფილმი, რომელმაც ჩვენს თაობაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა, ვახლდათ ფადევეის რომანის ეკრანიზაცია „ახალგაზრდა გვარდია“, რომელშიც ნაჩვენები იყო ომის საშინელი დღეები და კომკავშირლების ოლეგ კომსოვოს, ულიანა გრომოვას, სერგეი ტიულენინისა და სხვათა გმირობები.

მაგრამ ჩემი საუბრის თემა ამჯერად სულ სხვა ვახლდათ, რაშიც მალე დარწმუნდებით.

ელისოსა და მანანა დოლაქიძის შემოჭრა ჩემს ცხოვრებაში, ბუნებრივია, ჩემს სამხაკაცოს ვერ ჩამომაშორებდა. ოთარ კუპატაძე ისევ და ისევ ჩემს უპირველეს მეგობრად მიმაჩნდა და მასთან ყოფნას არაფერი შეედრებოდა. მაგრამ უცებ, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, შეიქმნა უცნაური სიტუაცია. ოთარ კუპატაძემ სადღაც დაინყო გაუჩინარება. რომ ვკითხავდი, სად იყავი-მეთქი, გაურკვეველად მპასუხობდა. საქმე ის ვახლდათ, რომ ოთარი

არაჩვეულებრივად გულმართალი ბიჭი იყო და ტყუილის თქმა არა თუ არ ეხერხებოდა, დაუშვებლად კი მიაჩნდა. ამიტომ ჩემი ჩაცმებული შეკითხვები მკვახედ შემამყვეტინა:

— უხლა ვერ გეტყვი, მოვა დრო და გაიგებ.

ამ უცნაურმა პასუხმა კიდევ უფრო მეტად გამაგიჟა. მაგრამ ოთართან ღრიჭის არავითარი აზრი არ ჰქონდა. ის თუ ვირზე შეუდებოდა, გააჭენებდა კიდევ. ამიტომ გავჩუმდი რაღაც დიდი საიდუმლოს მოლოდინში.

ბოლოს და ბოლოს ეს დღეც დადგა. ოთარი მოვიდა და მითხრა:

— ადე, ჩაიცი, სადღაც უნდა ნავიდეთ. თან შენი „სამაკატაკა“ ნამოიდე.

ვიცოდი, ოთართან ზედმეტი შეკითხვები უადგილო იყო. რაც მითხრა, ყველაფერი უსიტყვოდ შევასრულე და ნავედით ჩემს „ზღაპრულ ტრანსპორტზე“ ამხედრებულნი.

აქ აუცილებელია მცირე ექსკურსი, რათა თანამედროვე ახალგაზრდა მკითხველი გაერკვეს საქმის ვითარებაში.

ჩვენს, ანუ ომისდროინდელ ბიჭობაში, როდესაც, როგორც ადრეც მოვახსენეთ, ყოველგვარი სათამაშო, თვით ბურთიც კი სანატრელი იყო, გაჩნდა ველოსიპედისა და პედლებიანი მანქანის შემცველი „საკატაკო“ საშუალება, საერთაშორისო სიტყვა „სამაკატაკა“ ერქვა. ეს „სამაკატაკა“ ორი სახისა იყო: დასაჯდომი ანუ სამბორბლიანი და დასაადგომი ანუ ორბორბლიანი. დასაჯდომით, ბუნებრივია, მხოლოდ დამმართზე შეგეძლო დაგორება. დასაადგომის უპირატესობა კი ის იყო, რომ ვაკეზეც შეგეძლო სიარული. ცალი ფეხით იდევნი და ცალით კი ლალად უბიძგებდი. ბორბლებად ჩვეულებრივ ბურთულა-საკისრებს იყენებდნენ, რასაც ასევე საერთაშორისო სახელი „პაჩენიკები“ ერქვა. ამ უკანასკნელთ ისეთი შემზარავი გრუნუნ-გრიალი გაუღიოდათ, რომ ქალაქის ყველა ქუჩაზე ყურთასმენა იყო ნაღებული.

„სამაკატაკა“, რასაკვირველია, ჩემს ოცნებადაც იქცა. ასეთი საქმისთვის კი ვის მივადგებოდი ჩემს მამიდაშვილ ცოტნეზე უკეთესს. მისი ხელიდან ხომ ყველაფერი გამომდიოდა. მეც მას ავეტორლიალე ღნავილით, „სამაკატაკა“ გამიკეთე-მეთქი.

ცოტნეს შუბლი შეეჭმუნდა და რალაცაზე ჩაფიქრდა:

— მოიცა, მე მგონი ჩემი ძველი „სამაკატაკა“ არ გადავიგვადია და კიბის ქვეშ უნდა იყოს სადღაც შეტენილი. თქვა ცოტნემ და ძია გიგოს კიბის ქვეშ ატირული სარაიის კარი გაშალა. დიდხანს იქეჯა ძველ ხარა-ხურებში და ბოლოს გამოძვრა დამტვერილ გამურული

და გამოათრია „სამაკატკა“ კი არა, რალაც სა-  
ოცრება. იმას არც „მერსედესი“ შეედრებოდა,  
არც „პორშე“ და არც „სიტროენი“.

— ნახე, რა არი, ნამდვილი „ჰარლეი“ მე და  
ჩემმა მზემ! — თქვა ცოტნემ და ახლადაღმო-  
ჩენილი, განათხარი ტრანსპორტის წმენდას  
შეუდგა.

მე პირდაღებული შევეყურებდი. ეს იყო არა  
ხის, თვითნაკეთი გაუგებრობა, არამედ მეტა-  
ლისგან ქარხანაში ჩამოსხმული სერიოზული  
სატრანსპორტო საშუალება, საჭეზე კაუჩუკის  
სახელურებით და, რაც მთავარია, ნამდვილი  
ბორბლებით, რომლებზედაც რეზინის საბუ-  
რავები იყო ნამოცმული. მე თვალეებს არ ვუფე-  
რებდი. ცოტნეს შეეხატი და მადლობის ნიშნად  
კოცნა და ჭიდაობა დაეწყო.

ცოტნემ დამამოშმინა:

— დამაცადე, დაეზეთო, რომ ბორბლებმა  
არ იჭრიალოს.

რის ვაი-ვაგლახით დავაცადე. ერთი სული  
მქონდა, მოვხტომოდი ჩემს მერანს და პერი-  
ნი! ეს მომენტიც დადგა. ისე გასარიალდა ის და-  
ლოცვილი, რომ ხმა მეც კი არ მესმოდა.

აი ასეთი განძის პატრონი შევიქენ ცოტნეს  
წყალობით და, ბუნებრივია, ჩემზე ბედნიერი  
ცისქვეშეთში არავინ მეგულეებოდა.

ოთარმა სწორედ ამ „სამაკატკაზე“ მითხრა,  
ნამოდი და თან ნამოიდეო. მე ვიფიქრე, „კატა-  
ობა“ უნდა-მეთქი, მაგრამ რას წარმოვიდგენ-  
დი, რომ ჩემს „მერანს“ განსაკუთრებული რო-  
ლი უნდა ეთამაშა ჩემს მომავალ ცხოვრებაში.

მე და ოთარი ერთად, მართალია გაჭირვე-  
ბით, მაგრამ მაინც ვთავსდებოდით ჩემს „სამა-  
კატკაზე“. ორიოდ წუთში უკვე დანიშნულების  
ადგილას ვიყავით, კონსერვატორის უკანა  
სახლის ეზოს ჭიშკართან. იქ ცხოვრობდა ჩვენს  
კლასში ახლადგადმოსული ნუკრი შავგულიძე,  
შვილი ყველა ჩვენგანისთვის სათაყვანებელი  
მსახიობის გიორგი (ფორა) შავგულიძისა.

ოთარმა მხოლოდ ახალადა შემაზახადა:

— ნუკრიმ „ახალგაზრდა გვარდია“ ჩამოაყა-  
ლიბა, საიდუმლო ორგანიზაცია, რომელშიც  
ახალ წევრებს ძალიან ძნელად იღებენ. შენი ში-  
ლება არ უნდოდათ. ამბობდნენ ეგ სუსტი ჩანს,  
ტყვედ რომ ჩავარდეს, ნამებას ვერ გაუძლებს  
და ყველაფერს დაფქვავსო. მე დიდახან ვარ-  
ნმუნე, რომ „სლაბაკი“ არა ხარ და ბოლოს და-  
ვითანხმე. თანაც ისა თქვეს, რომ მაგას კარგი  
„სამაკატკა“ აქვს და „სვიაზისტად“ გამოგვადა-  
გებაო.

მე გული ამჩიუყდა. მივხვდი, ოთარი სადაც  
იკარგებოდა ხოლმე და ვერ მეუბნებოდა, ვი-  
ნიდან სამხედრო საიდუმლოებას ხომ ვერ

გამანდობდა. არა და საწყალს თურმე რამდენიმე  
უწალიჩია, რომ მეც მიველეთ და აქაც ერთად  
ვეყოფილიყავით.

ამ შემზადების შემდეგ რალაც კიბეებზე  
ვიძრომიალეთ და თავი ძველი სახლის უზარმა-  
ზარ სხვენში ამოვყავით. იქ ზოგიერთი ჩვენი  
კლასელი და ზოგიც ნუკრის მეზობელი ბიჭე-  
ბი იყვნენ, ყველანი ამ ორგანიზაციის „ძველი“  
წევრები.

ნუკრიმ კრება გახსნილად გამოაცხადა.  
დღის წესრიგში ორი საკითხი იყო:

1. მოსალოდნელი ომის სამიშროება და ჩვე-  
ნი ორგანიზაციის ამოცანები და

2. ახალი წევრების (ანუ ჩემი) მიღება.

პირველ საკითხთან დაკავშირებით ითქვა,  
რომ განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს უცხო  
ქვეყნიდან შემოგზავნილ მშობონთა აღმოჩენა  
და მათთვის კონსპირაციულად თვალყურის  
დევნება, რათა თავიდან იქნეს აცილებული  
ჩვენი სამშობლოს ოკუპაციის საფრთხე.

მე კარგად ვერ გავიგე მტერში ვინ იგულის-  
ხმებოდა, კონკრეტულად რომელი ქვეყანა,  
მაგრამ ხმამაღლა არ ვიკითხე, ვაი თუ გაბრაზ-  
დნენ, ეგ როგორ არ იციო და აღარ მიმიღონ-  
მეთქი. თანაც გუმანიტი მივხვდი, რომ ეს უფრო  
ომობანას ახალი ვარიანტი იყო, „ახალგაზრდა  
გვარდიის“ სულისკვეთებით გამდიდრებულად  
და ისევ დუმილი ვამჯობინე. ჩემთვის ხომ მთა-  
ვარი ის იყო, სადაც ოთარი იყო, მეც იქ ვყოფი-  
ლიყავი. ბოლოს ჩემი მიღების ჯერიც დადგა.

ოთარის რეკომენდაციით წარვდექი შტაბის  
წინაშე. დამისვეს შეკითხვები, რომელთაგან  
შემათვრესი იყო, გაეუძლებდი თუ არა ნამებას.  
მე სიგარეტს მოვუკიდე, კარგად გავაღვივი და  
ხელის ზურგზე ცერისა და საჩვენებელი თითე-  
ბის ძირას ჩავჭყლიტე. საშინლად ამეწვა, მაგ-  
რამ სახეზე არ შევიმჩინე. ასეთ „გმირობებში“  
ჩემთვის ნავარჯიშალი ვიყავი და მოთმენა არ  
გამჭირვებია. ამან იმოქმედა. კაცად ჩამთვა-  
ლეს და მიმიღეს. თანაც ჩემს საამაყო „სამაკატ-  
კას“ დიდი ინტერესით ათვალეიერებდნენ.

სხდომის დასასრულს „სამხედრო საბჭოს  
წევრებმა“ რამდენიმე წრე დარტყეს ჩემი სატ-  
რანსპორტო-საკომუნიკაციო საშუალების შე-  
მონშების მიზნით.

ასე გავხდი საიდუმლო ორგანიზაციის წევ-  
რი ჩემს სიცოცხლემე პირველად და უკანას-  
კნელად.



გოგონიძე

ხოსბერი

### შაშინახე, დაელო მიწავ!

შენი სხეული ჩემ სხეულზე უფრო გამძლეა, ამიტომ ჩემს ძვლებს შენ გაბარებ სიკვდილის მერე.

როცა ჩემს თვალებს ცის ნათელი დაეკარგებათ,

როცა ჩამოვლენ ჩემ წილ საწუთროს,

როცა ჩემ მუხლებს შენზე დგომა არ შეეძლებათ,

როცა ჩავეკრები, სამძღორსიქით გადავხდები.

გაიხსენი, გაიხსენი ეგ საკინძე და მიმიღე, მიმიღე და შემიწახე, შენ ხომ დედასავით გულუხვი ხარ, დედაჩემის გულიც ხომ შენთან

არის, დედაჩემის მუხლებიც ხომ შენს უბეჭმანავია. მეც მანდ მამყოფე, მაგრძნობინე მაგ გულის ფეთქვა.

გაიხსენი დამძივებოვით ჩაიკრიფე მაგ უბეჭმში ჩემი ძოღმანი.

ვინ დამაყენა შენს ბეჭებზედ, ვინ მომცა სახე, ვინ გამიმაგრა ეს მუხლები, ძვალი ძვალზე ვინ შემომადგა.

ვინ მოახვია ჩემ ძვლებს ეს ხორცი.

ვის სამსხვერპლოზე ვანთივარ სულით.

რად ახვევია ჩემს არსებას ეს საწუთრო წილივით მღვრიე.

ეს ყოველივე რატომ ხდება, ან რაც არ ხდება, რატომ არ ხდება. სულს ვინ მინუნავს, ვისი გონით გონიერობს გონი.

ვისი ხელია, მინას რომ თხრის და თავისივე ძვლებს ასამარებს.

მე მესმის შენი იდუმალი ამოძახილი:

— გაჩუმდი! — რომ ამომძახი.

— ღმერთის ნებაა!

იყო ნება ღვთისა და არარისგან იქმნა რაობა.

იყო ნება ღვთისა და რაობა იქცა არარაობად.

შეეთვისა და განეთვისა:

ცეცხლი შაერს, შაერი წყალს, წყალი მინას...

დავიბადე!

აჰა, მოვედი ზენაარო, შენს საუფლოში:

— სად ვინა ხართ, გამოიხედეთ!

მე არავინ შემეხმინა და ვიდრე გონების თვალს აღმიხეულდი, ეტკებოვდი შენით.


ჩემი სხეული შენივე აღივსო და მეც ისევე დამემართა, როგორც უცხო ადგილზე მოხვედრილ დამშეულ მგზავრს ემართება-ხოლომე, რომ მოისვენებს, ხორცს რომ გაიძღვებს, მერედა ძიობს მისი სული გულუხვ მასპინძელს.

მე შენ გეტებდი.

გეტებდი მანამ, სანამ შენ თვითონ არ ჩამოსწვდი ჩემ გულ-გონებას:

— ყველაფერი ღვთის წილია და ყველაფერში ღმერთი სულდგმულობს.

შენც ხომ ღვთის წილი ხარ, დედამინავ!



შენი სხეული ჩემ სხეულზე უფრო გამძლეა, ამიტომ ჩემს ძვლებს შენ გაბარებ სიკვდილის მერე.

მე სანთელს ვგავარ, შენს ბეჭებზე ორი ფერის ტაბლაზე ვინჯი: დღისით და ღამით.

უფლის განგებით სავსე არის ორივე ტაბლა:

ღამე სიზმრებით, ხოლო დღისით სახიერი ცხადი ხილვებით.

ჩამოდგა ჩემი დღის ტაბლაზე ჩაქრობის ჟამი,

ღამის ტაბლაზე მოსალხენად მიდის უფალი.

მე ვიღვენთები და შემოქმედს წყვილადს ვუნათებ, რომ დღის ტაბლიდან სახიერი სიზმრეულში გადაიტანოს...

და სული ჩემი ჰგავს ქარბორბალას, ტრიალებს ჩემში და რაც მოაქვს, მოაქვს ისევე.

\*\*\*

შენი სხეული ჩემს სხეულზე უფრო გამძლეა, ამიტომ ჩემ ძვლებს შენ გაბარებ სიკვდილის მერე.

როცა ჩემს თვალებს ცის ნათელი დაგეგარებდათ,

როცა ჩამოვლევ ჩემ წილ სანუთროს,

როცა ჩემ მუხლებს შენზე დგომა არ შეეძლებათ,

როცა ჩაექრები, სამძღორს იქით რომ გადავხდები,

გაიხსენი, გაიხსენი ეგ საკინძე და მიმიღე მე.

მიმიღე და შემინახე, შენ ხომ დედასავით გულუხვი ხარ, დედაჩემის გულიც ხომ შენთან არის, დედაჩემის მუხლებიც ხომ შენს უბეში აწყვია. მეც მანდ მამყოფე, მაგრძნობინე მაგ გულის ფეთქვა...

გაიხსენი და მძივებით ჩაიკრიფე მაგ უბეში ჩემი ძოღმანი. მე რომ ჩამომძახებენ.

— მიწა ხარ და მიწად იქეც!

— მიწა ხარ და მიწად იქეც!

აი ეგ სიტყვები დაიჭირე, შიგ ჩემი ძვლები გამოხვიე და შემინახე, რომ არ დაგეკარგო. გამომალიქისთავე, რომ შემდეგ, როცა დაგჭირდე, ადვილად გამომხსნა.

შემინახე, დედაო მიწაე!



ზაზა ქინკლაძე და გოდერძი ჩოხელი. სოფ. ჩოხი 1980 წ. ზამთარი



გოდერძი ჩოხელი და ეთერ თათარაიძე, სოფელი დანო, თუშეთი 1980 წლის ივლისი.

## „ნათელშის იანები!..“

კიდევ ერთი ვარსკვლავი მოსწყდა ქართული მწერლობის ცის კაბადონს, მაგრამ მიწაზე კი არ დაემგა, არამედ ზეცაში აიჭრა მარადიული ნათებისათვის, რამეთუ „ცასწავალას“ ავტორი მიწის შვილი ხორციელად იყო, თორემ მიწის სული სიცოცხლეშიც ცას სტუმრობდა ხშირად. განსაკუთრებით გუდამაყრის ხეობაზე დაფარუატივდა, მშობლიური ჩოხის თავზე შეყოვნდებოდა, მაღლა უფალსა და წასულ მთიელ წინაპრებს ესაუბრებოდა, დაბლა დედის საფლავს ათბობდა ცრემლით... მარადიული ხილვები ჰქონდა, ხილვები საზღაპრეთისა...

„ადამიანთა სევდის“ ავტორს ამქვეყნიური უადამიანურობა ადარდებდა — საქართველო სტკიოდა, სულეთთან მოსაუბრეს უსულოთა თარეში ანუხებდა მამულში...

ნერვოზი არა, ნერვთა შეთრთოლება ჰქონდა ყოველნამიერი...

იტანჯებოდა...

დაქრილი ხევისბერივით კენესოდა...

ქართული ანბანიოდა და სიტყვებით აგებდა ციხე-კოშკებს, თამარის ხიდებს, სულეთის კიდობნებს, ბედისწერის თეატრებს, გუდამაყრის მატარებლებს, უძლეველ მეომრებს ივერიის დასაცავად, ქართული სულის გადასარჩენად...

მიცვალებული გოდერძი როცა ვნახე, ვეამბორე შუბლზე და გამახსენდა მისი მოთხრობიდან: „მკვდარი იყო, მაგრამ არც მკვდარი ეთქმოდა, სახეზე სულ ბედნიერების აღმური ასლიოდა“...

ცოცხალი ბოლოს მე და ტარიელ ხარხელაურმა მოვინახულეთ. შამპანური გაგვისხნა, ხმელი პურისა და ყველის ნაჭერი მოიძია. გაიხარა... „დედის“ წიგნზე მელაპარაკა მაღლიერებით. მერე სამივემ დედისა და უკვდავების სადღეგრძელო შევესვით, სულეთში მყოფნი და აქ მყოფნი ერთად ვადღეგრძელებთ.

„ესლაც შენი მოთხრობა გამახსენდა ძმაო! „სულ-ხორცის გაყრა და დედის დალოცვა სულეთის ქვეყანაში მიმავალი შვილისა.“ კიდევ კარგი, დედაშენმა არ ნახა შენი სიკვდილი...“

„მოხუცმა ცრემლები მოიწმინდა. კარადიდან თავლის სანთელი ამოიღო და აანთო.

შვილმა დედას შეხედა.

დედამ კი ასე დაითხოვა შვილი:

— დამითხოვიხარ, ნულა შემომბირი, გამპორდი დედაშვილობით (ქალი სულეთის კაცებს მიუბრუნდა: წაიყვანეთ, ნუ დაგენანებათ, ოღონდ მშვიდობის გზებით ატარეთ).

ნადი დედაო, გაჰყევი, ნურცარა შევაშინებს, ნუმც დამიღონდები, მალედამც შეაყრე-

ბი შენ სწორთ. უდებობით ნუ იტირებ. გაჰყევი შვილო, მაინც არ გწირავენ; მე დამითხოვიხარ, ჩამიბარებიხარ სულეთის კაცთათვის. გიყვარდა ყველაი, მაგრამ ეხლა უნდა გასწიო. თუ რამეში შესცდი: ხელით, ენით, თვალით, სუ ყველაფერიმც გეპატიოს, ცოდედად ნუ გადაგხდები.

ნადი, ჯვარი გენეროს. ალაღიმც არის შენ-ზეჩემიამავი. მე დამითხოვიხარ, უნდა გავიყაროთ დედა-შვილობით; სულეთის ღმერთიმც ჩაგებარებს, ისიმც დაგაყენებს ნათელს. მშვიდობით, ჯვარი გენეროს, ნათელშიმც იქნები!“

შენ, ჩემზე ბედნიერი ხარ გოდერძი! მიეხალე დედას სულეთში!

სამთავროს მონასტრის დედების თავლის სანთელი და ლოცვა-ცრემლი არ მოგაკლდება!

ნათელშიმც იქნები!

ვაჟა ოთარაშვილი

\*\*\*

(გოდერძი ჩოხელს)

ჩემს ფიქრებს თეთრი ფერი ერევა, ფერი, რომელსაც ნიადაგ ვლოკდი, თავი მოიკლა?!  
სისულელეა! —

ვერც ეს გზა აგყრის პოეტის ბორკილს. არა!

არ არი არც ეს გზა სრული, ქარებსაც ბევრჯერ ვეწე, ვესალმე... არის სიკვდილი და არის სული — მაგრამ არსებობს სხვა გზაც — მესამე...


იქ უნდა დადგე, სადაც მზეების უზარმაზარი ლანდი დაირხა, არა?! —

მონა ხარ საშინელების, თავს რალად იკლავ, ისეც მკვდარი ხარ. ძმაო, მოგბლავი, ძმაო, მოგკივი, შენს ბებერ სისხლში ჟრჟოლვად გავივლი, სიცოცხლე მითხარ, თორემ სიკვდილი წარმოუდგენლად არის ადვილი.

ტარიელ ხარხელაური



აღდგომის ტაძარი. მაცხოვრის საფლავთან, 1981 წელი



ქრისტეშობის 2000 წლისთავი, ღვთისმშობლის საფლავთან

### ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:  
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას №42; ტელ: 37-61-53,  
შპს „ინფო 2007“ გ. ცაბაძის №6; ტელ: 34-11-40 და „საქპრესა“ ტელ: 51-60-04

3 თვით 9ლ; 6 თვით 18ლ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

თამარ ქიტუაშვილი

ვევა ქუთათელაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4

ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.


E-mail: vajao@mail.ru

Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

დავით მეფესალმუნე

ჩვენთან არს ღმერთი



ძველი დღეუთი

წმ. სამების ხატი

